

ლიტერატურული გზეუტი

№28 11-24 ივნისი 2010

ბამოღის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

აკა მორჩილაძე

ლეგენდარული ქემერას პირადი
და საზოგადოებრივი ცხოვრება

X-XI



იოჰან
ვოლფგანგ
გოეთე

ნაწყვეტი
„ფაუსტიდან“

XV

მოქმედი პირები:
რუსიკო – ჟურნალისტი, ორმოცი წლის.
ანა – მისი მეგობარი, 38 წლის.
თეა – რუსიკოს და ანას მეგობარი, 41 წლის.
დათო – თეას მეგობარი, 35 წლის.
ნინო – დათოს მეგობარი, 30 წლის.
დაჩი – ანას ჯგუფელი, 38 წლის.
გოგოლაძე – რუსიკოს კლასელი.
გულიკო ექიმი – რუსიკოს დედის მეგობარი.

პირველი სურათი

(რუსიკოს ბინა. პატარა ოთახი, სადაც დგას დივანი, ორი სავარძელი, პატარა, მართკუთხედი მაგიდა, წიგნის თარო წიგნებით და სანური მაგიდა კომპიუტერით. ანა დივანზე ზის და ჩაის სვამს, თეა კომპიუტერის სავარძელზე ტრიალებს. რუსიკოს ერთ-ერთ სავარძელში ფეხები აქვს მოკეცილი)

ანა – ორმოცდაერთი წლის ხდები. მეტი დრო უბრალოდ არა გაქვს. ან ახლა უნდა ქნა და ან დავხუროთ ეს თემა...

რუსიკო – აბა, სად არის, ვინ არის, მითხარით და, კი ბატონო...

თეა – ასე არ ხდება, ანა. ტექნიკური საკითხი ხომ არაა, აილო და გადაჭრა. უფიქრდები, რამდენ პრობლემასთან არის დაკავშირებული?! შენ თვითონ ბედნიერად გაჰყვები შენს ვახოს, მერე ბედნიერად გააჩინე თათია. ჯარი გედეგა სამშობიაროსთან. ასეთ რაღაცეებს ასე არ წყვეტენ. რაღაცნაირად უნდა მოგეცეს ურთიერთობაც და მერე იფიქრო იმ დანარჩენზე.

ანა – როდის მერე, თეა, კლიმაქსი რომ დაწყება? და იმაზე თუ გიფიქრია, რომ არის მომენტები, რომ სწორედ ტექნიკური მეთოდებით უნდა გადაწყვიტო ის საკითხი, რაც შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია?

თეა – ვერა რაა. ვერ დავტანხმებ. როგორ შეგიძლია, ასე ილაპარაკო - უგულოდ, გრძობების გარეშე. აქ მთელი რიტუალი ირდევია. რელიგიას არ ვეხები, არ წამომიხსტე ახლა! ადამიანიურ რიტუალზე ვამბობ. ბუნებრივი ხომ ისაა, რომ ხვდები ადამიანს, გიყვარდები ერთმანეთი, გინდათ, რომ იცხოვროთ ერთად და მერე შვილის საკითხიც ბუნებრივად მოდის.

ანა – მაგას, გენაცვალე, გათხოვება ჰქვია და რომ ვერ თხოვდები ეს ქალი, ამიტომ ვეძებთ გამოსავალს – როგორმე გავაჩინოთ შვილი. ქუჩაში კი არ აპირებს ვინმეს გამოჭერას – არაქა, შენი ჭირიმე, დამაორსულეო. მე ვამბობ, რომ თუ ამას სხვა შემთხვევაში პერსპექტიულ საქმროსთან ვაკეთებდა, ახლა ვაკეთოს იმისგან, ვისთანაც უბრალოდ დარსულეობამდელი სექსი მისაღებად, და არც შვილი გამოვა ბარმალი. (ანა ჩაის ფინჯანს მაგიდაზე დგამს, დგება და ბოლთის ცემას იწყებს)

რუსიკო – არა, კაცო! არ მინდა ეს საქმრო. მე მინდა შვილის გაჩენა. ოღონდ მართლა გამველეოსანს ხო არ გავაჩენ...

თეა – ანუ ჯერ სიყვარული გინდა.

ანა – ქალო, რით ვერ გაიგივ, ელოდა ეს ქალი სიყვარულს. რამდენიმე ნეუდაჩნი პაპიკვა ჰქონდა. და რომ ვერ მონახა და ამასობაში ორმოციის მოიყარა, ახლა სჭირდება უბრალოდ მისაღები კაცი, რომელიც გაანაყოფიერებს! ვახ!

თეა – რუსო, სულ არავინ არ შემორჩა იმ ძველი პაკლონიკებიდან?

რუსიკო – ნუ, ახლა ირაკლიზე ვერანირად ვერ ვიფიქრებ, ხო იცით, არა? ინცესტია ოფიციალური.

ანა – არა, კაცო, ბავშვობის მეგობარს ეცი-თქო, არავინ გეუბნება.

რუსიკო – ხოდა კიდევ ერთია, ჩემი კლასელი, გოგოლაძე, ოღონდ თქვენ არ იცნობთ. ამას წინათ გადავყვარე. გაიკლა თავი - სადღაც მეპატიჟებოდა. დიდი სიამოვნებით აღადგენდა ჩემთან ურთიერთობას, ამ ოცი წლის წინ თითქოს დაქორწინებას არც არაფერი გვაკლდა, მარა არ მინდა. რა ვიცი. არ მიზიდავს. ჩემი თანამშრომელია კიდევ, მაგრამ ცოლი და ოთხი შვილი ჰყავს. რად მინდა ცოლიანისგან შვილის გაჩენა და სხვისი სიტუაციის ანენვა. ჩემთვის მიუღებელია, რა ვქნა.

ანა – მაგას არც არავინ გეუბნება, კაცო. მასეთ კანდიდატურებს არც კი ვიხილავთ. ჩვენ გვინდა ან ძალიან ახალგაზრდა და უცოლო, ან ცოლთან გამორებული, ან ასაკიანი და ასევე უცოლო.

ლელა კოდალაშვილი

დონორი

ერთმოქმედებიანი პიესა სამ სურათად

ისა და ის გოგოლაძეო, ვერ ვაკოცებო... (იციინის) ნუ აკოცებ და ისე ქენით, გართულებების გარეშე... (ყველა იციინის)

თეა – ისე, დათოს ხო მოსწონხარ და ცოლთანაც გაყრილია. იქნებ განგვეითარებინა ეს იდეა...

რუსიკო – უიმე, დათო ისეთი სასაცილოა, ისეთი საყვარელია, მაგას მამაკაცად მაინც ვერ აღვიქვამ.

ანა – ახლა ნუ ახურებ, რაა, მისაღები ხომ არის, რაც მთავარია?

რუსიკო – კი, კაცო, მისაღები როგორ არ არის, მაგრამ რად მინდა ეგ დათო...

ანა – რად გინდა და დამაორსულე-ბლად! გამაგიჟებს ეს ქალი!

თეა – უიმე, ანა, რა ნატურალისტი ხარ, რაა... და საერთოდ, იქნებ ცოლადაც მიჰყვებო...

რუსიკო – არ მინდა ეს გათხოვება, რით ვერ გაიგივ. მე მინდა ახალგაზრდა მამა ჩემი შვილისთვის.

თეა – კაცო, შენ შვილი გინდა თუ მამა, ველარ გავიგივ. (კისკისებს)

რუსიკო – შვილი მინდა ჩემზე უფრო ახალგაზრდისგან. ოც წელიწადში სამოცი წლის დედაბერი ვიქნები. ხოდა მამა თუ უფრო ახალგაზრდა იქნა, უპატრონებს რა...

თეა – სად შევარჩიოთ თან ახალგაზრდა, თან სექსუალურად მისაღები, თან შვილის გაჩენის ნება მოგცეს, თან დაეუფასო...

ანა – კაცო, არ გინდა ეს პედოფილური პონტი და ახალგაზრდა მამა. იცი, ვინ გამახსენდა, თეა? ჩემთან რო მუშაობდა, ვახო - ექიმი.

თეა – ეგ რუსიკოზე დიდი არ არის?

ანა – მერე რა, ბიჭის ტიპაჟია, სიმპათიურია, ექიმი. ისე, ცოლი არ ჰყავს და მე მგონი აღარც დაანებებს თავს.

თეა – რად უნდა, გოგო ეგ გიჟი! ნამდვილი ნერვასთენიკი!

ანა – ცოლად ნუ წაყვება. იდეიჟენიოს ცოტა ხანს.

თეა – გოგო, არ დაანებებს ეგ თავს. ჭკუაზე არაა, ისე უნდა შვილი, არ გახსოვს, ბავშვით რომ მხედავდა, რა დღეში ვარდებოდა?

ანა – ახლა ვახოზე ვიდარდოთ კიდევ... აგერ, ეს ქალი დავაზინავოთ ჯერ.

თეა – და ისე, არც მე ვიტყვოდი უარს გათხოვებაზე. ერთ შვილსაც სიამოვნებით გავაჩენდი. (ფეხზე დგება და იზმორება. მერე ოთახში წინ და უკან წიარულს იწყებს) აუ, ან ავეჯი არ გაქვთ გადასადგილებელი, ან მძიმე ტვირთი – ამოსატანი!...

რუსიკო – შენ ხომ გყავს ის შენი ფირცხალავა. რაკი სკამების და სავარძლების თრევის მუღამზე ხარ, ესე იგი ნუხელ შეხვდი, ხო?(თვალებს ეშმაკურად ნკურავს)

თეა – (ისევ იზმორება, ხელებს მალაა ჭიმავს, თავს უკან გადააგდებს, თვალმუცხუჭული იღიმება) შევხვდი, შევხვდი და ახლა ვისაც რა საქმე გაქვთ გასაკეთებელი, ისარგებლეთ მომენტით. ფანჯრებს დაგინმენდავთ, ტახტს გადავდგამ, ატყუიანიებსაც ვაკეთებ. (თეა კი კვლავ ოთახში დაბოდილობს და ხან მაგიდას დაეჭიდება, ხან სკამს წევს მალა. ყველა იციინის. უცებ ისევ სერიოზულდება და ჯდება) ფირცხალავა საერთოდ არ აპირებს ცოლის მოყვანას, ხო იცით, არა?

ანა – მოიცათ, მოიცათ. თემას ნუ გადავუხვევთ. ფირცხალავა ჯერჯერობით მშვენივრად ასრულებს იმ მოვალეობას, რაც აკისრია. აგერ, ჭკუაზე არაა ქალი. ცხრა ცხენის ძალა აქვს მომატებული. შვილიანი ქალის მეორედ და მესამედ გათხოვება 55 წლის ასაკშიც შეიძლება. ჩვენ ახლა რუსოს ამბავი გვეწვის. ჯერ ეს დავაორსულოთ და მერე შენზე ვიფიქროთ. სერიოზულად ვამბობ. ამ ქალს რამე უნდა ვუშველოთ. მზამზარეული ქალია, ყველაფერი ადგილზე აქვს, დრო კი ენურება. თითქოსდა ბევრ ვინმეს მოსწონს ჯერ კიდევ, დაჟე თავისზე პატარებსაც. არც კლიტედადებული ქალიშვილია და არც ზოგადად გაუხსნელი ადამიანი. ყველა პირობას ქმნის იმისთვის, რომ მოეწონოს საყვარლად მაინც. ჰოდა, რა ჯან-

დაბა ხდება?!

თეა – და სულ მოსწონდათ, კაცო, ძლივს იგერიებდა...

რუსიკო – ჯადო მაქ, ჯადოო! (ფეხზე ნამოდგება. ხმაშემალი, პათეტიურად აგრძელებს) აბა, შემხედეთ, 1990 წლიდან, რაც ასპირანტურაში ჩავაბარე, ნომერ პირველ სარძლოდ ვითვლებოდი. და ახლა, რომ მიმქინძოს, ისეთ კაცსაც ველარ ვპოულობ. ჯადოა, მამ რა უბედურებაა! (დემონსტრაციულად ჯდება თავის ადგილზე. ანა და თეა სიცილისგან ბუიბუიან)

ანა – და ახლა, როცა ცაიტნოტი აქვს, არავინ ჩნდება. არანაირ ლოგიკაში არ ჯდება ეს ამბავი. (ანა ცდილობს, სიცილისგან მომდგარი ცრემლები მოიწმინდოს და კვლავ სერიოზული ტონი დაიბრუნოს) **რუსიკო** – ბედის მომენტი.

ანა – აუ, ბედი არა შენსა. ადექი მაშინ და ჩაიქნე ხელი. ბედს რომ ვითვალისწინებდეთ, ამდენ ენერჯიას კი არ მოგვეცემდა ღმერთი. სულ მაგ ბედს არ ვებრძობ? კაროჩე, რამე უნდა მოვიფიქროთ.

თეა – მოდი, ვინმე გავაცნოთ. ისე კი... (აგრძელებს მცირე პაუზის მერე) მთელ ამ ამბავში ყველაზე მძიმე მომენტი იცი რა მგონია?

ანა და რუსიკო – (ერთხმად) რა?..

თეა – ის, რომ ყველას გვაგინყვდება მთავარი. არც ერთ ნორმალურ მამას არ უნდა, რომ მისი შვილი სადღაც იზრდებოდეს.

ანა – აუ, ავტირდი რაა... შენი ყოფილი გუჯა რო დადის კვარტალში ერთხელ თიკუნას სანახავად, ამას რა ჰქვია, ძალიან მაინტერესებს? და შენ თვლი, რომ შენი შვილის ასეთ ცხოვრებას მამის გვერდით ყოფნა ჰქვია?

თეა – არ გესმის შენ – ეგ ვალმოხდელი მამაა. ვალმოხდელის ფსიქოლოგია აქვს. ანუ მან ცოლად მომიყვანა, ყველაფერი თითქოს რაღე იყო. ბავშვი იმიტომ გავაჩინეთ, რომ ორივეს გვენდოდა და ერთად ვაპირებდით გაზრდას. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რაღაცა და დავშორდით. ანუ თავსხვევით ძალა არ იყო. მაგრამ როცა ჩასახვამდეა გადაწყვეტილი ბავშვის განრევა უმამონისთვის, ეს შეგნებულად დანაშაული გამოდის, გაიგივ? და ეგ დონორია თუ ვინცაა, ხარშავს და ხდება ამდენს.

რუსიკო – მე არც შევეკითხები, კაცო, უნდა თუ არა. დავორსულდები და გავაჩენ.

ანა – მერე ინანებ, აზრზე ხარ? სულ მარტო რჩები.

(ისმის მესიჯის ხმა. თეა ტელეფონს იღებს)

ანა – ვინაა?

თეა – ვახ, დათოა, რუსიკოსთან ხო არ ხარ, მაქვთ ვარ და გნახავდითო.

რუსიკო – მოვიდეს, კაცო. ყავა მაქვს, ლუდი მაქვს. თხილიც კი მაქვს.

თეა – კარგი. (კრეფს საპასუხო მესიჯს და დაწყებულ საუბარს აგრძელებს) და კიდევ რა უტყვდება, იცი?

ანა – ვისა, კაცო.

თეა – იმას, დონორს. უტყვდება, რომ მას იყენებენ. ანუ როცა შენ გიყვარს კაცი და ჩერებ მისი სიყვარული აჩენ შვილს, ანუ მას ცოლად არ მიყავხარ და მის შვილს მაინც იტოვებ, რაღაცნაირი მსხვერპლიც კი ხარ იმის თვალში. მაგრამ როცა იყენებ, როგორც სპერმის გამომამუშავებელ დანადგარს, ეს მის თავმოყვარეობას მაგრად ურტყამს. ყველანაირი შვილი ჰყიდა, შენ თუ პირველ რიგში მას არ აღიარებ.

რუსიკო – კაცო, კი არ უნდა ვეცე ვინმეს. ჯერ დავამყარებ ურთიერთობებს, დავაფრქვევ გრძობებს და განცდებებს. (კისკისებს)

თეა – ეჰ, შენ რომ ეგ შეგძლებოდა, აქამდე იზამდი რამეს. (ისევ მოდის მესიჯი. ხმაშემალი კითხულობს) „რო ნუთში მანდ ვარ.“

(რუსიკო სამზარეულოში გადის და თხილს თეფშზე ყრის. ლუდის ჭიქებიც გასთავსებს.)



თეა – მოდი, იქნებ დაფიქრდე მაინც დათოზე?

რუსიკო – შენ დაფიქრდი დათოზე თუ კაია. შენც მშვენივრად მოსწონხარ.

თეა – კაცო, არაა ეგ ჩემი სტილის მამაკაცი, ხო იცი არა?

რუსიკო – არც ჩემი სტილის არაა. მაგასთან რამე რომ გავიფიქრო, წინასწარ გავსკდები სიცილით.

თეა – ცაცაცო და ლა ქნაც კაცო, ლა ქნაც.

ანა – ხოდა სიცილ-სიცილით გააკეთებთ ი ბოვს. მიზანი ნუ გავიწყდება, მიზანიიიი!

(მცირე პაუზის შემდეგ) ისე, როგორ მოახერხე, დარჩენილიყავი ასე რაა, გამააგაჟებ. რომ მოვიდომო ვთქვათ მე, შვილს როგორ ვერ გავაჩენ. უნდა გაინძრე. დრო აღარ არის. რა მშვიდად ზიხარ, გოგო, მაგიჟებ პირდაპირ!

თეა – რა ქნას აბა, ვის ეცეს... და თან ბავშვზე ფიქრობთ? ბავშვი რას იტყვის, როცა გაიზრდება.

ანა – ნუ მაგდენზე აღარ ფიქრობ. ადამიანი საკუთარ თავზე ზრუნავ ეგოისტურად.

თეა – და ადამიანს რომ წირავ...

რუსიკო – ვწირავ არა ისა. დამანებეთ თავი. 40 წელია ვცხოვრობ და არაფერი არ გამიკეთებია, ამის დედა ვატირე, არაფერი! ერთი რიგითი ჟურნალისტი ვარ და საშუალოდ ყვითელ ჟურნალში ვმუშაობ რედაქტორის მოადგილედ. და გინდაც ვარსკვლავებს ვწყვეტდე, მთავარ და ელემენტარულ რამეში ვერ შევდექი. ქალი არა ვარ. დეა არც დედა არა ვარ. უნაყოფო რომ ვიყო და ვილაცის ცოლი, კიდევ რაღაც მისია მექნებოდა. თქვენ არ გესმით ეს ყველაფერი.

ანა – გვესმის, დაახლოებით მაინც.

რუსიკო – 5-6 წელიწადში ქალიც აღარ ვიქნები. მე აღარავინ შემეყვარება, აზრზე ხარ? გუშინ ვიყავი ლამაზი და მყავდა პაკლონიკების ჯარი. დღეს მე პერსპექტიული აღარ ვარ და ამიტომ აღარავინ აღარ შემეყვარებს. დღეს დიდი-დიდი ვილაც ცოლგანაშვებმა და შვილებდაბინავებულმა პად შიისნატ კაცმა მოხუცებულობაში ფეხების დასათბილად და მანონში პურის ჩასალბობად წამიყვანოს ცოლად. ეჰ, ადრე ვიყავით სულ კარგი ამბების მოლოდინში. ახლა მოსახდენი კარგი უკვე მოხდა და ვართ მხოლოდ ცუდი ამბების მოლოდინში.

ანა – კაცო, 40 წლის ქალები არ თხოვდებიან? და ხანდახან თავის ტოლებზე ან ცოტა დიდებზე? ან კიდევ უმცროსებზეც კი? რატო ფიქრობ ცუდზე? ყველაფერი ხდება.

რუსიკო – ხდება, კი, ყველაფერი ხდება, მაგრამ ჩემთან არ ხდება და უკვე ველარ მოვიციდი. ვავიხედი, გამოვიხედე და 40-ის გავხდი. სიზმარში მგონია თავი. თითქოს უცებ ჩამოვარდა ციდან ეს ასაკი. თქვენ არ გესმით, არ გესმით (ტირის). სკოლას რომ გამთავრებდით, სტუდენტობა გველოდა, მშობლებისგან გათავისუფლება გველოდა, სიყვარული, პირველი კოცნაობა, პირველი სექსი, ქმარი, მერე შვილები, კარგი სამსახური, ფული, წარმატებები. ახლა? ახლა მოსაპოვებელი ძირითადი მოპოვებული გვაქვს. წინ მხოლოდ სიბერეა, ნაცნობების და ახლობლების სიკვდილებია, სიყვარული - აღარ, შვილი - აღარ. რაღა დაგრჩენია?

სარკეში იმის ყურება, როგორ დღითიდღე გიჭკნება კანი სახეზე, ყელზე, როგორ გირბილდება და ჩამოგეკიდა ძუძუები, როგორ გტკივა ხან ნაღვლის ბუშტი, ხან თირკმელები. როგორ ისვამ კრემს ხელზე და დღეში ათჯერ და ხელები მაინც დაგინაოჭდა, თუმცა არასოდეს დაგიტვირთია ისინი ბავშვის ტანსაცმელების რეცხვით, სარეცხის ფხვნილებით და ჭურჭლის ფელებით. ავტობუსში ადისარ და ის ბიჭები, რომელთა ტოლიც ჯერ კიდევ გგონია შენი თავი, ადგილს გითმობენ და გეუბნებიან – დაბრძანდით, ქალბატონო. ქუჩაში ორმოცდაათს გადაცილებული, სახინკლიდან გამოსული ლუდი მთვრალი თუ გამოგაყოლებს თვალს და რა რჩება კარგი, მითხარი ერთი, რაღა უნდა მოხდეს? მხოლოდ შემთხვევითი ამბები. ლოგიკურად მოსახდენი კი მხოლოდ ცუდია დარჩენილი. კარგი ამბები კი მხოლოდ შემთხვევითობების სიაშია. დამიჯერეთ. და რაკი არასოდეს არ მქონია ბედი, ვიცი, რომ ეგ შემთხვევითობა არ მოხდება ჩემთან. ამიტომ გადავწყვიტე, ვიბრძოლო, შეიღის გაჩენით თავი მოვიტყუო, თითქოს რაღაცისთვის ვცხოვრობ. (ისევ ტირის, გულამოქვდარი) საკუთარ თავს ვერ ვუსწორებ თვალს, მრცხვენია იმ ადამიანის, სარკეში რომ მიყურებს, რომ მე მას ვერაფერი მივეცი. ტყუილად გაჩნდა ამ ქვეყანაზე. დედას დიდის ამბით წაართვა დრო, თავი აზრდევინა, დაიკავა ვილაცის ადგილი ინსტიტუტში, ვილაცის ვაკანსია. და ეს ყველაფერი რისი გულისთვის, რომ მესუნთქა ეს ჰაერი რაღამდენიც წელი და მერე მოვმკვდარიყავი? შეიღის გაჩენა თავის მოტყუებაში დამეხმარებოდა. გაიგეთ! (კარზე ზარია)

თეა – დათო იქნება. გადი ახლა საბაზანოში, მოინმინდე ცრემლები და გადაისვი პომადო. არ გადავრიოთ ეს კაცი... (მიდის კარის გასაღებად. კარში დათო დგას ნინოსთან ერთად. თეა შეცბება, მაგრამ არ იმჩნევს)

დათო – ქურდებს სალამი. (კოცნის) გაიცანით, ეს ნინოა. (მისაღებ ოთახში შედის). ვახ, ანუშკები?

(გამოდის რუსიკო. შარვალი გაუხდია და მინი ქვედა ბოლო ჩაუცვამს)

დათო – ვახ ჩემი, რა ნაშა ვართ! (დათო ათვალის თავიდან ფეხებამდე და მერე ისევ - თავამდე. ახსენდება ნინო) გაიცანით, ნინო. ნინო ესენი არიან ჩემი ძმები და დები და რა ვიცი, იმენა ყველაზე კაი გოგონები ამ ქალაქში (შენს მერე, რა თქმა უნდა)

რუსიკო – დათო, ცივი ლუდი, ყავა, რამე...

დათო – ლუდი და ყავა არა, მაგრამ აი, „რამე“ კი გაასწორებდა, მარა ახლა გავდივარ. პროსტა დაგხედეთ რა, ამ ქუჩაზე ვიყავი და მეთქი როგორ არ შევიხედო. თან ხო ვიცოდი, რო მთელი სასტავი აქ იქნებოდა. აა, თან ნინო ხო უნდა გამეცნო...

ანა – და ესაა გაცნობა, ბიჭო?

დათო – სხვა დროს მოვალთ, რაღაცეებს მოვიტან და ჩავსხდეთ.

თეა – კაი, ჯანდაბას შენი თავი. (სამივენი აცილებენ.) აჰა, ესეც შენი დონორი. (ხელს იქნებს)

ანა – კაი, კაცო! როდის უჭირდა ერთიდან მეორეზე გადათამაშება. თუ ავიღებთ თავზე ხელს, გადმოხრებაც არ იქნება პრობლემა. ისე, როგორც გაცნობის კლუბი არსებობს, არ შეიძლება დონორთა კლუბი არსებობდეს?

თეა – კი, ჩამოგისხამენ კოლბაში ზურა ყიფშიძის სპერმას, ანდა მერაბ სეფაშვილის.

ანა – ვაიიი, როგორ გეტყობა, რომ ბებერი ხარ, რაღა დროს ყიფშიძეა, გოგო. გეთქვა, მაგალითად, უცნობის სპერმა, ან, ვთქვით, დეფი თოვნიკი-დეფილის, იმისიც კაი იქნება, რა გვარია? „ჯადო“ რომ დანერა... ხვედელიძის...

თეა – მაგასას სუყველასას ერთად აღებულს საზღვარგარეთული ჯობს – მაგალითად ბრედ პიტის ან ჯონი დეპის...

რუსიკო – აუ, გაჩერდით რაა, თქვენ დადაბობ და მაგას ჰქვია სპერმის ბანკი და იქ არსებობს დაკონსერვებული, გაყინული სპერმა, მაგანის მიერ ჩამოსხმული, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს – სპერმის ნონა 2 მლ, ერთ მილილიტრში 80 მილიონზე მეტი სპერმატოზოიდი, რომლის 60 პროცენტი

მოძრავია. სპერმის ფერი ნორმალური – თეთრ-ნაცრისფერი. მიკროსკოპის მხედველობის არეში არაუმეტეს 3-5 ლეიკოციტისა. დონორი შემონმებული უნდა იყოს ფსიქიატრთან, გამოკვლეულია მისი გენეტიკა, ვენერიულები, სისხლის ვირუსები და ა.შ. მოკლედ, ყველა საკითხი შევისწავლე ჯერ კიდევ შარშან, მოსკოვშიც და აქაც, ჟორდანიში რომ გახსნეს. მაგრამ არ მინდა.

ანა – ვაა! შენ აღარ ხუმრობ, აი!

თეა – რა არ გინდა.

რუსიკო – არ მინდა ეს ვილაცის სპერმა, არ მინდა კოლბაში განაყოფიერებული ბავშვი, არ მინდა, არა! (ფეხებს აბაკუნებს და მაგიდაზე ხელებს ატყაპუნებს)მე მინდა მოვინოდე და მომწონდეს. მერე გვეკონდეს სექსი. მერე დავორსულდე. მერე ჯანდაბამდის გზა ჰქონია, თუ არ ვენდობები. ადამიანი უნდა გავაჩინო და, თეასი არ იყოს, ადამიანური რიტუალი არ მინდა დაირღვეს ელემენტარულ დონეზე მაინც.

ანა – როცა ხელოვნურად აძლევ შეკვეთას ცხოვრებას, შენ გგონია, რომ ასეთი რიტუალის დაცვას აზრი აქვს? ასე ხომ თავს იტყუებ...

თეა – კარგი რა, ხალხო. ამ გოგოს უნდა ქმარი. სხვა ყველაფერი ფარსია.

ანა – ხოდა ფარსი რომაა, მაგას ვამბობ მეც.

რუსიკო – ამას წინათ ბებიაჩემთან ვამბობ – ბებია, ხომ ხედავ, ვერ ვთხოვდები და ბავშვს მაინც გავაჩენ-მეთქი. ბებია გაიხედ-გამოიხედა – აჰ, ვინმე არ გეიგონოს, გოგო. მერე კი მომიჩოჩა და ჩამჩურჩულა – თუ მაინც ეგ საქმე უნდა ქნა, ბებია, მაშინ ნემსით მაინც დაორსულდი, თორემ მოგვეჭრება თავიო. (ყველა იცინის)

ანა – მოდი, მიდი იმ ახალ სამსახურში. იქნებ გაიცნო ახალი ვინმე. ცურვაზე რომ აპირებდი, იარე. ახლა ზაფხული მოდის. უამრავი კაი ტიპი დადის აუზზე.

რუსიკო – კაი, კაცო, ისინი თავიანთ ნაშებთან ერთად დადიან და ისედაც, ეგ მონარკომანო სასტავები არ მევალება.

თეა – ჯერ ერთი, შენ ნაკლები ნაშა ხარ? და მეორეც, მთავარია, მინიმალურად მოგეწონოს, ასე არ თქვი? და ურთიერთობაც დაიწყება.

ანა – აუ, ისევე წრეზე ვინყებთ ტრიალს – ეს არ მევალება, იმას ვერ ვაკოცებ, ამას ტრაკზე ხელს ვერ მოვაკიდებინებ. რუსო, შენ ვერ გრძნობ, რომ ყელში თოკი გაქვს ნაჭერილი. გგონია, რომ დრო ნელა გავა.

რუსიკო – არ მგონია, ანა, არ მგონია. უბრალოდ თავს ზევიტ ძალას ვერ ვხედავ. კი, ჩემი ბრალია, რომ დროის შეგრძნება არ მქონდა. თავი ახლაც ის გოგო მგონია, რომელსაც ყველაფერი წინ აქვს. ეს ორმოცი წელი თითქოს მარტო პასპორტში მიწერია. უბრალოდ, რეალობას ვუყურებ და ვგრძნობ, რომ ყველაფრის დამთავრებას არაფერი მიკლია. ეჰ, ადრე რომ ლამაზ კაბებზე ვოცნებობდით ხოლმე, გახსოვს? მაგრამ არ მქონდა ეს ლამაზი კაბები, სამაგიეროდ მქონდა ოცნებები. ახლა მაქვს ყველანაირი კაბა და აღარ მაქვს ოცნებები. ეტყობა, ჩემი ასაკი ის ზღვარია, როცა იაზრებ, რომ ოცნება აზრს კარგავს, რადგან მისი ასრულების შანსები თანდათან კატასტროფული სისწრაფით კლებულობს. ორმოც წლამდე ნელა გადის დრო, ოცნებებში. 40-ის მერე კი კისრისტეხით გარბის სიბერისკენ. ყოველ დღეს მიღრმავდება ნაოჭები ტუჩების კუთხეებში.

თეა – უფ, მაგ გახსენებაზე, თვალის გარშემო ნაოჭების კრემი გამოთავდა და საყიდელი მაქვს. ამ აქსესუარებზე დავხარჯე მთელი სამოცდაათი ლარი...

ანა – არაფერს არ შევლის ეგ კრემები. ძვირადღირებულიც ვცადე და იაფფასიანიც. ნაოჭი ნაოჭად რჩება. არსებობს ბუნებრივად კარგი კანი და მორჩა. რაო, რა აქსესუარებიო?

თეა – არაფერი ისეთი, ახალი ულამაზესი ლიფი ვიყიდე და რაღაც დაცემა ბოდე.

ანა – ვერ ვიტან ბოდეებს. ლიფი თუ გაცემა, გვაჩვენე...

რუსიკო – მიდი რაა, მიდი, გვაჩვენე...

თეა – აჰაათ, გაჩვენებთ, მაცალეთ... (დგება, ზედა ჩასაცემის იხდის და რუსიკოს ესვრის. მერე სხვადასხვა რაკურსით დგება ხან ერთთან, ხან მეორესთან. ცდილობს, პოდიუმზე მოდელის მძიმე მოძრაობებს მიბძვას და მათი სახის გა-

მომეტყველება მიიღოს. დანარჩენები აღფრთოვანებული ათვალისრებენ. რუსიკო ტაშსაც კი უკრავს.)

ანა – ძაან ლამაზია. ისეთი ლამაზი, რომ გარედან რამის ჩაცმი დანაშაულია. მასევე უნდა იარო. (იცინიან) მაგას თავი დავანებოთ და ხომ არ დავურეკო ჩემ კურსელ დაჩის, რომელიც არის უცოლო, ჩემი ასაკის და ცოტა პრანჭია.

თეა – უი, ეგ როგორ დაგვაგინდა? (უცებ დასერიოზულდება, წელსზემოთ გადაიცემს და ჯდება.)

რუსიკო – რომელი დაჩი, შენი კურსელი? ის ანონილი?

ანა – მშვენიერი ბიჭია. მართალია, ორ ცოლს გაშორდა, მაგრამ მაშინ ბავშვი იყო და სულელი. ორი შვილი ჰყავს. იქნებ ცოლდაც მოგიყვანოს. ყოველ შემთხვევაში მესამე ბავშვის გადამტანი აშკარად არის. (იცინიან)

თეა – ნუ, არ ვიცი. მე არასერიოზულად ამიანად მიმანია. რომ დაიწყოს ურთიერთობა და მერე მიატოვოს?

ანა – შენ შემოგველე, კაი, რაა! თუ ეს დაორსულდა ამასობაში, მერე ნავიდეს, კაცო, ს კანერწუ დაროგა! (თითებს ენის ქვეშ იდებს და უსტვენს)

თეა – ნუ, არ ვიცი. არ ვიცი. ასე სახელდახელო დაორსულება არ გამიგია. ასე ფაცხა-ფუცხით და ჩალიჩით...

ანა – და ვის ვეკლანოთ, როცა ცეცხლი გვიკიდა? აი, შენ, მოგვიდებია ცეცხლი? ხოდა მოკეტე!

თეა – არ ვიკლანები, კაცო, უბრალოდ ისეთი დანაწილებული ვართ, თითქოს სამსახური უნდა ვუშოვოთ რუსოს, ანდა ბინის კლიენტი, ან რა ვიცი. ეს ხომ ჩვენი ცხოვრებაა. უნდა თავისთავად მოხდეს. ეს ხომ ყველაზე ნატიფ რაღაცეებს ეხება.

ანა – (გამოჯავრებით, ცინიკურად) ყველაზე ნატიფი რაღაცეებიც კი თავის თავში ატარებენ უალრესად პრაქტიკულ, უალრესად პრამატულ ხასიათს. შენ რომ გგონია, რომ საკითხი ღრმად სულეირია, მეორე კუთხით ის ღრმად უხეში და პრაქტიკულია. დაფიქრდი და ნებისმიერ ნატიფოვნებას მოარგე ეს აზრი. მერე მიხვდები, რომ მართალს გეუბნები. (ბოლო წინადადებას დაბოხებული და მკაცრი ხმით ამბობს)

თეა – იმიტომ გგონია მასე, რომ შენ აწყობილი გაქვს...

ანა – დაანებე თავი ამ ჩემ აწყობილ ცხოვრებას. ამ აწყობილი ცხოვრების უკან მშვენიერად იცი, რა პრობლემებიც იმალება. ვისთვის უშვილობაა პრობლემა, ვისთვის სხვა რამე და კაცმა არ იცის, რომელი უფრო მძიმეა. მოკლედ, უნდა მოახერხო და შენი გასანძრევი ხელი შენვე გაანძრიო. თუ ეს არ შეგიძლია, მიმანია, რომ შენი არსებობა და არარსებობა ერთი და იგივეა. და ხელი იმ საქმისთვის უნდა გაანძრიო, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნია. ამ ქალს შეიღის გაჩენა უნდა. ესაა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. ამ ნუთას ნყალში დაცურავს ნითელი დიპლომიც, ხუთი წლის წინ დაცული დისერტაციაც და შარშან ვარშავაში ჩაბარებული დოქტურანტურის გამოცდებიც. მთავარი გვერდით დარჩა და ეს მთავარი უნდა დაიჭიროს. შენი ხავსები ველარ შევლის. ფესვი უნდა მოიგდოს ხელში, რომ არ დაიხრჩოს და ისევე მიწაზე მოიკიდოს ფეხი. მოკლედ, ვურეკავ დაჩის. რა იცი, რა ხდება. (მოხილურში ნომერს ეძებს, გადის სხვა ოთახში. ორ ნუთში შემოდის. თეა და რუსიკო მანამდე ჩუმად სხედან. თეა ეწევა.)

თეა – რაო?

ანა – კი გაუკვირდა, რომ დავურეკე, ალბათ წელიწადნახევარი იქნება, არ შევხვებინებოვართ ერთმანეთს.

რუსიკო – მერე?

ანა – რამე გაგახსენა ჩემი თავიო, ესაო,

ისაო. მე ვუთხარი, აგერ, გამახსენდი და გირეკავ-თქო. საით ხარ, საბურთალოზე თუ ვერის სახლში-თქო. ვერაზე ვარო. ხოდა კაროზე ხვალ მოვიყვან სამსახურის მერე – ასე შევიღებ უკვე აქ ვიქნებით.

თეა და რუსიკო – (ერთხმად) ვაააა! შენ რა მაგარი ხარ.

ანა – ჰმ... (ირონიულად იცინის)

მეორე სურათი

(რუსიკოს ოთახი. დაჩი საუბრობს. რუსიკო, ანა და თეა მოწყენილი სახეებით სხედან. რუსიკო ფრჩხილებს აწვალებს, ანა ყურნალს ფურცლავს, თეა მოხილურში ძველ მესიჯებს ცლავს. ეტყობათ, რომ ეს საუბარი მოებრდათ)

დაჩი – ხოდა დამირეკა ჩემმა ძმაკაცმა, ანა, ხო გახსოვს? გოგი მანჯგალაძე. (ანა მხრებს იჩეჩავს, მაგრამ არაფერს ამბობს) ხოდა ენათმეცნიერებაში რევილუცია მოახდინა ფაქტურად. ნობელზე უნდა წარადგინონ მომავალ წალს.

თეა – რა გადატრიალება სახელდობრ...

დაჩი – ნუ არის საკითხები, რასაც შუქი



მოჰფინა. თქვენ ვერ გაიგებთ ახლა. ეს თამარ მეფის საფლავს უკავშირდება და აყირავებს იმ შენს მასონურ თეორიებს ყირამალა.

ანა – მერე ჩვენ რა შუაში ვართ...

დაჩი – მე ვარ შუაში, ანა, მე. დავაკავშირე ჩემს მეგობარს, ირაკლი ცოტაძე ხო გახსოვს, ინგლისში როა...

ანა – არ მახსოვს, მარა მერე?

დაჩი – ხოდა ახლა ეს მანჯგალაძე კემბრიჯში მიიწვია ლექციების კურსის წასაკითხად, მაგრამ ამან უარი უთხრა, რადგან ბინას ლონდონში აძლევდნენ და ყოველდღე როგორ ვიარო 80 კილომეტრიო. ხოდა ამასობაში გაახსენდა ცოტაძეს ჩემი მეცნიერული წარსული და მე მთავაზობს სამთვინი კურსის წაკითხვას...

ანა – მოკლედ, წასულია კემბრიჯის უნივერსიტეტის საქმე საქართველოს და ქართველი მეცნიერების გარეშე... (იცინის) თეა თვალს აპყრის მაღლა. რუსიკო იღიმება)

დაჩი – შენ იცინე, და ეგრეა. მოკლედ აი, ასეთ ამბებში ვართ გენაცვალე. უიმი, რა კარგი ვქენი, აქ რო მოვედი. ანა, რა ჯიგარი ხარ, ასეთი კარგი გოგონები რო გამაცანი. დაგირეკავთ ხოლმე და გამოგივლით თუ იკრიბებით აქ...

რუსიკო – არა, სამწუხაროდ მე მივდივარ დიდი ხნით ქვეყნიდან.

დაჩი – სად მიდიხარ, თუ საიდუმლო არ არი?

ანა – ვარშავაში. დოქტურანტურაში სწავლობს.

დაჩი – რას მელაპარაკებით, და მომისმინეთ, არის შანსი იქ რომ ჩააბაროს კაცმა?

ანა – აბა, კაცი...

დაჩი – ნუ... მე მაგალითად.

ანა – და შენ კემბრიჯში არ მიდიხარ? (სიცილს ძლივს იკავებს)

დასასრული მე-7 გვერდზე

ემზარ კვიციანი

პოსეიდონის ბანძი

(კიდებმორღვეული მოზაიკა)

ედღენება ელგუჯა ბერძენიშვილს

მღვრიედ წამოშალა მზერამ ტალღებში მბრუნავი, მოტორლიაღე ღორღი. უთუოდ ღვთის ნებაა, უმეტესად აღრენილი ზღვის ნაპირას რომ ჩანხარ. ნაძვის ნედლი გიჩრით შეკრულს, მკვირვს თითონაც ასე გიჩრევი. რა ღონიერია ვეება, ძარღვებისაგან ალაგ-ალაგ ჩალურჯებული, ტყვიანჩასხმული ფეხები შენი, დამძიმებული ბებერი ტანის დაბერილი სვეტები. მეჩვენება – ბრინჯაოს სასარტყელე რგოლები. აქაჩე, კუნთებს ძაბავ, არ შეტორტმანდე. რა მკერდი დაუდგება დაგუდულ დაგა-დუგს, ბაგუნს მბორგავი გულისა – ალს აჩენს, დასცვივა სიტყვები კარჩხალა ბაგეებს ნაკვერჩხლის, რა იხსნის ხორციელს, წარხოცილს, სამყაროც ხანძარში იბუგება.

რამდენის გულში იძროდა შემზარიალბელი ზრახვა – რამე ისეთი გავაკეთო, სიკვდილის მერეც ახსოვდეთო. წყევლას გავს – რამდენი სახელია დაინყებულო! რამდენჯერ მომხდარა – წინ მიმავალი, მომდევნოს უკვალავს გზას, თავად ილუპება. როდის თქვა ხნოვანებისაგან დახეთქილმა, მწუხარე, ძირგამწარებულმა ენამ – საცოდაობაა გაჩენა კაცისა, ცასაც რომ მიადგას კიბე, ყველაფერი ქარიო. რამდენჯერ გაიფიქრე: "ტლანქ დარუმბულ ფეხებზე დოლაბებს შევიბამ, დაყვირთავ ანთებულ სიმწვანეში, მოვქებნი სიძაბუნის დამძლევ ბალახს, ეკლებით გაბუსხულს, სხივიანს, სიზმრის ფსკერზე მოქანავს, დამსუსხველს... გავსხლავ, გავისისხლები, მოუღლეელი, ბუყბუყით ამოვქანდები მალლა, გველმა რომ ვერ გამოშტაცოს, ბრჭყვიალამ, სწრაფმა, თვალმოუხუჭველმა. ვერცხლის ბუშტულები – სიცოცხლის გრილი სუნთქვა – დაფარავს სხეულს..."

სურვილი, გულის გამსერავი, ისრით გაბასრულმა, კიდევაც აისრულე. დაეხსენ, არ ახსენო სნეულება, ზღვაოსნად მოარულო, ავარდი, აბრიალდი. გაისმა ოსანა. იკვრები, სხვა ძალას მოიკრებს, ტან-ფეხი შენი, დაძანძალებული. სიცოცხლე ვინც გამოიმეტა, იგივეა მიზეზი გაქრობის, გაქროლების. აღესილ დანებს გავს დღეები, არავის ძალუძს, ეს დინება შებორკოს. შენც განვალებს გაბმული, დაუქუცმაცებელი არსებობის მარადი საიდუმლო. უკვდავების ნერგი ოკეანის მშვიდ, მფეინავ, მონანავე ფსკერზე გაინასკვა; ზღვიდანვე იშვა შვარშვალა, ღვთის ნათელში ამოვლებული სიცოცხლე. ეს იცოდა ყველა ცოცხალზე და გარდაცვლილზე აღმატებულმა ბრმა მოხუცმა, ვისაც მზუფხე გულში ქაფმოგდებული, დამბანგავი სიმღერები ჰქონდა ჩახვეული; სხვაფრივ ვერ დახატავდა ღვინისფერ, ხვეულ ტალღებს, რომლებზედაც ოცი წელი დანანალებდა ათას თოკზე გადასრიალებული ოდისევისი, ბოლოს ისევ თავის თაკარა, კარმოლიავებულ ითაკას რომ ჩაეკრა.

დაუმდნარს, გაუხედნელს, ისე გხედავ, თითქოს ეკრანზე იკვეთებოდე; ისვენებ, სანამ ხელს გადაუსვამ ლიფსიტებით გაძევილ მარჯნის ვარჯებს. ყველა ზღვა ოკეანის ნაწილია. გულდათუთქულს, გათქერილს, მითქვამს: ყველაფერი წყალშია გადაყრილი. ბურჯგამოცლილი, ამაოდ ვირჯებით, წამით თუ არ დატრიალდა მსტვინავი, ტრამალგამოვლილი ქარი, სპერის ზღვაში მამაცი პელაზგების ხომალდთა გაშლილი, გადაზნექილ აფრებს რომ ეხლებოდა, გახელებული, ცერად აფრიალებული თოლიების ყივილში. ღლავს ძნელად დაღლის ფეთქვა და ფათქუნი. იცი, ყოვლის მომრევი ძალა მამრის – ლაჯებშუა ამოკრული, უფლის გაკვერილი საკაკლე ქისა.

ვერძლეულო, ვერძის ჯიშისავ, ბინაში გამოკეტილს როცა გიმზერ, სავარძლიდან შენი ყოველი წამოდგომა ცისთვის ბეჭებმედგმული ატლანტის მოლანდებულ წამომართვას მაგონებს. ყოვლის მეტად იმან გამოაგნა, მოლიმარს დაჩიჩულ ჩირადაც არ გიღირს მოკვდინება. უშიშრად მოშრიალეს, უშურველს, არვისგან გესწავლება, ღმერთებმა შექმნისთანავე, სიკვდილი მიკერძეს ადამიანს, გრძნეული, კორძიანი.

სვანი მონადირეები ამბობენ (შუმერული ეპოსიც ამასვე იუნყება) – ჯიხვს არ უყვარს დაბლა დახედვა, დღემუდამ ცისკენ უჭირავს თვალი, ლაჟვარდისკენ აქვს ყელი აშვერილი, მიწაზე ტოლი არავინ ეგულეობაო. ტანში მცრის, ბურანში მხვევს სურათების უცარი მონაცვლეობა. გადახნულს გავს, ავი სანახავია ერთ დროს დიდებული ერები, იგივე ურუქი. დაბუგული, გამომშრალია არხის ყელი, სადაც ლომისფეხება გილგამეში დააბიჯებდა. ჟვერიც არ ამოდის, ქინქლა რომ დააჯდეს. იმ ადგილს აფთარი და ტურაც გაურბიან. ცერის ნვთსაც ვერ ალოკავს მათი ნითლად მოქასქას ენები... ვიცი, შიშს ახლოსაც არ იკარებ. მოსახდენი მოხდესო, ბევრჯერ გითქვამს (შეკურთხებასაც არ მორიდებიხარ მომხედური ხვედრისა. მართალიც იყავი). ქვეყანა ხრამია რამხელა, მიჭირს, გახელებულს, გავამხილო ნუხილი... სულ ვშიშობ, მაშფოთებს ცეცხლნაკიდებული დღეების შმუშნა, შიშინი, არც მინდა ვიფიქრო, სიცოცხლეს შენეულს, ოდესმე, დაედოს მიჯნა...

მომეჩვენა – კანზე გეხატა ნაცრემლი, დაფლეთილ-გათელილი სამშობლოს დახრუკული, უცნაურად დამცრობილი რუკა. ზღვის მარილთან ერთად, შინდისფრად გალექილი სისხლი მოწვეთავდა გრდემლივით საბაგუნო, განიერ მკერდზე გეცემოდა და ბრონეულის მარცვლებივით ცვიოდა... სკაფანდრი არ ჩაგიცვამს გრილი, მოლამუნე წყლის გასაფატრავად, თუ ვერ მიაღწიე სანადელს, ვერ დაგძლევეს ზადი, სხვა ზოდებს ამოზიდავ. ვეება დოლაბები შეიბი დატვიფრულ ტერფებზე, დაყვინთე ისე (ეს გიჯობს, უჯიათ ხმელეთზე უფრო გიჭირს ნაბიჯის გადადგმა), სახეშემურული შუმერული ღმერთკაცის ნაკვალევს მიჰყევი, სახსრებს, დამწყდარს, გაჰქონდა ჭრიალი, კენჭები, ჭრელი, კანრავდა კანჭებს. დევს, კობრისთვალეობას, ვინ გაგრევეს, იოლად, ქვიშაში, სიმაგრეს ურუქის მოგემენ კედლები, შვიდ წელს რომ აშენებდა შვიდი ბრძენი.

აროკდა გული – უგრძობელი, რკინად ქცეული როკი ხომ არ არის?! როგორ გავს ჩვენს დაფლეთილ მამულს, ტოტებად დაჯირჯეული მარჯანი!.. რამდენი ზღვის ფსკერი ქცეულა მზიან, გაფხვიერებულ ხმელეთად... მესხეთს მიმავალი, მახსოვს, ჟღალ, ჩამომზღველულ ბეჭობს წავადექი. მინას ჩაკვროდა ჩაკირული, ნერნეტა, ბოლოწანვეტილი თეთრი ნიჟარები – სლიპინა მოლუსკების ნაბისელი, გამქრალ, უკანდახეულ ზღვაში რომ ხოხავდნენ. ოკეანის ჩაულწველი წიაღი, ძველთა რწმენას, სიკვდილად ჰქონდა მონიშნული.

ურუქის მეფეც, შენსავით, გაუხუნარ ნერგს ეძებდა, ბნელ ფსკერზე დაიძირა. ამაზე საგანგებოდ მომინევეს თქმა, იგი ხომ შენი უსაყვარლესი გმირთაგანია. ისმოდა შავად მოხრილ კედართა ოხვრა, გულგამპობი კვენსა ცხელ ქარში, წინ გადაეღობა გილგამეშს დახერგილ მორებზე მორიაღე კაცი-მორიელი; საით მიდინარო, ჰკითხა გახვითქულს, უღრმესი წყლები რომ უნდა გაეკვეთა. დამცხრალო, უწყინარო, კარგად უწყი, ის იყო შენი უშიში წინამორბედი. შრიალა წყლის ფსკერს მიაშურა, სიცოცხლის შავძირა, მარადმწვანე ბალახი რომ მოეტაცნა და შეეცნო უკვდავების გაუთავებელი ზოზინი. დაკარგა. ხელცარიელი დაბრუნდა. უთანაფიშთის პასუხმაც მოაშთო. არ ისურვა იშთარის სარეცელი, მოიცილა მრისხანე ქალღმერთი, დაშთა სამუდამო შიშთან. სიზმრად, მირაჟად იქცა ამომავალ მზეზე ხუთი ათას წელს ნაზმორევი, ევფრატსა და ტიგროსს შორის ფუძეჩაყრილი, აყვავებული ქალაქი; რალას გვამცნობს თიხის კუბოები, მთებად დამდგარი, გაშავებული ძვლები...

ვიდრე ძროს მოწყდებოდი, ძუნნად გავიხსენებ, რა იყო მანამდე – ჯავშნიანმა, უშნო, მარწუხებშემართულმა კიბორჩხალამ ნოტიო, აშლილ შლამში გამოგაყოლა ამოტრიალებული, განზე გაქცეული, რქოვანი თვალები. რაც იძვრის, ბობლავს, ფუნჯის და ბობლანის ღირსია. ზღვის წიაღს უნია შეეულად დაკიდული სხივები ბაჯალლო ბორჯულამა. ყურებდაგუბებულს, ხელფეხგაციებულს, მოკეცილს, იმედი უცებვე მოგეცა. უჩანთ დავერცხლილ თევზებს გათქვირული, ქვირითიანი, დასაცლელი მუცლები. შეხედე, საითკენ მიექანებიან აბრჭყვიანებულ ქარავანთა მირიადები! რა მოურიდებული, შემპარავი გამოდგა შენი წყალქვეშა, უეცარი რეიდი... ნერეიდების მარადიულ პარადს აერიდე. მარჯანთა მანათილელ ამფითეატრს შეატოვე ცირცესავით მაცთური, ვნებააშლილი, გულჯავრიანი ამფიტრიტე. სად წამივლენ, იმ ზღაპრის აურწყავ სასწაულებს ცალკე მივადგები. უხმო, გაუწულბელი სახშილი, ხორხის გადამკეტი სულისხუთვა იქაც ჩაგყვა. გადაფთრებულ სახეზე, მოჯარული მარჯნების ფეთქვა, ციალი გეგინა. არც ამხელ, რა ამანრიალებელი იყო კაც-მორიელთა ვიწრო დერეფანი.

ხენში და იხსნი შებმულ დოლაბებს, აღმა რომ აუყვე განუჭვრეტელ სიბნელეს... შექანდებიან პირმოკოვნილები, რაცრაცით ჩაემხოზიან დავარცხნილ, გაცრილ ლამში. რა მუხლისმომკვეთი სამშერიო ოკეანის აღმა აღრეცილი, დაცრელებული, ფეხის დასახლებელი, თვალის დასაცურებელი, ცაზუნდაც მუქი სილურჯე!.. რამოდენა გამბედაობა გჭირდებოდა, ბუშტებდაყრილი, აგუგუნებული ტალღების გაღლობილ კედელს როცა ამოჰყევი. რა ადვილი იყო – პირგახსნილ, ჩახეულ უფსკერულში გადაჩეხვა. გამოჩნდი, გაიმართე, გადარჩი. სხვანაირ მარგალიტებს მალავს შენს შეუბოჭავ ბეჭებზე აკრული ნიჟარები.

დრუიდების დროიდან და კიდევ იქეთ, პირი ხომ არ შეკრეს ადამიანებმა – უამრავ გადმოცემაში, მითში, უკვდავების მიმტაცებლად გველი სახელდება. ეს ცალკე ითქმის – ვერც შენ აიშორე ლომისკანჭება ღმერთკაცის მარცხი. შენს ჩათვლემას ელოდა უწამწამო, თვალმოუხვეჭელი, განდაგან მცურავი, შავნაცრისფრად ზურგმოოჭვილი, არსებათა შორის უგონიერესი, ცბიერი, უკვდავების დამცინცლავი. დაძინება ხომ იგივე სიკვდილია და გიყვლა.

შეულენავი გიფეთქავს მკერდი და მეჩვენება: ზღვის უღვეველი ფსკერიდან ამოგაქვს მარჯნის აჩქეფებული, ჯორჯალმოვლებული ბუჩქი, მზე – მენამული, დატოტვილი, მილიონი წლებით ძირს დალექილი, წყვდიადში ნამცეც-ნამცეც ნაგროვები. ეგ შენი უიღბლო სამშობლოა. გაშლილი მკლავების სიგრძეზე გადაჭიმული, მყის დაბატარავდა, ცეცხლში ჩაგდებული ვერცხლის ქალღმერთი დაიკრუნჩხა. სისხლისგან დანრიტეს, გათელეს, სულ რომ სულს უბერავდი, ხატავდი; იგი თუ შეგიცვლიდა ფოთლებმეუცლელ, ჩამავალ მზეზე მოლიცლიცე ნერგს, ამომავალს, წამით რულმოკიდებულს, დადარაჯებულმა გველმა რომ წაგტაცა; პერანგი შემოიძრო, ძველი, წამლალავმა, სიბერეს, თავისას, უწამლა. ეს აფუებული მეფური ფერიც, მოლუსკიდან გამოწურული, ხელისგულით გინდა მოაგუნდაო და თეთრად გადაჭიმულ ტილოზე რბილად გაგლისო, დააკვირდე – რძემონოლილ მოლზე განვება ძუძუებამობურთული გოგო, ღანვებზე ბრონეულის ყვავილები რომ უელავს, ნესტოებს ვნების ალი უნვავს.

ნუ იტყვი სხვებივით, მომძულდა სიცოცხლე, მეტისმეტად გაგრძელდაო. ათასი წელიც რომ გამოიმეტოს უფალმა, შემოგელევა, ვერ იმყოფინებ, იმდენი გაქვს მოსასწრები, წრეში ჩასასმელი, ჩანასახისგან გამოსაყვანი. ხატავდი, ვაზის მტევნებს როგორ ბლუჯავენ ჩამორგვილი, მბორგავი, ნილაბორგებელი ბერიკები, სარკიანი ქალწულის გვერდით რომ როკავენ. ბროლივით სუფთას, კეთილს, ყველა გებრალება, შენედაც ცოტა ვინმე თუ მოფერებია მზისგან გადაბრიალებულ სილამაზეს – ცის და მიწის ნაყოფს. ის ნახელავი მაინც სულ სხვა იყო, ერთ-ერთ ამოყვინთვაზე რომ ამოიყოლე, ფითრივით მკვრივი, თავმოკრული; გაბარჯულ ტოტებში ასკილისფრად დაკრისტალბული მზე წკრიალებდა. თეთრ, დაკუნთულ მკლავებზე გადაგენვინა ნელად მსუნთქავი ქმნილება, არაფრით ნაკლები ნითელი ვარდების კონაზე, თოვლივით ქათქათა ჩარჩოში, შარშან (ივნისი) ნაჩქარევად რომ ამოფურქენე. მანამდეც ბევრჯერ დაგიხატავს ნითელი ვარდის ფურცლებში გატრუნული, ამატირებელი სიკვდილი, ძველ ვენეციელ ოსტატთა ხავერდი რომ ევლება. გაუხმობელ, მზისგან გამომხობილ ვაზის ლერწმს მიჰყვება შენი ჩამოსმული ყოველი ხაზი. არცერთი ზედმეტი გადახრა. სიზუსტეს, ზომიერებას მორჩილებს შეუმჩნევლად მირჩილული ნაკვთები. ზედმეტად არაფერი დაგიკლაკნია, გზადაგზა იშორებ, არ გიჭირს წამომლილი ბურბუმელების შელევა, თავს აკლავ გაბლიკვულ ბილიკებს, ვიდრე მთავარ გზას მიაკვლევდე.

მიჭირდა გამხელა – შევების მაძებარი, ამაოდ დაეშვებოდი უღრმეს ფსკერზე. მეშინოდა, მოშიშვლებული მკერდი არ დაეფლთა გავემებული ურჩხულის ეშვებს. გინახავს პომპეის მოზაიკა, ზღვის ფარფლებიანი ბინადრებით მოფენილი, მოყავისფრო, თითქოს ცაში ავარდნილი ღვინის ფარფატა ფერფლი ნაყარესო; ნაცრის იერიც დაჰკრავს და თევზებსაც ლევა, ტყვიის დარი კანი გადაკვრიათ. შუაგულში ტოკავს, იფხორება თვალბდაელმებული, გვირგვინმორგებული მორგვი, პოსეიდონის მახინჯი მეტოქე, ობობად გაფარჩხული რვაფეხა. მონაა ამოუყორავი სტომაქის; ერთი დალაქავებული, ფოლაქიანი ფეხი, ბაკანიდან გამომძვრალი განდეგილი კიბოსთვის ჩაუმარყუყუბია, იმ შვიდ ფეხსაც ტალღებივით გრეხს, არ დატოვებს დაუნაყრებლად; მარჯვნივ მშუქარი კალმარი მიექანება, არც იმას დააყრის ხეირი. ზემოთ საშიშინო, ტაფისებრ მორგვალბებული, ხორკლიანი კამბალა ირწევა. შეუძლებელია, სადმე არ გაილანდოს მსუქანი, ქერეჭებშემოჭერილი ქორჭილა. სლიპი, შავ-შავ ნერტილებად განწილული გველთევა ქალივით იზმორება, მოთენთილს, მუცელაზნექილს, გავაშიშველს, უჭირს კვერთხივით შემართოს ტანი. აქ ვარო, თავს გახსენებს შავდრუნჩა, გალურსული, მოალერსე ორაგული. მოკვივით წვრილ თვალებს აციმციმებს თასმებიანი, შეჯავშნული ლანგუსტი. ლექს ამღვრევეს ხერხემალგადრეკილი, ღრჯუდ გამომხედვარი, რქოსანი ღორჯო,

იქვე ქანაობს მსხვერპლის საკვეთებლად დაკუნთული, ჟინატეხილი ტახთევა. არ დაეინყნა უბადლო ხელოვანს, სტიქიის გულ-გვამის განმჭვრეტელს – ცახცახებენ ღამის უკიდევანო ფარდაგზე გაფანტული ნაფოტა თევზებიც. ნახევარსაც ვერ ვცნობ. დრო იყო, დასანაყრებელ, მოყაყანე რომაელებს ლანგარზე ელაგათ, წვრილ ბადეში მოყოლილები, დაფნის ფოთლებში ჩახარშული... უმრავლესობას ფხა აქვს აშლილი, დამტვრეული ქოლგის ჩხირებივით ამოყრილი. შლამი უგროვდება ნითელ ლაყურებში, ვულკანის ამოფრქვევას ელიან, გაყურებულან (ამ დროს, ცეცხლისმნთხეველი ვეზუვის ძირში, ზღვის გაშავებულ ნაპირთან, თევზით ალებს პირს, ხრიალებს, საკაცეზე გართხმული პლინიუს დიდი...).

ყველაფერი ეს და უფრო მეტიც – ცოცხალი, ამოძრავებული, თავად იხილე ზღვის ფსკერზე. უნახავად როგორ დატოვებდი მაღალ, ნიღბებდატანებულ – ნეპტუნისა და ამფიტრიტეს ჭრელ, მოჭიქულ სასახლეს, მათი მოუსვენარი პირმშო, ტრიტონი რომ უვლის გარშემო. ეს თავად უნდა მოყვე (წყლის და ხმელეთის დამლახავი გამორდა ბალახებს, მამას ცაშიაც აპყვა).

გხედავდი – ოკეანის ცაში ავარდნილ, თვით ცაზე ლურჯ ტალღას ამოჰყევი, შიშინით რომ დაუყვა დაძარღვულ, გაბრწყინებულ, სოველ წვივებს... ტყუილად როდი დანერა ერთმა მრავლისმცოდნე, ჭკუასაკითხავმა კაცმა – ზღვისა არაფერი გაეგება, ვისაც არ უნახავს ტალღებზე შემდგარი ნეპტუნი... მე ვნახე იგი და არასოდეს დამავინწყდება. ვეცდები აღვადგინო ანარქიკი: ალბათ გეხსომება ვალტერ კრანეს სურათი – „ნეპტუნის ცხენები“ – ქარვის, ფირუხის და ზურმუხტის ფერებზე ირწყვა აყალყული ზღვა. ნაპირზე მუზარადებივით ყრია ნარიყი, მოღნიშებული ნიჟარები. მთავარი მაინც თეთრი, ტორებშემართული, ქაფგამდინარე ურა ცხენებია (იმათ წინაპრებზე ყელდაგრებილი, ფერდებდავარცხნილი ტალღები უცვნიან). ვის არ დააფრთხობს ველურად მოჭიხვინეთა დატენილი ფრუტუნი, ფრთხილნი! დუჟი წვეთავს, ნითლად უელავთ ბუდეებიდან გადმოსაცვენი, სიგაჟემორეული თვალები.

რიყის ქვებივით მომრგვალებული, მკერდის ჩამანგრეველი ფლოქვების ნაცვლად, ჯაჭვივით ჩხრილა ურჩხულის – გრიფონის – გაფარჩხული ფრჩხილები გამომბიათ. მოუშორებიათ ლაგამ-ავმარა. შემშრალ ფერდებზე, კისრის დაღარულ ნაკეცებში, ძაფზე ასხმული, თხილისტოლა მარგალიტები გაბნეულა. უფრთებოდ ფრთონავენ. ქარიშხლის ზმულიში, ძარღვებდაბერილებს, აღარც დასჭირდებათ სხვა აღკაზმულობა. მათ ზურგს უკან, თიანვერგანენილი, შორეთში მზირალი, მკლავებგამოღლი ნეპტუნი ცალი ხელით ბადეს ისერის, მეორეში სამკაპა, გრძელი ჭვილითი ჩაუბლუჯავს, სპილენძადაკრული, ალანძული ტანი ფიჭვის მერქანს უგავს, სარქენად ემზადება. მფუტქავ, მოღელილ მკერდზე შეუბამს მძიმე, განაბული, უნაბისფერი თვლების მძივი. შიმშურის დაკერისგან იცავს მუხლებს, მოშიშვლებულ მუცელს, მოციალე ფარი. სურათის გასწვრივ განლაგებული უცხო ცხენები მეცხრე ტალღაზე გადაფოფრილან, სილაზე დაშვებამდე, მატყლივით თუ ღრუბელივით გაწენილი ფაფრები უფრიალებთ. რას გიხსნი ამდენს, ორეული ხარ – შმაგი, გონებაარეული პოსიდიონისა. თავად ერეკები სტიქიასთან შერკინებული ბედაურების რემას, ოქროსწლიქიან ერკემლებს...

ვინახე, ვერ გითხარ სათხოვარი: ნუ დაიზარებ, დამიხატე დახრტილული, გემბანზე გადამდგარი, საყვირმომარჯვებული ტრიტონი, ამფორისტანიან ამფიტრიტესა და „დედამინის შემაბარბაცებელი პოსიდიონის“ ნაშიერი, შუბლის ძარღვების დასკდომამდე რომ ჩაბერა ნუჟრიან ნიჟარაში. ფხა მოგდევს ფხიხელს. ამოყვინთვისას ხომ არ გადავიარა ამყ სახეზე „არგოს“ გრძელმა, მოცახცახე ჩრდილმა? ტანჯვას გვარგუნებენ არგაგონილს. გვასხოვდეს – ჩვენდა სასიკეთოდ არ ჭრიან სპერის დაგრაგნილ ტალღებს კედარის ბრტყელი, ჭრილა ხოფები... გაგვნირავენ დასალუბავად... კუდმოკლე, ყრანტალა ყორნებიც ავად ტრიალებენ, გვმტკიცებენ. არგუსის ათასივე თვალი უნდა დააცეცო, ხომ არ მოცოცავს – ბინძური, სამძორე გველეშაპი, გამომიგნულ მთებშუა განოლილი, დაძიძგნილ სამშობლოს, ჩვენსას, ჩანთქმას რომ უქადის, ჩათქმულს!..

სიბეცედ ნუ ჩამითვლი კითხვას: შეგ ზარა თუ არა იმხელა სიღრმეთა მოხილვამ, შებარბაცებულს, როგორ არ დაგისკდა საფეთქლები, შავ უფსკრულს რომ ჩახედე? იმ დროს უნდა გაგხსენებოდა ძველი ეპოსის ერთი დამაღონებელი ნამტვრევი, ტინის ხეულში ჩარჩენილი: „ღრმა სიკვდილის წყლები, გზას რომ გვიღობავს.“ ღმერთების ნათესავს, ხანმოთუფს, ღამენათესს, სად გექნებოდა იმის თავი (სხვა ზრახვა მიგაქანებდა ყიამეთში), დაძირული ატლანტიდის ლანდიც გექებნა. შეგცვლის, ცვილივით დაგარბილებს „ოკეანე, ყველა მინის გარემომცველი.“ ვიდრე სულს დაფლევდი, მინდოდა მეხილა შენი ხელდანავლები ნადავლი. ვინ აყაყობდა მზერას, რა შემზარავი იყო აგრიალეზული სიმაგრე, უუნაგრო მორევი, შენმა უდრეკმა თავ-კისერმა რომ ამოანგრია. [ერთი ვერ მომიცილებია, მოცელილს, ახალი ხილვა მეძალეა – ვარსკვლავთა კალოს გამლენავ კოლოსებს შემენის, გრანიტს დაფშენის მარმარლოს ბოძებზე ჩათლილ, ღვთისგან ნაბოძებ ფეხებზე დგომა. მე ვერ გავრძნობინებ ქეშად გამომხედვარის ქშილის, ამოქმენას, რასაც მხოლოდ ჰეფესტოს სამჭედურის შავად დაკეცილი საბერველი ანდა პოსიდიონის უბერებელი, რვალით ნაქსოვი ფილტვები გაუძლებდა. სახე და თვალები ამბობდა მისი: არ ღირს ხილვა მოუხელთებელი, ქაოსის შრიალში ჩამარხული, ამოუხსნელი საიდუმლოსი. სულერთია – ცოცხალს მაინც არ დაგტოვებსო. ბრიყვი ვიქნები, რომ არ დაუფერო. სიცოცხლის მომცემი თავადვე მოგაკვდინებს. ვერარამ შეცვალოს სამყაროში დაუნებებელი დინება. არავინ გეკითხება – ზომას, კუთხეს, ოდენობას.]

გარჯლებულმა, არყოფნის მაჯლაჯუნას თუ არ გადავალაჯე, უმჯობესია – მაჯები გადავიჭრა, ხორცი დავიგლიჯო ჩალურჯებულ, უილაჯო ტანზე. არ ვჩქარობდი, ქანცის გამწყვეტ ციცაბოზე ვიცოცე, ჩქროლვას ვიოკებდი, ფიჭვის თაფლისფერ, ქერქზე გამოჟონილი ნაცრემლივით ვაგროვე სათქმელი. თაბაშირი თავად მკვდარია, სახის ფერს კლავსო, ამბობს დიდი მეზღაპრე და უნდა ვენდოთ. ჯობს ცივ მარმარლოს მივანიჭოთ უპირატესობა – რამდენის მანიშნებელია თუნდაც შენი შუბლი, გვერდზე გადახრილი, ფიდასის საჭრელით ნაკვეთი და ნათალი, თეთრი, გამთლიანებული... ვინ შეძლებს, ტყვიით დაფოთილი, დაუფლეთი, ვიკივის ჩაჩქანი დაგიჩქქოს? აქციუმთან გამარჯვებული, ტრიუმფატორი ავგუსტუსის ქანდაკება გაიხსენე, რამდენ რას იტევს ბრძოლის ველად გადაშლილი, ქარაგმებიანი სამკერდული – ლავინებს ზემოთ, იქეთ-აქეთ, ნეკნების დამლენავი, უღრანის ლომ-ვეფხვი ღრინავს. ვერ დავივიერებ, შენი შორი ბიჭობაც არ გახსენდებოდეს, დედის ხსენივით საამო, ის დრო, სისხლი რომ ჟრიალებს და განვება... ვინ გაზომოს, რა ძალისაა – მოღელილ, ბურღალ მკერდზე ამოზურცული, ძუძუსთავების ორი ღილი, ჯავშნიან ნიჟარებზე ნამახული, წყალ-ხმელის ხმალდახმალ გამბურღავი?! უშნოდ გავიფლანგე, ჭვანგები დამეჟანგა. ცინცხლად, ცოცხლად ვერ ავინთე, უძილობისგან ამონითლებული ნარიონალის უძრავი ტბიდან ამოგდებული, ბალახზე მოფართხალე, ვეებერთელა, ყვითელი კობრი ბრიალა თვალები,

ჩრჩილის გაფრენაც რომ არ გამოეპარება. ვტრიალებ, ვნატრობ, დიდხანს, დიდხანს უყურებდე ამ ჭრელ, მოუდუნებელ დუნიას, მოჭრილი ჭადრის ნაადრევად ამოყრილ ყლორტებს. ათას წელიწადს მესმოდეს შენი ხმა, სიცილი. ტანი გიგრძნობს, ნაბიჯ-ნაბიჯ გაიხლოვდება სუსხი – ფრჩხილებში ყინვის ნამჭერი, ქუჩისპირა ოთახში შემკეტავი, ნაჯაფ ფუნჯს, ასეთ დროს, კალამს ამჯობინებ. გულდასაწყვეტიც არაფერია; ფერს სიტყვა შეენაცვლება, ცეცხლოვანი,

ფერხორციანი. ეს გასტანს მთებში აპრილის აბრიალებამდე. ორმხრივ ირჯები, ორივე გემარჯვება. ცოდვის ჭურჭელად დარჩენილი, ძველ, მოურჩენელ იარებს ერჩოლები.

უკვდავების დასაურვებლად, გილგამეშივით გადაშვებულ დაუგეშავ ტალღებში, რა მოიძიე, შესახარბებელი, უძილომ, აქელთებულმა, გულამოვარდნილმა? ყველანი ვიცვლებით, სადაა მოცლა. შენც ხომ დედის მუცლიდანვე იცი; გაქსუება, თავის მოტყუება – ბუნებას, სასნაულთა მქსოველს, რამე ასწავლო. ვერ გიგუბე დაუძღვრებულს, სურვილებგაცვლილს, ურგამორეულს, უსაჭურვლოს... ნუთისოფლის გამთანგველ, გაუთავებელ უკულმართობასთან ნაბრძოლი, ისეთივე ხმალჩაუგებელი, გაუჩანაგებელი დარჩები, როგორსაც წარმოგიდგენ. ვერავინ დაგინახოს ხორციელმა, ყოფამოძაგებული, ნაგებანაგებები. რა ძალა უნდა გქონდეს, მთელი ცხოვრება ნიჟარის ფორთოხლისფერ სადაფში ჩაგრაგნო, ყველა სიკეთე დათმო, ქვეყნად არაფერი დაგენანოს. ძვრას ვერავინ უზამს, ვერც რა დაბზარავს, ღმერთების დაგზნებულ ქურაშია გამომწვარი შენი ტყვიასავით მძიმე აგური (რკინის დარტყმაზე რეკავს!), რამ უნდა გააჩანავოს მაღალი გალავანი, შვიდი ქურუმის ანაგები?! გულ-მუცელს გიხოკავს, კანრავს უხიაკი, ნისლისფერ ლოლუებზე ამღვრეული, გაუმხელელი ნუხილი, სტალაქტიდის ნახნაგებივით ნაგროვები, ამოზრდილი.

დაშვენდებოდა შენს სხეულს, ასხივებულს, გლუვი, ქვის დამამსხვრეველი ფლოქვები. რას აღარ შეეხალე – ძველი თუ ახალი, ვერავინ დაგინუნოს ნახელავი. ქვაში სხივს აწნავდი, სხივში ქვებს აჯენდი – ნაირფერს, პატოსანს. ანათებს, მწვანე ზღვა ეგონებათ, ველი რომ დაინახონ, შენი განათობი. გამიკვირდა, დაუფრთხობელმა, ულაყვიით მფრთხინავმა, ისე ამოყვინთე. ნამითაც არ გაიფიქრო, ვპირფერობდე, გამხნევებდე, გამუნათებდე – ეს იყო შენი სიმხნევის, სიჩაუქის ელვისებრი, დაუღამებელი გამონათება. რა ხანია, იმ შეთქმული ხატის მოჭედვას ლამობ. სვიანო, ვინ გასწავლის, რომელი ქვა თუ მინერალი სად ჩასვა, ჩატოვო, თავისივე ფესვებიანად – ბივრიტი, ბერილი, ტოპაზი, ონიქსი, სერდოლიკი... – კენჭებზე ნახეხი და მონანავე, შეუსვენებელ ბრუნვამი ნახოხილები. ეგ შენი ხელობაა. გული მწყდება, თავად არ ვარ კმაყოფილი. ძვირფასი თვლების უზომო, თავგადაკვლულ მოტრფიალეს, ვერ ავიცხე მზეზე აალებული ოქროს ფიალა.

რაა დასამალი. ბედკრული, წლობით ნალოლიავებს, გამონურულს, წრედ რომ ვკრავდი, მნიფე, კრიალა კაკალივით მსურდა დამეკროლა. ნატიფ აღნავობას, ცხადია, ვერც მუხის ნაყოფს – თავმოკენკილ, ბუდეში მჭიდროდ ჩასმულ რკოს დავუნუნებდი. არ გამიმართლა, ვერ გამოვჩარხე სურათები, დროის მოკანკალე სარკემი ჩარხეული... აბჯარასხმელო, არ მინდოდა, ყელზე მობჯენილ, შმაგ მთავონებასთან შენი შემოურკალავი შერკინება – ასე უსახური, მჭლე, დაკოჭლებული გამოსულიყო. სიბერემაც შემბორკა, თავს ვერაფრით გადაახტები. არცაა გასაკვირი, გამჭირვებოდა ლაგამამოუდებელი ნაჭრების დალაგება (როდის მქონია ბედი?! თუ ჩავარდნაა, დიდ ორმოში ჩავვარდნილიყავი!). ეგების მიჩრჩიო, რითი შევავსო გაპობილი, ახრიალებული ხრამი... რამდენს დაიტევს ჩვენ შორის განოლილი თუ განელილი ათიოდე წელი? როგორ გამოვთვალო, რა გავკიდო ზედ, რომ არ დაიზნიქოს და განყდეს, ქვესკნელში არ დამიტანიოს. თვითონაც არ მჯერა, რამდენს უძლებს ეს უბადრუკი, გადრეკილი ხერხემალი, მკენესარე, დაწნეხილი ნეკნები. წყაროს, მაცოცხლებელს, კამკამას, ვერსად მივავენი, მიხურს გამოკალული სასა. უსასოომ, ასო-ასოდ აქნილმა, როგორც იქნა, ოდნავ ამოვისუნთქე, აფრისებრ დამებერა ფილტვები, აპრილის აშვებულმა ქარებმა მისაშველეს.

იღიმი. იღბლიანია გაღმა გასვლა, ცვილისფერი ბერიკაცის ფერისცვალება. სიცხისაგან რეტდასხმულნი, ჩეროს დაეძებენ და იფქება დღეები მოკვდავთა. დრო აღმართს ეჭიდება, ხლართებიანს, წრე უნდა მოიხაზოს ჩამეკეტი. ხომ დაკვირვებხარ – მტვერიც, სხივზე ასხმული, წრიულად ბრუნავს; ასეა, არ აცდება დედასთან, შენს ძირთან, გამაბრუებელი დაბრუნება. პირველ თოვლსაც შემურდებოდა შენი დათლილი თითების სისპეტაკე. არ შეკრულ, კეფაზედაც რომ დაგადოს გაფაფრულმა მნათობა ლომის ტორი... ამატირებელი ნეტარება – დაუსრულებლად ჭვრეტდე ლურჯ, უძირო თალს, ჩაუსვლელად მოსრიალე ფაეტონს, არ გელღებოდეს ნაღველშეპარული თვალები. ვერა გონება ვერ აღრიცხავს, რამდენი წელია ნარეცხილი მას მერქი!.. შენი მოუსვენარი ფესვი მინდა დავლოცო. მზე რომ შეიტყორცნა შემკრთალ, აშიშნებულ ცაზე, მის გულში ჩაისახე და დღემდე ის ცეცხლი მოგყვება, უმრეტე, გაუნელებავდ ლაღანებს, ლეილაღებით დატლულნი, შეუღობავი მინდორი? რის შესაღებავად ლაღანებს, ლეილაღებით დატლულნი, შეუღობავი მინდორი? კვართი შემომადნა, ვერ გავწე შენოდნობას. ნუ გაგიკვირდება, ჩამთვლიმოს. ვიცი თითონაც, ამ ლაყობას სილაღე აკლია, ღელის ლულულად ჩამითვალე.



სალამოს საინფორმაციო გამოშვება:

„დღეს, სალამოს 6 საათზე, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტრასაზე გადაჭარბებული სიჩქარით მავალმა სამხედრო ჯიშმა მოახდინა მოულოდნელი გადასვლა გზიდან და გადაჩეხილ იქნა დიდი სიმაღლის ხრამში. მალევე განხორციელდა მანქანაში მსხდომი ექვსივე მგზავრის, რომელთაგან ერთი აშკარად უცხოეთის მოქალაქეა, გადაყვანა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. როგორც საავადმყოფოდან გვაცნობეს, მათი მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს სცდება. ექიმები ერთდროულად ექვს სიკვდილთან ბრძოლობენ და ყველა ღონეს ხმარობენ დაზარებულთა გადასარჩენად...“

წვიმდა. გალუმპული ყვავი წვიმისგან დასაცავი ალაგის ძებნაში აქეთ-იქით დაყრანტალებდა. ფუნქიკულიორის მთაზე გაჩერებული ემბისის ბორბლის ქიმზე, ერთ-ერთ, ოთხსკამიან კალათში ექვსნი ისხდნენ — გოგლიკა, ნოე, არმენა და სამი გრძელფეხება გოგო. წინ ზამთრის დანის-ლული თბილის-ქალაქი გადაშლოდათ.

—სად წავიდა ის ქლიბი? — იკითხა გოგლიკამ ამრეზით და ძირს ჩაიხედა.

—წვეთრეოდა სადმე ისევ ჩასახეთქად... — გაეპასუხა გოგლიკას მის მუხლებზე მოკალათებული ანა.

არმენა გვერდითა სკამზე მჯდომ შავ გოგოს მიატყურდა. გოგო კბილებს ერთმანეთზე აკანკანებდა და აშკარად ეტყობოდა, რომ ციოდა.

—ვოტ წებე! — გაიძრო ქურთუკი არმენამ.

—აბუდა მალაკა... — დასცდა გოგოს გალურჯებული ტუჩებიდან და ქურთუკი ჩამოართვა.

—ჩევო? — შეეკითხა არმენა ანას.

—რა ვიცი მე... არცერთი ენა არ იცის მაგან რაცა ბანტუ მეტი. ბანტუ კიდო ჩვენ არ ვიცით. ჰოდა, ქე გვიხსნის ყველაფერს ხელეებით. ტანხანიაში ყოფილა ტომი სახელად „გოგო“... და იქიდანაა აგი. ჩვენც გოგოს ვეძახით და უხარია...

„გოგოს“ ხსენებაზე შავ გოგოს თვალები აუბრწყინდა და თეთრი კბილები გამოაჩინა.

—რა ტომი, ჩემი კაი? ველურია? — გაუკვირდა გოგლიკას.

—რა ვიცი მე, ველურია თუ დალაგებული. ერთი კვირაა, რაც მიიღეს... ზაირა არ იცით თქვენ? საქონელი ქალი რომაა, ტყლიპიანი. იმას ჩამოყავს გაჭირებული ზანგის გოგოები აფრიკიდან და არიგებს თბილისის და ქუთაისის საუნებში. წილში უზის მერე ყველას. მეც მაგის მიყვანილი ვარ მაქანა...

მეოთხე სკამზე ნოე და მაკი ჩახვეულიყვნენ და კაი ათი წუთი იქნებოდა ერთმანეთის ენების დეგუსტაციაში იყვნენ.

—ამათ შეხედე! აე! მოვედით! — შეუძახა წყვილს გოგლიკამ, მაგრამ მათ არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ. — არ გადადოს რამე...

—ჩვენ ყველა სუფთები ვართ, გენაცვალე! — აღმფოთდა ანა. — თვეში ერთხელ ვენ-დისპანსერში დავყავართ. ავანტყოფს და ტრიპერიანს ვინ გააჩერებს ჩვენკენ, იმისთანა ქალაქური საუნაა.

—ანა ტოჟე? — გადახედა არმენამ შავ გოგოს.

—მაგ რა, გამონაკლისია? მერე რა რო შავია? მაგიც ჩვენნაირი ღვთიშვილია... მეიცა და, რო დევიყვიროთ? იქნებ გეიგონოს ვინმე ღვთისნიერმა... ღმერთო, ყველა დენის უდროო დროს გამომრთავი მანახე კუბოში ცივად ჩადებულ... — გამამაგებით გამოისახა ანამ პირფვარი.

კალათაში სიჩუმე ჩამოვარდა. მთავრობის სასახლის მხრიდან ავტომობილის კაკანი გაისმა.

—ტარიბო აკალი ფადიგა... — ტუჩების კანკალით თქვა გოგომ.

—რაო? — ერთდროულად შეხედეს ანას ბიჭებმა.

—რა ვიცი მე... მაგიც ჩემ აზრზე იქნება... ალბათ „გვიშვლეთ“ დევიყვიროთ მაგანაც... დევიტელი მაინც მე სამამდე! — ქარუმაღობონდე ზუმა. — ძლივს ამოაკანკალა გოგომ და არმენას ქურთუკში კიდევ უფრო შეიფუთა.

—ცუდი სიტყვები ხომ არ გავარბე? დე-ვუშა! პანიკა ნე ნადა! ესო ოკ ბუძეტი! ოკ? — გადაუსვა თავზე ხელი არმენამ გოგოს.

—დიდი-დიდი რა უნდა დაგვემართოს?

ბესო ხვედელიძე

სიკვდილის ბორბალი

— დასვა კითხვა გოგლიკამ.

—რა უნდა დეგვე-მართოს და... — გამოცოცხლდა ანა. — ჩამეძინოს სადმე იმ უპატრონოს. და არავინაც არ მევიდეს... დაგვალამდეს. მივეყინოთ ერთმანეთს და დილაზე გვიპოვონ მკვტრები. ღმერთო, იცოდე, გავგიჟდები და გადავხტები აქედან! — კალათაში ისევ დუმილი ჩამოდგა. მაკი და ნოე კვლავ არ ცხრებოდნენ.

—იფ-იფ! ისე, ჩემებს რა ხანია კაი ქელეხი არ უჭამიათ... — გაიზმორა გოგლიკა და ანამაც უმაღ ნახად ნამო-არტყა კეფაში ხელისგული.

—მაგისთანა ხუმრობის დროა ეხლა?

—მეორეჯერ ეგრე იზამ და... — იძრო უცებ იარაღი აძაგრულმა გოგლიკამ და ანას კეფაში ჩაუკაკუნა. — ...დაგაყენებ აქვე რაკამ, გაიგე, შე ზესტაფონო?!

—ზესტაფონოც ხარ და ჭიათურაც! გამაკვირვა ეხლა... — გამოუყო ენა ანამ გოგლიკას. — კარუსელი რაია... ამნე-კრანზე არ ვარ რო ნამშუთი?!

—მე ჩემი ვითხარი!

—ჰე, რას ვევირივართ? არ დევიტვალო? და მერე ყველამ ერთდროულად დევიყვიროთ „გვიშვლეთ“!

—ნაჩინაო! — შეაგულიანა არმენამ და გოგლიკას თვალი ჩაუკრა.

—ერთი, ორი და სააა-მი!

—გვიშველევეთ!!! — იხავლა მხოლოდ ანამ. ზანგი გოგო მოულოდნელობისგან შეხტა. ხმა საცოდავად გაიფანტა წვიმიანი ქალაქის თავზე და ხეებს შეფარებული ყვავები ააყრანტალა. გოგლიკა და არმენა სიცილისგან გადაბჟირდნენ. ნოე და მაკი ისევ კოცნაობდნენ.

—აუ, რანაირი დებოლები ხართ ორივე! — გაბრაზდა ანა.

სამი საათის შუადღე

წვიმა გადალუბას არ აპირებდა. ანა კვლავ გოგლიკას მუხლებზე იჯდა, ხოლო ზანგი გოგო არმენასთან გადამჯდარიყო. ნოე და მაკი ისევ ერთმანეთში იყვნენ ჩახლართულები.

—რატომ ისვრიან ასე გოუჩერებლად? — მიაყურადა ანამ და გოგლიკას მკერდზე თავი მიაღო.

—არააჲ ჩანთხლევდა ვინმე ბუნკერში... სხვა რა უნდა იყოს...

—ეგენი ამოწყდნენ ერთ დღეს ორივე მხარე! არ შეგვჭამეს ე წესიერი ხალხი ცოცხლად? ერთობიან ამ მიტინგებით და აღარ გაცდიან ცხოვრებას... თქვენ ვის მხარეს ხართ?

—არაა შენი საქმე!

—დამალეთ, ხო, დამალეთ! ძაან არ მაინტერესბდეს ზვიადისტი მიხმარს თუ ოპოზიციონერი... ანე ჩემი ფეხი არ იქნება არც ფუნქიკულიორზე და არც ამ კარუსელზე! — ამოხეთქა ანამ და გოგლიკას ბრაზით ახედა. — სუ შენი ბრალია ყველაფერი! სად ამოგვათრეე ეს? ღმერთო, გავგიჟდები-გავგიჟდები-გავგიჟდები... — ჯერ ეგ ერთი, ეს კარუსელი კი არა — ეშმაკის ბორბალია, შე ბანძო... და მეორე კიდე, მე რა ვიცოდი, დენი თუ წავიდოდა... — აიჩეჩა მხრები გოგლიკამ.

—რა გვინდოდა აქ, რო ეიჩემე, დავანახოთ სტუმარს ზემოდან თბილისი... გონია ძაან აინტერესებს? გავდეს მაინც რამეს. ჩამქრალი, ჭუჭყიანი, აქოთებული... მაგის დრო იყო ამ გაგანია სიცივეში?.. ნავსულიყავით პირდაპირ იმ თქვენ ბაითშია თუ საცხა, და გვექნა წყნარად საქნელი... გადამრევთ თქვენ ამდენი სტუმარ-მასპინძლობით! არა, მართლა გავგიჟდები-გავგიჟდები-გავგიჟდები!

—ზატკის რა! — დაუცაცხანა არმენამ ანიკვინებულ ანას და დანისლულ ქალაქს გახედა.

—მანდუნე კეიტა ფინიდი. — უმწოდ ამოღერდა გოგომ.



ცაში ყვავამა ორჯერ დაიყრანტალა.

—იტოგში, თუ არ დაველოდებით, ცვეტში მოვა? — იკითხა ღიმილით ნოემ.

—ეგრე გამოდის...

—სად წავიდა ის დებოლი? — ჩაიხედა ქვემოთ ანამ. — დარაჯიიი!!! სად სიკვდილში და არგდარჩენაში წვეთრიე, დარაჯიიი!!

—ონ ნე დარაჯ, ა მეხანიკ. — შეუსწორა არმენამ.

—მეხანიკი კი არა, სირაკუზაა ვილაცა... — საყელო აინია გოგლიკამ. — ხომ იცის, რომ აქ ვართ... არ უნდა მოგვხედოს?

—მე ვიცი, კაკოი ბაზარ. — დაიწყო ახსნა არმენამ. — უ გზოდა ჩტო ბუდა სტაიტი, ტამ პილი კაკიე-ტა ხანიგი... იქ ცავიდა დასალევადა. მერე დოჟდ პაშოლ.

—ჰოდა იფიქრებდა, დაკრუგავს ეს ბორბალი და ჩამოვლენ თავისითო... — აუბა მხარი არმენას გოგლიკამ. — მაგან რა იცის, რო დენი წავიდა და ასე ვართ ჰაერში გაჩხერილები?

—მეიცა, კაცო! არ გადამრიო ახლა! რავა არ იცის? აქ თუ წვეიდა, იქანა არ წვეილოდა შუქი? — იკითხა ანამ.

—თან შეიძლება წავიდა და მოვიდა კიდევ ეგ დენი... — ახსნა ისევ გოგლიკამ. — მაგრამ ეს დედაფეთქებული ბორბალი თავიდან თუ არ ჩართე, თავისით კი არ მოიქოქება...

კალათაში ისევ დუმილი ჩამოდგა. —ჩემი ნება რო იყოს... ყველა მასეთს ჩამოვანჩრობდი ეგერ იმ ვიშკაზე... — გაფრინდა ოცნებებში ანა. — ეკორტნათ მერე ყვავებს და ჩამომპალიყვნენ ყველას დასანახად... ღმერთო, გავიჟდები, მე შენ გეუბნები, გავგიჟდები...

—ბაბანგაიდა ოლისე ოკოჩა. — სულ მოუშვავდა სახე გოგოს და საკუთარ ფეხებს შორის ჩაიხედა.

—გონია, მართლა უბორნიაში უნდა... — მიუხედა ანა. — ფიშ-ფიშ ხოჩეშ, გოგო? — მიირტყა ხელი ჭიპის ქვემოთ. —აუ, მეც ქე მომინდა ამდენ ქაქანში...

—იქით ხომ არ გავიხედოთ? — ღვარძლიანად ჩაეცინა გოგლიკას. — ახლა არ მითხრათ, აქ უნდა ჩავიხადოთ თავზე დავაფსათ თბილისს?!

—მოგვეხათრება... — გადაიკისკისა ანამ.

— იცით თქვენ ახლა, საერთოდ სად და რა მსოფლიო დონის ისტორიულ ქალაქში იმყოფებით, ჩემი კაი?! — იფეთქა გოგლიკამ და ისევ იარაღზე მიიღო ხელი.

—მაგის გამო მე ვერ მევიტმენ და გვეიფუჭებ ახალ ჯინსებს... აგი მით უმეტეს... —ატსტან რა... — დაანყნარა არმენამ გოგლიკა. — ძერევიანა, ვიძეშ ყუ...

—გეიხედეთ იქეთ! — ნამოდგა გოგლიკას მუხლებიდან ანა და გვერდითა სკამზე გადამჯდარ გოგოს მთელი ტანით აეფარა.

—გვეფარები, თორე აქამდე ეგეთი არაფერი გვინახია... — ჩაიქიქილა გოგლიკამ.

—და განე ეს ვემ-მემოკი აქედან. რა ჭირად გინდოდა რო ნამოთრიე აქ?

—მოკეტე რა!.. და ნუ მასწავლი! — გააჩოჩა მოზრდილი ფოთა თავისკენ გოგლიკამ. — ეს ვემ-მემოკი კი არა, პარაშუ-

—ჩევო?

—ფესია გონია.

—მოგვბაძეთ და ილოცეთ ჩვენსავით ერთმანეთში! — ჰირველად აანება ტუჩები მაკის ტუჩებს ნოემ და შემდეგ ისევ ზედ დააცხრა.

—კარგი რა, უფროსო... კიდევ გჯერა მაგ სისულელებს? — აიმრიზა გოგლიკა. — ზუსტად სუ ჩვენთვის ცალია ღმერთს, აი... ღმერთი ისეთი როჟაა, ახლა მე ვიცი სადაცაა...

—სადაა?

—სადა და, იქ სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდებიან.

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

—სადაა?

ტია შე ყანა, ამერიკული. ზუსტად გადახდილ მანქანაში დავტოვებდი, რო მოეპარათ აი...

არმენამ და გოგლიკამ ქალაქს გახედეს. ქვემოდან სროლის ხმა არ წყდებოდა.

—კუშან ხოჩეცა. — თქვა არმენამ.

—კევი მაქ.

—დავია... ი კაკან ტოჟე...

—კაი მადა გქონია...

—მოვრჩით უკვე! — მოისმა ცოტა ხანში ანას ხმა. ბიჭებმა თავები მიატრიალეს. ანა და გოგო შარვლებს იკრავდნენ.

—სპრინტერები ხართ? — გაუკვირდა გოგლიკას.

ანა გოგლიკას გაეჭყანა და კვლავ მუხლებზე ჩამოუჯდა. არმენამ გოგლიკას დახედა.

—გოგლიკ, ვ იტოგე პაეხალ ია. პაპრობუიუ სლაზინ...

—მეიტეხავ კისერს! — აღმფოთდა ანა. — სველია, ბიჭო, ყველაფერი. ფეხი დაგიცურდეს, რა გიყოთ მერე... გაასხამ ტვინს!

—სად მიდიხარ, შე ჩემა? არმენჩიკ, სუ გაუბერე?

—პაშოლ, ა ტო, ტაკ სიძენ ჩტო ზა პონტ? იზმენა! თან ვ დეტსტვე სკალალაზსტვომ ზანიმალსა!

—სლუში, ეტა ნე სკალა ი ნე არარატ, არმენჩიკ! — გააფრთხილა გოგლიკამ.

—უკვე აძინ ჩორტ.

—აქედან პაკაკაი, ბიჯო! ვინ გიყურებს, ტო? აგერ ამით დაფსეს, შენ ზემოდან უქენი და ჩვენ საერთოდ დავაქცევთ რომ ჩავალთ... — გაეცინა გოგლიკას.

—ბუმბაგი ნეტ. ნე მაგუ ტაკ. უ მენია სავსემ დრუგოე დასტონისტვო...

—სლუში. — აელუნა სახე გოგლიკას. — იდი ტაგდა ნახუი სვიომ გავნომ. და რაც გინდა ის ქენი!

—არ გადამრიოთ ეხლა! — აკვილდა ანა.

— არსად არ გაგიშვებ! მოკვტები, შე უბედურო. — დაებლაუჭა თან სამხედრო ფარაჯაზე.

გალიზიანებულმა არმენამ იარაღი იძრო და ანას ტუჩებზე მიაღო.

—სკვანოი კარიეს ხოჩეშ, დურა?... უბერი რუკუ!

დამფრთხალი ანა გოგლიკას ჩაეკონა. ზანგ გოგოს შეშინებულს გადაჰქონდა მზერა ერთიდან მეორეზე და ვერაფერს ხვდებოდა. არმენამ რომ ფრთხილად ჩაძრომა დაიწყო, მაშინლა თქვა სევდიანად:

—მიმბონდა, მბაბანე, ლასენდა...

არმენა მალევე ჩაიმალა ნისლში.

ეპისი საათის შუადღე

უკვე ბნელოდა, მაგრამ წვიმა მაინც არ ცხრებოდა. ქვემოთკენ, მუქ ნისლში ხანგამოშვებით კრთებოდნენ ტანკებისა და ქვემეხების მანათობელი ლულები.

—გადავდები ეხლა ჭკუიდან! — ამოიკენესა ანამ და ნამოდგა. — მეიფიქრეთ რამე, თორე დავწყდებით აქანა ყველანი. ყინავს უკვე... მომკლავენ სახში.

ზანგი გოგო მუხლებზე იდგა და რიტმულად აქნევდა გოგლიკას ლაჯებს შორის ჩადებულ თავს.

—ცოტა ნახად, გოგო, შე ჩემა! — დაქაჩა თმაზე გოგლიკამ.

—ნკონო ბაბაიარო ამოკაჩი... — აილო თავი წამით ზანგ გოგომ „გოგოს“ გაგონებაზე და მერე ისევ დანყებულ საქმე განაგრძო.

—რაო? — დანიტერესდა გოგლიკა.

—რაიო და რას მირტყამ, შენი გაკეთებული კი არა ვარო... — ჩაეცინა ძაგძავით ანას.

ნოე და მაკი ერთმანეთში ისევ ერთმანეთში ჩახლართულიყვნენ და ნასიამოვნები სახეებით ეძინათ.

—შენ ანა რა პონტში გქვია? — ახედა გოგლიკამ ანას.

—რავა...

—ისეთ ზესტაფონსკი ვიდზე ხარ, რამე ფაცია, ტასია ან ზაიბალა... თფუი, იზაბელა უფრო მოგიხდებოდა... ეგ იგივე ბაზარია, მე რომ ვეფხია მერქვას, ან ხირჩილა...

—გადაშენდი აქედან! ხირჩილა ხარ, მა ვინა ხარ, რას გეგხარ? — გაელაზლანდარა ანა.

—მაგ საუნაზე უკეთესი ვერაფერი იშოვე?

—რა ექნა აბა? ქმარი ლოთი მყავს. თითს თითზე ვერ დააკარებინებ... ან სვამს, ან ძინავს, ან მირტყამს. ბოვებებს კიდე, ჭამა არ უნდათ ან დახურვა?

—მერე სახში იციან?

—გედერიე? ხო დამხოცეს სათითაოდ!.. სახში იციან რო მიმტანად

ემუშაობ "სამოთხეში".
 ქვემოთადაც ისევ გაუთავებელი ბათქა-
 ბუთქის ხმა ისმოდა.
 -დაცხეს მგონი ერთმანეთს... - თქვა
 უცებ გამოფხიზებულმა ნოემ.
 -მე ჩვენი ბედის დედა ვატირე რა... -
 დანანებით აღმოხდა გოგლიკას. - ეს სად
 ვართ... რა პრემიები იმაზე...
 -არმენა სადაა, ტო?
 -ტულატიში მოუნდა და ჩავძვრებო...
 ხუვივზნაეტ ჩაძვრა თუ რა ქნა. არ ჩანს...
 ნისლია.
 -სად გაუშვი, შე ჩემა, გაგიფდი?
 -ერთი მაგის ძალად ვაიკა დედაც...
 -ცეცხვივ... - ძლივს ამოღერდა მაკიმ
 და ნოეს უფრო ჩაეხუტა. - ცემი ფუმფუ-
 ლა კუდრაჭა რას სება ნეტა?
 -ვინ შენი კუდრაჭა?! - შეეკითხა გოგ-
 ლიკა გალიზიანებით.
 -ცემი კატუსა... იცი რა ბენევი აქ? ნამ-
 დვილი ციმბირულია... კნავის ალბათ
 ცაცკალი...
 -ტფუი, ბლიად!
 -არ გაგვეყინოს და მოგვიკვდეს ეს ჩე-
 მისა... - დახედა ნოემ მუხლებზე მდგარ
 გოგოს. - შარები გვინდა კიდევ?
 -ხურდებ! - ჩაუტრა თვალი გოგლიკამ
 ნოეს. - ეგ როგორ იქცევა? - მიანიშნა
 მაკიზე.
 -რაი... ენა კი აქ სახაშე პირსახოცი-
 ვით.
 -ჩებურეკი მინდა. - ამოიკვნესა ანამ
 და თავი გოგლიკას ქურთუკის ქვეშ შემა-
 ლა.
 ნოე ფეხზე წამოდგა და ისე გახედა
 ნისლიან ღამის თბილისს. აქა-იქ ელავდა
 და ღამის ცაზე ცეცხლის ცისარტყელები
 ინელვობდა.

-არ დაგვიძინოთ, თქვე ჩემა, თორე გავი-
 პარებით ყველანი... ცეცხლი ხომ არ
 დაგვენთო... - იაზრა უცებ ნოემ.
 -რითი? გაგიფდი? - ანია თავი მაკიმ.
 -აგერ, ჩემი ორმაგი სამხედრო ბუშ-
 ლატი... - დაიხედა ნოემ. - შიდა მხარეს
 ჩავსხნი... მაინც არ მცია. იქნებ დაგვი-
 ნახოს ვინმემ...
 -ჩემ "ზიზოს" მე მაგაზე ვერ დავცლი.
 - აიმრიზა მაკი. - ძლივს ვიშოვე სპეციალ-
 ური ბენზინი...
 -გავგიფდი-გავგიფდი-გავგიფდი-
 ბი! - ანიკინდა ისევ ანა და თავზე ხელე-
 ბი შემოიჭირა.
 -მე მაქ ასანთი. - ჩაიყო ჯიბეში ხელი
 ნოემ.
 -აპასნია! - თქვა გოგლიკამ. -
 შუალამისას, თბილისის თავზე, გაგანია
 სროლაში, ცაზე გამოკიდული ცეცხლიანი
 კალათი შიგ როყებით, რა პონტია... რამე
 მეორედ მოსვლა არ ეგონოთ და არ
 ჩამოგვხსნან ზალპით იმ ჩემის გადან-
 გრეულებმა...
 -აბა ასე უსახელოდ დავიბრიდოთ? -
 ჩაიქნია ხელი ნოემ და სამხედრო ფარაჯა
 გაიძრო.
 -ისე, პარაშუტი კი მაქ თან... - თქვა
 გოგლიკამ და სივრცეს ფიქრიანი სახით
 გახედა.

ცხრა საათის შვიდე

-ბავშვთა სახლი, ძმაო! - თქვა აბაგა-
 გებულმა გოგლიკამ. - ორ კაცს ვკისრუ-
 ლობ, რა გინდა!
 -დაიბრძობით, ტო... - ჩაიქნია ხელი
 ნოემ და კალათის ფსკერზე კაი ხნის ჩამ-
 ქვრალ ბუშლატის ნარჩენებისკენ ხელის-
 გულელები გაიშვირა.
 -რომ არ გვიხსნას? - თქვა ანამ.
 -არ არსებობს-მეთქი! რამდენჯერ
 უნდა ვთქვა?! ათასჯერ ვარ გადმომხტარი
 და ჯერ არ უღალატია. - თქვა გოგლიკამ
 და პარაშუტიანი ზურგჩანთა კარგად
 მოირგო.
 -უი, ჩემ კატუნას სულ მალე ვნახავ!! -
 შემოჰკრა ტაში მაკიმ სიხარულით.
 -ბიჭო, ბნელა, შე ჩემა და რამეს ჩამო-
 ეცემებით... რა გადახტომა, ტო... არ ქნათ!
 -ეეე... - ჩაიქნია გოგლიკამ ხელი. -
 კატასავით ვარ სიბნელეში. დაჟე უკეთე-
 სად ვხედავ... ჰე, ვინ მომყვება?
 -მე! - წამოხტა მაკი.
 -მეც! - ასევე წამოხტა ანა. - თორე
 გავგიფდი-გავგიფდი-გავგიფდი...
 თან სახლში მომკლავენ... ჯერ არცეოთ-
 ელ დამიგვიანია და რა ვუთხრა?
 -დასტოვე! - აიძაგრა ნოე. - გააფრი-
 ნეთ სულ?!
 -კომანდორო! აქ უფროს-უმცროსი
 აღარ მოსულა... არმენა დაიკარგა, ჩვენ
 ცვეტში დანძრული გვაქ... ფეხები მეყ-
 ინება. სხვა გზა აღარაა. ქვემოთ რა ხდე-
 ბა, ვინ იცის. იქნებ ჩავუსწრო...
 -გავვარჯიშდეთ! გათენდება, ტო და

რამეს მოვიფიქრებო...
 -მკიდა, უფროსო!.. რომელი პატრი-
 ოტი მე მნახე... მაყუთის თრევის ასეთ
 შანსს ხელიდან ვერ გავუშვებ...
 -რა მაყუთი? - გაუკვირდა ნოეს.
 -ე, შენ რა მიამიტი ხარ, ნაჩაღნიკ! სან-
 ამ ქვემოთ ისინი ბათქაობენ, ჩამოვუვლი
 კაი-კაი სვეციკი ბაითებს.
 -მარადიორობას აპირებ, გოგლიკ?
 მაგაზე ხომ იცი რაცაა?
 -არა, შალახოს ვუცეკვებ! - გაიღრი-
 ჯა გოგლიკა.
 ზანგი გოგო არმენას სამხედრო ფარ-
 აჯაში გახვეულიყო და არაფერი ესმოდა.
 -ესე იგი... - თქვა გოგლიკამ. - აქეთ-
 იქიდან დამიდექით...
 მაკი და ანა უმაღ გვერდზე მოუდგნენ.
 -ამ კრიზისით მიგიბავთ ორივეს...
 დაიჭერს, ვიცი... ასე... აგერ ამას მოკიდე
 შენ ხელი და ხუთს რო გაიგონებ, გამო-
 ქაჩე მთელი ძალით...
 -კაი. - დაუქნია თავი მაკიმ.
 -აუ, გაგიფდი-გავგიფდი-
 გავგიფდი! - ამოიკვნესა ისევ ანამ.
 -დარჩი აქ და გაგიფდი მაშინ! -
 შესთავაზა გოგლიკამ.
 -არა... - გადააქნია თავი ანამ და გოგ-
 ლიკას კიდევ უფრო მაგრად მიეკრა გვერ-
 დიდან. - მიმასხმეინებენ სახლში ტვიზს...
 -ჰე, მზად ვართ? - იკითხა გოგლიკამ.
 გოგლებმა ერთდროულად თქვეს:
 -კი!!!
 -მე მაგრად მიჭირავხარ! სამზე ვხ-
 ტები და ხუთზე ქაჩავ!.. ერთი! მოვემზა-
 დეთ... ორი... ნავიდა სააა...

თორმეტი საათის შვიდე

ბათქაობის სახლი. ქალაქი გაუმჭირ-
 ვალ, თოვლივით ქათქათა ნისლს დაე-
 ფარა. ნისლს ზედა ზღვარი ფუნ-
 კულიორის მთის ეშმაკის ბორბლის
 ფსკერთან ჰქონდა. ისეთი შთაბეჭდილება
 იქმნებოდა, თითქოს მხოლოდ ცა, თეთრი
 ნისლის ოკეანე და ერთადერთი კალათი-
 და იყო დარჩენილი მთელი სამყაროში,
 რომელიც ამ უპირიზონტო ნისლის ზედა-
 პირზე ეულად ტივტივებდა.
 კალათში მხოლოდ ორი ისხდნენ - ნოე
 და ზანგის გოგო. ორივეს ეძინა.
 კალათის სახურავზე სველი ყვავი
 იჯდა და იქვე თეთრი მტრედი დაბაჯბა-
 ჯებდა.
 პირველმა თვალი ნოემ გაახილა, გემ-
 რიელად გოგომ და მიმოიხედა. მხ-
 ოლოდ გოგო რომ დაინახა, შფოთით
 წამოხტა და ქვემოთ გადაიხედა. რძესავ-
 ით ნისლში საერთოდ არაფერი ჩანდა.
 ნოე გოგოს მიუტრიალდა და შეაწვლ-
 რია.
 -გაიღვიძე!.. აე!.. ზანგი! გოგო!
 გოგომ ჯერ თვალები მოისრისა, მერე
 ოდნავ წამოჯდა და სახეშეშლილ ნოეს
 ღმინით ააცქერდა.
 -სად არიან? - აკანკალებული ხმით
 შეეკითხა ნოე.
 -ადუნე მფედე ბაკაიოკო... - თქვა
 გოგომ და ძალიან თეთრი კბილები
 გამოუჩინდა.
 -ეს რა ქენი, ღმერთო... - გახედა ნის-
 ლის თვალუნჯვენელ ფენას ჰორიზონ-
 ტისკენ ნოემ, შუბლი ხელისგულით
 მოიჩრდილა და შემდეგ ღამის ორივე ხე-
 ლით ერთდროულად გამოისახა პირჯ-
 ვარი.
 უცებ ეშმაკის ბორბალმა ძალიან ნელი
 მოძრაობა იწყო. ყვავმა და მტრედმა ერთ-
 დროულად შეიფრთხილეს და სახურ-
 ავიდან აფრინდნენ.
 ცოტა ხანში ნისლის ოკეანის ზედა-
 პირზე მოქცეული კალათა ჭრიალით
 გაუჩინარდა ნისლში.

**დილის საინფორმაციო გამოშ-
 ვება:**
 „...გინდა გაცნობით, რომ გუშინ
 დილით, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე
 ტრასაზე განხორციელებულ ავტოავარ-
 ის ერთბაშად ოთხი ადამიანის სიცოცხ-
 ლე ემსხვერპლა. აქედან ორი ქალი და
 ორიც სამხედრო მამაკაცი. აგრეთვე ჯერ
 კიდევ კომაში იმყოფებიან ამავე ავტო-
 ვარიაში მოყოლილი ტანზანიის მო-
 ქალაქე ქალბატონი და ქართველი
 სამხედრო პირი. როგორც რესპუბ-
 ლიკური საავადმყოფოდან ჩვენმა კორე-
 სპონდენტმა გაცნობა, მათი მდგომარ-
 ეობა მართალია კრიტიკულია, მაგრამ
 ექიმებმა დიდი ძალისხმევით შედეგად
 უკვე მოახდინეს მათი გამოკვლევა
 სიკვდილის ხელებიდან...“

**ლელა კოდალაშვილი
 დონორი**

(ერთმოქმედებიანი პიესა სამ სურათად)

დასასრული
დაჩი - იქ უარი ვუთხარი, კაცო. არ
 მანყობდა.
რუსიკო - წელს მგონი შეწყდა დოქ-
 ტორანტოთა მიღება. რაღაც რეფორმაა
 და...
დაჩი - ააა!..
ანა - კაი, დაჩი. მოკლედ, ჩვენ გავდი-
 ვართ ახლა. რუსიკოს მოსწავლე უნდა
 მოუვიდეს.
დაჩი - ხო, კარგით, აბა. გავედი მეც.
 დამირეკე რაა. ან აქ შევიკრიბოთ, ან
 სამდე დაგპატიყბოთ.
ანა - კაი. (ემშვიდობებიან)
თეა - აუ, ტიპი რა კარგადაა...
რუსიკო - ამას აქეთ თუ იხმარ. ისიც
 იმ შემთხვევაში, თუ ენას გააჩერებს,
 თორემ ამასთან დამწოლი ქალი არ გეიშ-
 ვა და ამისგან ბოვში კიდევ. ეს ვინ იყო, კა-
 ცოუ!
ანა - კაი, ხო. (დაფიქრდება) ისე, ამ ორ
 წელიწადში უარესად გამოსირებულა. ასე-
 თი მძიმე შემთხვევა არ იყო. (იცინიან)
რუსიკო - კარგით, ხო, დავამთავროთ
 ეს კასტინგი. აღარ ვაჩენ შვილს.
თეა - ასეთ კაცს რო დაინახავ, დეპრე-
 სია დაგწევება ადამიანს, აბა რა...
რუსიკო - არა, პროსტა აღარ მინდა.
 რომ ნარმოვიდგენ, ვილაცას უნდა მივცე
 იმის გამო, რომ დამაბორსულოს, გული
 მერევა. გეგონება, სტუმრად მიგიღეს სახ-
 ლში, შენ კიდევ იქიდან ჩუმად ძვირფასი
 ნივთი უნდა წამოიღო. და ესეთ სირებს
 რომ უწყურებ, ვფიქრობ, რომ საერთოდ
 არ უნდა გააჩინო შვილი.
ანა - კაი, ხო იცი, ნო ეგეთი ზოგადი
 განწყობები ეგერე ყირამალა დგება,
 როგორც კი კონკრეტული პიროვნება ჩნ-
 დება.
რუსიკო - ერთი შენი ოპტიმიზმი მომ-
 ცა და ცოტაც ფული - სულ წავიდოდი
 აქედან.
თეა - და ბავშვს მაინც არ გააჩენდი,
 არა?
რუსიკო - ასე გაჩენას, მე მოვკვდე, თუ
 ბებიაჩემის არ იყოს, ნემსით არ ჯობდეს.
 (იცინიან)

მესამე სურათი
 (მეანობისა და გინეკოლოგიის კლინი-
 კის დერეფანი)
რუსიკო - ვაა, გოგოლაძე, აქ რა გინ-
 და...
გოგოლაძე - აუ, რუსო? (ერთმანეთს
 კოცნიან) შენ თვითონ რა გინდა ამ საექ-
 ვო დაწესებულებაში... (ორივე იცინის)
რუსიკო - მე ინტერვიუ მქონდა, ჩავნ-
 ერე ვილაც და... საექვო რატოა? (ისევ
 იცინის)
გოგოლაძე - რა ვიცი, სადაც შე-
 ვიხედე, კოლბები და კოლბებში სპერმე-
 ბია. გასასვლელში კი ორი რიგი დგას -
 ერთი სპერმის მიმწოდებლების, მეორე
 სპერმის მომხმარებლების. (ორივე იცი-
 ნის)
რუსიკო - როგორ გიყვარს შენ ყვე-
 ლაფრის გაცუცურაკება. ორი რიგი არა
 შვანცი... (იცინიან)
გოგოლაძე - ვახ, ეგრეა რეალურად
 და ჩემი რა ბრალია. შენ არც გათხოვილხ-
 არ და არც არაფერი, როგორც ვიცი.
რუსიკო - რა იცი?
გოგოლაძე - ტყეებურა შემხვდა ამ რამ-
 დენიმე თვის წინ, ლუდზე დამპატიყა და
 ქვეყნის ამბები მომიყვა.
რუსიკო - ჩემზე რაო?
გოგოლაძე - არც რაო. არ გათხ-
 ვილაო. შენ გელოდებო. (სახეზე სერი-
 ოზული გამომეტყველება უჩინდება და
 დაჟინებით უყურებს რუსიკოს)
რუსიკო - აბა, რა საწყალი ვარ. ნამდ-
 ვილი კოლდინა ვარ. რას შევბი, ის მითხ-
 არი ამ მთავრობის ხელში. კაბინეტი რო
 დაკარგე, ვიცი. გამონდა რამე სამსახ-
 ური?
გოგოლაძე - არაა. საჩემო არაფერი.
რუსიკო - აქ რა გინდოდა, რამე საშე-
 ნო ვაკანსია ხო არ გეგულედა...
გოგოლაძე - (უხერხულად იმშუშნება)
 არა, სად ეს ინსტიტუტი და სად ჩემი სპე-
 ციალობა.
რუსიკო - ახლა რას გაიგებ... პედაგო-
 გი ვირთხის და ტარაკნის სანამლავს ჰყი-

დის, ტაქსისტი გერმანისტია, ექიმი კი
 სანტექნიკას შეგიკეთებს სახლში. (იცინ-
 იან)...
გოგოლაძე - ხო, ეგეცაა, მაგრამ მე აქ
 ნაცნობის სანახავად ვიყავი.
რუსიკო - ხოო. მოკლედ, გამიხარდა
 რომ გნახე. ახლა კი მეჩქარება, გოგლიკ-
 კაი, აბა, ნავიდე.
გოგოლაძე - მოიცადე რაა. მოდი,
 ყავაზე დაგპატიყბე.
რუსიკო - არა, არა. მეჩქარება. კაი,
 აბა. შეგეხმინებოთ, გოგოები აპირებენ 23
 წლისთავის აღნიშვნას და ბიჭებსაც შეგ-
 ატყობინებო.
გოგოლაძე - კაი. კარგად. (მონყენი-
 ლი შებრუნდება. ერთ-ერთი კაბინეტიდან
 გულიკო ექიმი გამოდის.)
გულიკო ექიმი - რუსი, მოხვედი უკვე?
 შემოდი, რას უდგებარ. (რუსიკო გოგო-
 ლაძეს აყოლებს თვალს. გოგოლაძე სალ-
 აროსთან ჩერდება. ჩეკს უწვდის. მოღარე
 კუპიურებს გადაუთვლის. გოგოლაძე
 ფულს ითვლის, მადლობას გადაუხდის და
 გადის.)
ექიმი - რა იყო, რას უყურებ იმ ტიპს.
 სანყალი, დედა ჰყავს კიბოთი ავად და
 სპერმა ჩავვაბარა.
რუსიკო - სპერმა? (გაოცებული)
ექიმი - ხო, რა გაყვირებს, პირველად
 გესმის, სპერმის ბანკი რომ გვაქვს? თუ
 გგონიათ, რომ ექსკლუზიურად გემსახ-
 ურებით, ქალბატონო რუსუდან
 (გაუღიმებს, ხელკავს გამოსდებს და კაბ-
 ინეტში შემოდგება. რუსიკო გაოგნებული
 ზის სკამზე და რაღაც ფიქრებს მისცემია.
 ექიმი რაღაც ფურცლებს ჩაჰკირკიტებს.
 მერე სიას გადაავლებს თვალს)
ექიმი - ოოო.
რუსიკო - რა მოხდა (გამოერკვევა)
ექიმი - საერთოდ ამ ინფორმაციის
 გამჟღავნებისთვის სამსახურს დამა-
 ტოვებინებენ.
რუსიკო - რა ინფორმაციის...
ექიმი - მაგრამ შენ როგორ დაგიმა-
 ლო. დედაშენს ველარ შეეხედავ მეერ
 თვალეში.
რუსიკო - რა იყო, გულიკო დეიდა?
ექიმი - არაფერი, შვილი, დანყნარდი.
 იმის თქმა მინდა, რომ სპერმის გამცემის
 ვინაობა გასაიდუმლოებულია და კლიენ-
 ტებთან გამჟღავნების უფლება არ გვაქვს.
 შენ არ უნდა იცოდე, ვინ არის შენი შვი-
 ლის მამა.
რუსიკო - რატო, კი მაგრამ...
ექიმი - ასეა საჭირო. პრაქტიკამ დაა-
 დასტურა, რომ ეს დამატებით სირთუ-
 ლებს იწვევს და ამიტომ მკაცრად ისჯე-
 ბა ყველა ის მუშაკი, ვინც ამ წესს დაარ-
 ლევს.
რუსიკო - და ამით რისი თქმა გინ-
 დათ...
ექიმი - რისი თქმა, დეიკო და მე მინ-
 და თქვენ მშვიდად იყოთ. დედაშენთანაც
 პირნათელი ვიყო და შენთანაც. ხოდა ამ-
 იტომ მიმანია, რომ ეს ჩვენი წესი არაა
 სწორი. შენ გაქვს უფლება, იცოდე, ვის-
 გან გყავს ბავშვი. ოღონდ პირობა მომე-
 ცი, რომ არავის ეტყვი და რამეს არ
 გაართულებ. თორემ სამსახურის დაცარ-
 გავ, დედი.
რუსიკო - ნუ გეშინიათ, გულიკო დეი-
 და, მითხარიოთ.
ექიმი - აი, ახლა დერეფანში რომ ბიჭს
 უყურებდი, სპერმა ჩააბარა-თქო, რომ
 გითხარი...
რუსიკო - ჰო...
ექიმი - ჰოდა, იმ ბიჭს გაჯახებ.
რუსიკო - რაა?
ექიმი - კარგი, მშვიდად, მშვიდად. არ
 მინდა დაკონსერვებული პროდუქტი შე-
 მოგთავაზო. ხომ გესმის. იმ ბიჭს კარგი
 მონაცემები აქვს. აქ ზოგჯერ არ იკვლევ-
 ენ გენეტიკას და რამე-რუმეებს. თან სიმ-
 პათიური იყო. ხოდა ყველაფერს აქვს მნიშ-
 ვნელობა. (რუსიკო წამოდგა. გულიკო
 ექიმის ლაპარაკი უკვე აღარ ესმოდა. კარი
 გაიხურა და გარეთ გავიდა. მობილური
 ამოიღო და გოგოლაძის ნომერი მოძებ-
 ნა)
რუსიკო - ხო, მე ვარ. და ყავაზე კიდევ
 მეპატიყბები? (ყურმილიდან ისმის შეკითხ-
 ვა: „რაა?!“) ყავაზე კიდევ მეპატიყბები-
 მეთქი?

(ფარდა)

ქეთი ნიჟარაძე

საკურა

აყვავებული ალუბლების დღესასწაულზე, როდესაც ზაფხულს ოდნავ მაინც მივებლებით, გამოფუყვები ჩემს მდინარეს შესართავამდე და იქ დავრჩები, სულ ოდნავ რომ მოჩანს სახლები, ამ ჩვეულებრივ, გაზაფხულის დღესასწაულზე ჯერ, შეიძლება, არც ჰყვოდნენ ის ალუბლები, მაგრამ დღე მაინც იწყებოდეს უჩვეულოდ და არ მთავრდებოდეს მშობლიური ძველი უბნებით, არ მთავრდებოდეს წინასწარი მოხაზულობით, იმით, რაც მშობლებს და წინაპრებს უკვე ჰქონიათ, არ მთავრდებოდეს – იწყებოდეს მხოლოდ ახლიდან თუნდაც მოთეთრო, ჭუჭყიანი მელანქოლია, არ იყოს მშვიდი, გათელილი და შელახული, ყველა სანყისი იყოს მხოლოდ ჩემი ნება და თუ ერთხელ მაინც მივალნიე შესართავამდე, უსიტყვოდ დავთმობ, თუკი ქვეყნად რამე მეზადა.

მე დრო აღარ მაქვს

მე დრო აღარ მაქვს, დაველოდო ყველა სასწაულს, დრო აღტკინების, ნირვანაში გადასახლების, ცოდვების განგში განზანვის და მედიტაციის, დრო სინანულის, დრო განწმენდის დღედაღამ ლოცვით... მე დრო აღარ მაქვს, ნარცისების მძივი ავასხა, მერე კი, როგორც სამკაული, მკერდს დავიფინო, მე დრო აღარ მაქვს, ვიმკითხავო მამონტის ტყავზე და ღამით, სახემოხატულმა, მნათობს ვუმღერო, შევთხოვო უხვი მოსავალი, სიცხე ან წვიმა, და ისევ მშვიდად დაველოდო ყველა სასწაულს – ციურ მანანის უსასრულო თოვას ზეციდან, გასხივოსნებას წმინდა მინის მონახულებით, და დავაკვირდე მოძრაობას ღმერთის თუ გველის — სახელდახელოდ ამოყვანილ საფეხურებზე. მე დრო აღარ მაქვს, შევეწირო უცნობ ღვთაებებს, გავყვე წინაპრის ნაფეხურებს, რწმენა ვატარო, ვიარო ასე უსასრულოდ მხოლოდ პირდაპირ, მე დრო აღარ მაქვს და ამიტომ შენთან დავრჩები — უბრალო ფოთლებს ჩვეულებრივ გვირგვინად შევკრავ და შენ კი არა, მე დავიდგამ, რადგან ქალი ვარ და მინდა, შენში დავიმკვიდრო საჩემო ბინა.

ALTER EGO

ღამე და სიბნელე, წვიმა და სიზმარი — ერთი და უწყვეტი მიზანი, წვიმებად მიმხელდა მარტისთვე, ვინც არის, ხმაური თანდათან ვიცანი — ის არის, ვინც ადრე მირწევდა აკვანს და ის არის, ვინც არ მაძინებდა —



ის არის, ვინც ნანას კი არ მიმღეროდა, ვინც ჩემი გახლეჩვა ინება, ვინც ხსნიდა სივრცეებს, ვინც ჩემში სიმშვიდეს, ვინც ჩემში გარდასულს დევნიდა, ვინც მე შემრისხა და ვინც გამომასახლა ჩემი საკუთარი თემიდან, ვინც სული ჩამიდგა, ვინც სუნთქვა მასწავლა, ის, ვინც დამანახა, ვინ ვარ და ის არის, ვინც მართლა მახსოვდა, ვინც მყავდა, ვისთვისაც სიცოცხლე მიყვარდა...

რატომღაც მინდა, გეძინოს ახლა, ეძინოთ შენს მხრებს დაღლილი ძლით, ეძინოთ სიტყვებს, სიზმრებს და ქარსაც და მე ვკინძავდე ღამეს მძივივით, ღამეებს, ჩემი მკერდის სისაგეს რომ ვერ ატარებს და ველარ იტევს, მინდა, გეძინოს და მე ვფხიზლობდე, ჩუმად გიმხელდე ჯერ ართქმულ სიტყვებს, გიმხელდე ცოდვის არარსებობას, გიმხელდე სურვილს, ქვასაც რომ გახეთქს, მე მსურს, მე ვწერ და უხმოდ გიკითხავ, რადგანაც ცხადში ვერ გარქმევ სახელს.

მნიშვნელობა

შენ ხარ ის, ვისაც შეუძლია, შეცვალოს ირგვლივ ყველაფერი და მერე მშვიდად იმკიდეს დღეებს, დღეებს ნამდვილს და დღეებს მწიფეს, დღეებს ნაღვლიანს, ჩემს გაცეხებას, უსასრულოს, როგორც დასაბამს, ჩემი სხეულის ყველა ნაწილს, სურვილით შეკრულს, მინდვრის ყვავილებს, გვირგვინით გადანულს ძნებზე, იმკიდეს ყველას გაღიმებას, აღფრთოვანებას, იმკიდეს შურს და პოულობდეს განმარტოვებას — განმარტოვებას, რაც ხელახლა მოვლენას ნიშნავს ამქვეყნად შენთვის...

იმკიდეს იმას, რაც ჯერ არც კი დაუთესია, მაინც ცვლიდეს და მაინც ქმნიდეს, მაინც იმკიდეს —

ეს ყველაფერი, ვიცი, მხოლოდ შენ შეგიძლია.

ოთხმოცდაცხრამეტი

უნდა დავიწყოთ ამ ზღვარიდან რაღაც ახალი, რაღაც, სრულიად უცნობი და ჯერ უხილავი, სადღაც, სინათლის ანარეკლის და მეხის გავლით, თუმცა დანყება ხომ ყოველთვის გულისხმობს ახალს, გულისხმობს სივრცის დათმობას და ძველის დასასრულს, გულისხმობს, რომ ხარ, არსებობ და აგრძელებ სუნთქვას, რომ სიზმარს ტოვებ, იკარგები უცნობ ქარებში, ემორჩილები ბუნდოვან და მკვეთრ მოძრაობებს, გულისხმობს დროის ამოვსებას რეალობებით — არშეცნობილი, არშემდგარი მძაფრი განცდებით, გულისხმობს ძველის მიხვედრას და დამახსოვრებას — რომ არასოდეს გაიარო იგივე სივრცე, რომ უკან აღარ მიიხედო აღარასოდეს.

პასუხები ბებებერს

„გული გწყდება, საფრენ ბილიკს რომ წყდებიან თვითმფრინავები?“ ფრედერიკ ბეგბედერი

ჰო, გული მწყდება, საფრენ ბილიკს რომ წყდებიან თვითმფრინავები, აღარასოდეს ბრუნდებიან იმავე გზებით, არც ამინდები იქანცება, როგორც სურვილი, არც სინანული მიაქვთ თან და არც გულგრილობა, სითბოს და თხოვნებს წაიღებენ ისინი ცამდე, რომ არ ასრულდეს აღარც ერთი დასასრულისკენ — ასე მიდიან, გვტოვებენ და გვტოვებენ ფრთხილად, გვტოვებენ დაბლა, უფრო დაბლა მერე ვეშვებით და გული მტკიავა, საფრენ ბილიკს რომ წყდებიან თვითმფრინავები. და ცარიელი ბილიკები ისევ ივსება სხვა თვითმფრინავით, სხვა მგზავრებით, სხვა მფრინავები მოწყვეტენ მინას ყველას ერთად, გაიტაცებენ, მე კი ვრჩები და მე კი ვრჩები და გული მტკიავა.

„ცხოვრება იცვლება, როცა ქალაქს გამოიცვლი? რა საჭიროა მოგ ზაურობა ამ ერთფეროვან სამყაროში?“ ფრედერიკ ბეგბედერი

ჩემი ქალაქი, შენი სახლი, სხვისი ოთახი — დროებითი და პირობითი განმარტებები, დროებითი და პირობითი საკუთრებები. ყველა ერთსა და იმავეზე ვფიქრობთ და ვცოცხლობთ, რომ სხვაზე მეტი გავიგოთ და ვიცოდეთ, მაგრამ მაინც სხვებს ვგავდეთ — უცნაური სურვილები გვაქვს.

ან გავიღიმებთ, ან მოვიწყენთ, ან დავფიქრდებით, მაგრამ ცხოვრება შეიცვლება? არა მგონია. და საჭიროა, მოგ ზაური რომ გახდეს ერთხელ, გადაიარო ბილიკები და ასფალტები, და ბოლოს თქვა, რომ ბევრი ნახე, იყავი ბევრგან, მაგრამ აღარსად დაგწვია გზად ის შეგრძნება, რომ ქალაქების გამოცვლისას იცვლი ცხოვრებას, რომ შეიცანი თავი შენი, სიცოცხლე შენი, მაგრამ ვერც ერთს ვერ გაექცია, და დარჩი შენად.

*„ხომ შეიძლება, უბრალოდ დავშორდეთ ერთმანეთს, თუნდაც Gucci-ის Envi-ის წინ?“
 ფრედერიკ ბეგბედერი*

უცილობელად დავშორდებით,
 თუ გინდა, ხვალვე,
 ოღონდ აქ არა,
 და დღეს არა,
 და ასე არა,
 Gucci-ის Envi-ის წინ არ დავშორდეთ —
 მე მიყვარს Envi,
 მიყვარს ეს ქუჩაც,
 და ეს ქუჩის რეკლამაც მიყვარს,
 მიყვარს ბავშვობის გახსენება
 და ის, ვინც მაშინ
 ამ სუნს ხელჩანთით ატარებდა
 და მასიზმობდა
 ყველაფერს, რასაც დღევანდელი ყოფა დაერქვა.

ხვალ ჩვენ უბრალოდ დავშორდებით,
 დაგტოვებ მარტო,
 და სხვა საგნები გამახსენებს შენს არსებობას,
 სხვა სურნელებს,
 სხვა ქუჩას და
 სხვა თარიღებს,
 მაგრამ ეს არა,
 ეს დღე არა,
 არასდროს —
 უცილობელად დავშორდებით,
 ოღონდ აქ —
 არა.

*„რამდენ ხანს გრძელდება დაშვება?“
 ფრედერიკ ბეგბედერი*

დაშვება იწყება კონკრეტულ დღეს,
 თვესა და რიცხვში,
 დაშვება გრძელდება დიდხანს,
 ზოგჯერ ცოტა ხანს,
 ყოველი დღე მისი თითო საფეხურია,
 ყოველი წამი კი ამ საფეხურის მოლეკულა.
 დაშვება იწყება იქ,
 სადაც იშვება სიცოცხლე,
 ჩვენ ვეშვებით
 ნელა და
 მშვიდად და
 შეუმჩნეველად,
 რადგან
 ვერ ვგრძნობთ და
 ვცოცხლობთ და
 ვსუნთქავთ და
 ვეშვებით.

დაშვება მთავრდება
 სადღაც,
 გაურკვეველ
 თვესა და რიცხვში —
 არავინ იცის,
 სად და
 ეს გვეგვრის სიბოძის
 და შვებას
 და გვეჩვენება, რომ
 გრძელდება
 დაშვება.

*„სულ ერთია, სად წავალთ, ოღონდ აქედან წავიდეთ,
 კარგი? რომ ეს ამბავი არასდროს დასრულდეს.“
 ფრედერიკ ბეგბედერი*

არ გამოგყვები
 უსინათლოდ,
 უგზოდ და
 უკვლოდ,
 თუ სულ ერთია
 ირგვლივ ყველა მიმართულება,
 თუ სულ ერთია ადგილები და სურვილები.
 მე არ წამოვალ
 სწორედ იმის გამო, რომ ჩვენი
 ამბავი ასე უსასრულოდ აღარ გაგრძელდეს.

სრულყოფილია ყველაფერი,
 რასაც აქვს თუნდაც
 მილიონობით დასაწყისი და გაგრძელება,
 მაგრამ დასასრულს
 მაინც ერთს და
 მაინც ჩემს ვირჩევ —
 ასე ხომ უფრო ადვილია
 მერე ცხოვრება,
 თუნდაც სუნთქვა და
 ახალ სულთ ქმნა,

სრულქმნა
 და მერე,
 ასე წლის გავლით
 იმ მომავალ დღეებზე დარდი,
 ნატვრა ან ზრუნვა,
 სიხარული ან მარტოობა.

მე აქ დავრჩები, და ეს ჩვენი დასასრულია.

*„ეს ქიმიური არდადეგები რომ არა,
 იარსებებდა ჩვენი სიყვარული?“
 ფრედერიკ ბეგბედერი*

აღარაფერი იქნებოდა —
 არც ეს დღეები,
 არც ეს მზე და
 არც ეს სიზმარი,
 არც ეს შეხვედრა მოხდებოდა ალბათ ამ დილით,
 სხვას დახედავდი ხელებზე და
 სულ სხვას ეტყობოდა —
 ხელისგულები დაღარული ასე რად გაქვსო,
 მერე იგივეს უამბობდი მომავალზე და
 დღევანდელ დღეზეც,
 რაც ამ დილით მე მომიგონე.

ახლა როლები არის უკვე დარიგებული,
 ამ ქიმიური დღეების თუ არდადეგების
 პერსონაჟები და მთავარი გმირები ჩვენ ვართ,
 რადგან შეგხვდი და
 დღეს ორივე ერთზე ვფიქრობდით
 — ადამიანებს თუ სურთ მსგავსი,
 თუ სურთ იოლი,
 თუ სურთ, ცხოვრება
 რომ შეიგრძნონ
 მსგავსად და არსად
 აღარ შეჩერდნენ, რომ დაფიქრდნენ,
 რა გვსურსო მართლა,
 ეს ქიმიური სიყვარული
 უშველით ალბათ.

*„მაძლევთ გარანტიას, რომ არ
 მესიზმრებით?“
 ფრედერიკ ბეგბედერი*

ვერა,
 ვერ გაძლევ გარანტიას —
 მე კი ვარსებობ,
 მაგრამ არ ვიცი, შენ როგორად წარმოგიდგები.
 იქნებ ისეთი, შენ რომ მხედავ, სულაც არა ვარ,
 ისეთი, რომ გსურს, ვარსებობდე,
 როგორსაც მხატვარს,
 როგორსაც მითხვოვ,
 უსასრულოდ ვისაც იძერწავ
 შენი თავისთვის,
 მხოლოდ შენთვის რომ მქმნი ყოველდღე —
 გვიან ღამით და
 სისხამ დილით,
 ზოგჯერ მთელი დღეც
 ყოველ სიტყვაში მხოლოდ ჩემს სახელს,
 ან მის ერთერთ ბგერას რომ ექვს —
 თითქოს მე მექვს
 და შენს შექმნილს მპოულობ ისევ...

არ ვარ ასეთი,
 იქნებ სულაც, მოგონილი ვარ,
 და ყოველ ღამით,
 ყოველ დილით მისიზმრებ ასეთს.



ქეთი გზირიშვილი

სპე

მამაო, ტყე გადმოვჭერი.
 ერთი ნაპირი ალთამ გამომართვა,
 მეორე ბალთაში გავიჭე.
 წამოვედი.
 ბალთისპირზე ია ჰყვავის,
 ნამი ედინება.
 მუშტი წელით ვზიდე,
 მოგადექი.
 მდინარეა ჩემი თვალები:
 ჩაატარა ტივი, ხინვით დატვირთული,
 დილაადრიან.
 მდინარეა ჩემი ყურები:
 ხტიან კალმახები —
 აღმა ატანილ სიტყვას დაღმა მყოფს ესვრიან.
 მდინარეა ჩემი პირი:
 ქვები ზარმაც ლეჭვას აჰყოლიან —
 ნაპირებს მდორედ იქნევენ.
 ვდგავარ მდინარე:
 გამიხსენი გზა.
 თავითი უნდა დაგიჯდე —
 ბალიში აგიმალლო.
 ფერხითი უნდა მოგიწვე —
 ტერფი აგილოკო.
 მამაო, ტაბლა მოვიტანე,
 ზედ სანთელი მივაკარი,
 მისი ალი ზეცას სწვდება.
 ტაბლას წიგნი ჩამოვადე,
 წიგნსაც — ხელი:
 აქ ვარ!
 შემომიშვი.
 მხრიდან მართვე ჩამიფრინდა —
 სვე.
 შემომიშვი.
 ბალთა შემიხსენი,
 საწოლისთავს გადაჰკიდე:
 დილით მზემ გადაუაროს.
 შემომიშვი.

- მამაო, მამაო, რატომ მაქვს ასეთი დიდი თვალები?
- შეგენდოს, შვილო ჩემო.
- მამაო, მამაო, რატომ მაქვს ასეთი დიდი ყურები?
- შეგენდოს, შვილო ჩემო.
- მამაო, მამაო, რატომ მაქვს ასეთი დიდი პირი?
- ჩამყლაპე, შვილო ჩემო.

თავი

არაფრის თავი აღარ მაქვს:
 არც ქვის, არც ქვიშის, არც ხისაგან გამოჩორკნილი.
 აღარც ძალლი ცქვეტს ყურებს,
 არც ცხენს ეჩრება ფაფარი თვალში,
 არც უდაბნო ჩანს მოზოზინეს წინ.
 ...
 ამოხეთქა სათავემ.
 ჯერ ლეღეა,
 მინას ზვერაგს.
 ...
 წყალი გადავივლე.
 ...
 ფარდაა — ვარსკვლავებმიხატული. გადანსვენენ.
 გამომიყვანენ. ჩავივლი. უთავო.
 დავაფრთხო ხალხს, ჩამქრალ ჭალებს ავანთებინებ.
 წიგნს გადადებენ.
 მე საშიში ვარ. სიზმრის სტუმარი.
 ...
 პლასტილინით გამოძერწილი გორგალი სწრაფად
 სწყდება მხრებს.
 პატარა თითები ზელენ და აბრტყელებენ.
 ასორსოლავენ.
 აგრძელებენ.
 ყოფენ და ისევ გორგლად აქცევენ.
 ახლა მთავარია, მხრებს მიეკრას.
 მხრებმა ზიდონ.

აღარ მაქვს თავი
 და მძერწავსაც აღარ ვუნდივარ თავიანი.
 მხოლოდ მასალად დამიგულა მუყაოს ყუთში.
 ...
 თავჩამოდებულს ცხვირი წამტეხეს.
 ვუცდი —
 როდის ჩადგება ხრტილის ზრიალი, —
 როგორც ის ქარი,
 ნუხელ ქვიშას რომ მაყრიდა თვალში.
 ვერ ამომწმინდა მე ისტორიამ
 და სქელ წიგნებში ჩამომარიგა.
 ...
 პირველი თავი. მსუყე და გემრიელად შეკაზმული.
 – გაამოთ
 – გამადლობთ
 – არაფრის (ღიმი)

დასაწყისი № 9-27

სმდა, დავეყენე მე და ეს მერაბა და დავეინყეთ დაღვება.

მე კი მაგრათ მშვიდი ვარ პახოდუ, აბა, არ მომშვიდებოდა? მწვადები კაი ხნის გაცივებული იყო და მაინც მივანეჭე, ღამეს ასწორებ ცივების ჭამა. ღამეს არ გევასება, რო მაცივირიდან კატლეტები გამოიღო და ჭამო?

იასნია, ყველას ევასება. ნატუკა რო შედებს ხოლმე, ერთი რალაცნაირის შუშის ქვაბი გვაქ, ყვითელი, და რო გავხსნი მაცივრის კარებს და იმაში კატლეტებს დავინახავ ღამე, მაგრათ მისწორდება, ანდა ზაფხულში რო ღამე, დაპუსნიმ, მსოფლიო ჩემპიონატი და ღამე რო უყურე და მოგმივდება და თუ გაიჩითა აჯაფანდალი ან ეგეთი რამე მაგარი ცივი, მაგრათ ასწორებს.

კაროჩე, ეხლა იქ ეგეთები არ იყო. კახურათ იყო, მწვადი და ბალახბულახი ცოტა, მარა ყველი და პურმაც მაგრათ გაასწორა და თან ღვინო მაგარი, ტანინი სულ ეგრე რალაცნებსა შერებოდა პირში.

თან ვერ ვიფიქრე, მეთქი, იმენა დავლიო თუ პროსტო დავლიო.

ვაფშე, კაი იქნებოდა, რო ვაფშე არ მეფიქრა, ბიძაჩემი როდის მოვა და ეგეთები, თან ეგება ხო ვაფშემც არ მოსულიყო. რატო უნდა მოსულიყო? ერთი-ორი ჭიქა რო დავლიეთ მე და მერაბამ და ეგრეც ვიფიქრე, რო ვაფშე რატო უნდა მოსულიყო, რო? ეგ მე წარმოვიდგინე ეგრე, რო მოძებნიდა ბოლობოლო და მამენტ ვაფშემც რო ვერ მოეძებნა... რა, არ შეილენა?

იასნია, რო შეილება.

ხვალ საღამოს ძებნას კიდე რა აზრი აქს, ძებნა იქავე უნდა. კაროჩე ან ეხლა მოაგნებდა, ან ვაფშე მერე რალატო უნდა ეძებნა, მარა გამიგონია, რო მეორე დღესაც ჩაუკითხნიათ და რავი, რა აღარ გამიგონია. ეხლა მე და მერაბა იქ ხო არ დავსახლდებოდით, დავიძინებდით და წამოვიდოდით იასნია და რო მოეძებნათ, დაუხვდებოდით დაკეტილი. კაროჩე, ვზივართ მე და მერაბა და ვლაპარაკობთ.

თან ესვამთ, მაგარი მოქვიფე ბიჭი იყო, პროსტო, უკვე გადაქვიფებული პონტი იყო და გახნილი თუ ქონდა მე რო მოვედი, გადაუვიდა. ყველას გადაუვიდოდა, იასნია. აბა, დვიჟენია, წადი, წამოდი, აბა, წადით ეხლა და ეგეთები. ხოდა, რაზე ვილაპარაკებთ. თან ამათზე ვლაპარაკობთ, ნუგზარაზე და ნათიაზე და თან ერთმანეთს ვეცნობთ პანისონკუ და მაგრათ მოგვწონს ერთმანეთი. მე მაგრა მესიმპატიურებოდა რა. კაი, პატიოსანი ბიჭი იყო, თან როგორ პონტი იცი, პროსტო პატიოსანი ბიჭი კი არა, პახოდუ, მოქვიფე და რო უყვარდა, რასაც აკეთებდა. და ცხოვრებაშიც ეგრე გაყვა, როგორც მე ვიცი, რო დღესაც ეგეთია.

რამდენი კიდე ვიცი, რო რაც ევასებოდა, სულ დაკარგა და ვაფშე სხვა როჟა გახდა. ერთი ვიცნობდი, საბურთალოელს, ნატუკა რო შვირთე მაგისი ამხანაგის ქმარი იყო. კაროჩე, ქარხანაში მუშაობდა და მაყუთსაც საკაიფოთ აკეთებდა, საბურთალოელები რო არიან, ხო იცი, ყველაფერი რო იციან, პახოდუ, ქუჩა, პახოდუ, კამსამოლშიც ახლობლები, პახოდუ, მამის მაყუთები, პახოდუ, რა და რა. ეხლა ხო არ ჩამოვთვლი და ერთხელ ნატუკამ ამიყვანეო, მაგისი ცოლი ფუხმძიმე იყო კოჯორში და მეთქი, ავიყვანე და იქ გაიჩითა და ვლაპარაკობდით რალაცნებს. ხო იცი, სინყარე რო არი და ამბავი და კაცი რო კაი ხასიათზეა და კაროჩეო, კაი სამუშაო როგორ ასწორებსო, მეუნება.

მე ვაფშე არ ვიცი სამუშაო და სამსახური რა არი, ვეიზნი არც სამსახური მქონია. ეგ იყო, რო ჯარში ვიყავი ბაზაზე და ვისაც მეტყოდა აფიცერი, ვატანდი სტორიამტერილებს. მეტი სამუშაო მე რავი. ჩემი სამუშაო სათამაშოში ჩასვლა. მაშინ სათამაშოები არ იყო და პროსტო ვმაზნავდით, კაკრაზი იმის დეკორაციას გაიხსნა პირველი სათამაშო. ხოდა, მეთქი, რავი, ალბათ, ასწორებს. მარა, იმას ხო ეტყობოდა, რო იმენა მუშაობას აწვებოდა და უხაროდა, ფულს რო აკეთებდა. რისი ქარხანა იყო, კი აღარ მახსოვს. კაროჩე, მერე ხო იცი, როგორ არი და რო არია, მერე აღარ მენახა. ისე, მაგათთან ოჯახშიც წამყოფი ვიყავი, მამამის ვიც-

ნობდი, ძველი დედეცი კაცი იყო, სახლი რვა ოთახი, რამე, კაი ძველი კაცი, ხო იცი, კაი საროქა, ყველაფერი. პროსტო, ცხვივი კი არა, თან რო როჟები იყვნენ. ყველას რო პატივს ცემდენ და თითონაც მაგრათ. კაროჩე, დაჟე რო აირია, ამას არაფერი უნდა გაჭირვებოდა, პროსტო, მერე ნატუკამ მითხრა, მაგრათ აირიაო, წამოსულია თათაო. თათა იყო მაგის ცოლი. წამოსულიაო, დედამისთან არიო და ეს გამორფინისტა მაგრათო და მაგრა შავს მიაწვა უცბათო. ესე იგი, პროსტო მორფინისტობას კი არა, ვდრუგ დაანვა პრისტუნიკობას.

გამიკვირდა, პროსტო, არაფერში არ ჭირდებოდა ეგ პრისტუნიკობა. მორფინისტობა გასაგებია, შეჯდა რა, მარა მაშინ როგორ იყო, იცი? ახალი პრისტუნიკობა წამოვიდა, კაკრაზი ისინი, ვისაც არ ჭირდებოდა. გაღმა წამოვიდა, ვაკეებში და ვერაზე



აკა მორჩილადე ლებენდარული ქამერას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება

და ყველგანაც იქით, ოლონდ სხვანაირი პრისტუნიკობა იყო, სუ ოჯახიშვილები და რამე ვასწავნომ და რეკეტი გაიგეს რა არი და ეგეთები და კაროჩე, იმაში გაერია, ჩერეზ მორფინისტობა.

მეთქი, სალოლ. მე სხვანაირი პრისტუნიკობა იყო. რო ვთქვი, შავს მიაწვათქო, ეგენი დიდად შავს კი არ აწვებოდენ, აწვებოდენ უფრო განგსტერი და რამე, ეგეთს. კინოში რაც იყო. ერთი შეხება გექონდა. ერთხელ რალაცა მოგებული ფული იყო და პროსტო შეხება გექონდა. ოლონდაც ეგ იმათში კი არ იყო, სადღაცას შორიახლოს უტრიალებდა და გამიკვირდა.

მერე ერთხელ პლენანოვზე სათამაშოდან გამოვიდოდი და იქ დამეჩითა, მანქანა გაჩერდა და გადმოხტა და გადამეხვია, გულიანი ბიჭი იყო, ეგ არი საქმე. მაგარი გულიანი, სუ სახეზე ეწერა, რო უხაროდა.

მაშინ მოდამი იყო რალაცნაირი აჩქები, ვითომ რო თეთრი შუშა და პახოდუ, მზის. კაროჩე, გეკეთა და ვითომ პრაფესორი ხარ, ისე კიდე მზის აჩქებია, ხოდა ეგ ეკეთა. ვაფშე დეკემბერი იყო, იმიტო, რო კურატებში ვიყავი. გადმოხტა და ბაბუ, როგორა ხარ, ბაბუო, მეუნება და მეთქი ნინიო. ისეთი გაცივება იცოდა, რო მაგარი გულიანი რა, და მაგარი გამხდარიც იყო. მეთქი, რას შვები, სადა ხარ, და აიქნია ხელი, პონტებშიო, კარგათ ვარო. კარგათო. და მერე კაროჩე, ამას, თავის ცოლს, ხან იჩაღიჩებდა და დაბორუნებდა, ხან ეს ისევე გაეცქეროდა დედამისთან და

რავი, წვალეზა რა. მაგასთან ცხოვრება არ გამოდისო, დაპირდება ვისოო, მერე ისევე იკეთებსო და ეგრე. კაროჩე, ერთი დროც გავიდა და მოსკოვში წავიდაო. მოსკოვში ისეთ პონტში, რო პავსტკაში კი არა, იმენა საპრისტუნიკოთ. მაშინ ბევრი მიდიოდენ, რო იქ მეტი საშუალებააო, აქ რა უნდა ეპრისტუნიკოთ, მხედრიონი იყო. და ამასობაში ეგ უფრო შავობისკენ წასულიყო, როგორც მიხვდით.

კაროჩე, წავიდა იქა და დაიჭირესო და ჩაჯდა კაროჩე, და მეთქი, აბა, რას იზამს და უცბათ გამოუშვეს. ეტყობა, მამამისმა ინვალა, ჩავიდა და გადაიხადა რალაცნები, ავადმყოფობით გამოუშვეს. და ერთიც არი და კაროჩე, ერთათ იყვნენ ისევეც და ნატუკამ დავგვაპტიჟესო, ამოდით კოჯორში. იქ ქონდათ სახლი და მეთქი, ვნახავ, აბა, ერთი, მოსკოვის ამბებს გავიგებ და წაველით და მაგრა გამიკვირდა, რო ვნახე. ვაპერვიხ, მართლა ავათ იყო, კუჭი

გახდე, მე ვერა ვხვდები, მარა მაშინ ეგეთი დრო იყო, რალაცნებზე თვლი ოხუჭებოდა, მარა სხვას ვამბოფ, რო რაც ევასებოდა და რითაც ცხოვრობდა, იმას ვაფშე ვერ გაყვა, რალატომლაცას, უცბათ მოატრიალა და წავიდა სხვანაირი და იმ სხვანაირი, რავი, კარგათ იყო? მერე სულ ცოლებს ირთავდა და მაინც ეხვეწებოდა ამ თათას, შემირიგდო. ეს კიდე რალას შეურიგდებოდა, რაც გაუკეთა, ეგ იყო, რო წამოვიდა და მაგის მშობლებთან ცხოვრობდა. ეგ გაუკეთა, რა, რო ბავშვი რო იზდებოდა, როცა მოუნდებოდა, მოვიდოდა და ნახავდა. კაროჩე დაბრდიეს. დილაზე იპოვეს დაბრდიელი ქუჩაში საწყალი. მაგრათ შემეცოდა, რო ვიცნობდი ადრე და სხვა კაცი რო იყო და სხვანაირი რო მოხვდა ისე, რო ვერ გაიგო. ანდა რავი, გაიგო და ეგრე ამორჩია. ხოდა, რატო ვამბოფ, ეს მერაბა ასე არ იყო, იმას მიყვა ცხოვრებაში, რაც ბიჭი რო იყო, მაშინ მონონდა და მაგის იყო. ნალაპარაკევი მაქ, ვიცი მაგის ამბავი.

ეგ ეტყობა ხშირათ არი და პროსტო მამამისმა ვერ მოუარა, თუ ვერ მიხვდა, რას შვება ეს და საით მიდის. მამაჩემმა, ისე რო პროსტო არც გამიფიქრებია რო ქურდულით ვიცხოვრო, ხელი მომიკიდა და ძალაზე ჯარში გამიშვა, არც ჩემ ფულბოლს შეხედა და არც მე რას ვფიქრობდი. იმას კიდე ეტყობა, ვაფშე აზზეც ვერ მოვიდა, თავისი შვილი საით მიდოდა. ვაუკეთა, ეგრევე, როგორც ინსტიტუტი დაამთავრა ქარხანაში კაი თანამდებობა, რო პა სავეციკით მუშაობთ ესწავლა, ფულის კეთება ესწავლა და ამასაც, პახოდუ, მონონდა და ევასებოდა.

სუ პირველი ვასმორკები რო შემოვიდა, ვასმორკა ყავდა და გაიკეთებდა შავ აჩქებს და მიდიოდა თავის ქარხანაში კაი ვასმორკით. მაგ დროს გავიცანი მე და ვაფშე სხვა როჟა იყო. კი ქონდა ცოტა ძველბიჭობისკენ და რამე, მარა ისე, სლეჰკა, მაშინ ყველას ქონდა, ხან ჩხუბი მოუვიდოდა, ხან რამე. დიდი არც დამლევია არ იყო, არც რავი, პროსტო ცხოვრობდა და კიდე იქით თავის ძმაკაცებს ჭკუას არიგებდა. რავი თუ ჭკუის დამრიგებელი ეგ იყო. საწყალი, რა. პროსტო ძალასძალათი, რო კაცი იფიქრებს, რო ეხლა კრუგომ, იხვესნი ბიჭები სულ პრისტუნიკები არიან და მეც უნდა გავხდეო. ეგ იყო. საწყალი რა. მაგრათ შემეცოდა, ან მოსაკლავი რა ქონდა, არ ვიცი. მოუხდებოდა რამე და მაგის მოკვლა იოლი იყო, ვინმე შენუხდა, თუ რა, მაგის ოჯახის გარდა, თუ ხმაური ატყდა და რავი, მოკლეთ რა. ეგრე წამილებს ხოლმე, სხვაც ვიცი ეგეთი ამბები, პროსტო, ადამიანებს რო ადარეფ, ფიქრები და გახსენდება.

მე და მერაბა, კაროჩე, ჩვენ ჩვენ ადგილებზე დავრჩით, რისკენაც წავგილო ადრიდანვე და სხვა კიდე ალბათ სხვანაირი წავიდა. რალაცა სიტყვა როა, რა ქვია? კაროჩე, შენი ადგილი რო არ არი, მარა რო აწვები, რო შეგიძლია მაგ ადგილზე იყო. თან ნიტოშტო, რო შენი ადგილი, მამენტ არ არი შენი ადგილი, მარა გრძნოფ რო არი, ხო? და ისე კიდე, პახოდუ, რო ვერც გრძნოფ, ძალასძალათი.

ძალასძალათი კიდე ვერ გამოდის ეგეთი. რამდენი მოკლეს მაშინ და ვაფშე რა დრო იყო, ყველა იქით ეტენებოდა. იმიტო, რო პრისტუნიკობა ეგონათ, ვაჟნი და იოლი იყო, იმიტო, რო ავტომატს გაქ, პრისტუნიკი ხარ? ავტომატს კიდე რა უნდა, იაფი იყო. ეგ ახლებური პრისტუნიკობა ეგეთი იყო. მერე კიდე გავიდა დრო და ვაფშე აღარ მოუნდათ პრისტუნიკობა და ვინც იყო წამდვილი, ის დარჩა პრისტუნიკოთ. ქსივიანი პრისტუნიკი რანაირი პრისტუნიკი იყო, მარა დრო იყო ეგეთი, ძალა ჰქონდათ. რამდენი ქურდები დაიხობა მაშინ, მაგარი ქურდები და ვერ იგებდნენ, რატო მოკლეს. მეც ეხლა მიყვევი, რა. ეგ სხვა ამბავი იყო, პროსტო, მერაბაზე მოვყავო.

კაროჩე, ვიჯეკით და ვლაპარაკობდით და მერე ვამბობთ, კაროჩეო, ხვალ საღამოს უფე ქეიფი იქნებაო, მერაბამ, ღმერთმა ქნასო და ჩვენ, უყურე, რა უნდა მოვასწროთო, ჩვენ გამოძინება და თბილისში ჩასვლა უნდა მოვასწროთ, რო იქაც ხოდზე ვიყოთო. მსმელი, რა.

მე კიდე რა ისეთი მსმელი, ხოდა, მეთქი, რო ჩავაკვირებო, წაუძინოთ, რაც არ

უნდა ვივლით, ხო და რაც არ უნდა საკაიფოთ ვსვამთ, ხო ექვს საათზე მაინც ჩავგაკომარებს.

კაროჩე, ბიძაჩემი მოვიდა ოთხ საათზე. მე მომსწრე ვიყავი, რაც გამოვითვალე. ოთხი ხდებოდა ეგრე, მერე რო შევხედე საათს, თორე მარანში საათი არ იყო.

ბიძაჩემი, მაგის ცოლის ნათესავები, ბიცოლაჩემის ძმა და ეგეთი სასტავი და მოვიდა ვაფშე ზუსტათ, ეგრევე და მოყვა ვაფშე ერთი კახელი, ვინც მოიყვანა და გამოდგა მაგათი ახლობელი. მე იმ კახელს გაუხურე მერე, რისი ატივიანი იყავი, რო გზას ასწავლიდი ამ ხალხს, რო რამე რო მომხდარიყო, რას ფიქრობდითყო. იმხელა ბიძა იყო და გაგებაში არ იყო, რას ლაპარაკობდა.

კაროჩე, მოვიდენ. მანქანის ხმა გავიგეთ. დაჟე ვიფიქრე, ხო არ მობრუნდენ გზიდან. რამე ხო არ მოხდათყო. კაროჩე, სწორე ვიყავი, რა. უნდა გავგეშე. დაიძახეს ჭიშკარზე მასპინძელოო და ეჯავგურებიან კარებს რა, რუქკას. მერაბას კიდე ვეუნიბი, ეგ არითყო, ბიძაჩემიათყო, ნათიას მამათყო.

მერაბა მეუნიბა, კაროჩეო, არ გამოჩნდო და მე დავებარებო, რის ნათია, რა ნათიაო. მეთქი, ხარაშო, მარა, მერე მაინც გაიანდება, ხო იცი, არ დაიმალება, რო აქ იყენენ და გაგიტყვავს, ქორნილში და ამბავში უხერხულათ იქნები და მაშინ ვეტყვიო, რო იყენენ და ნავიდენო. კაროჩე, დრო აღარ იყო, ხო უნდა გამოხედო ჭიშკართან რო დგანან, ჯერ კი არ ვიცი, რო ორი მანქანა არიან და მეთქი, არა, დავაი, ჯერ შენ გადი და მერე მე გამოვალ, მე სტაპრაციენტი უნდა გამოვიდე, იმიტო, რო ეგეც არ დაიმალება, რო ყველაფერი კარგათ მოთავებდა, მერე დაინწყებენ ლაპარაკს და ნათიას შენ გააჩერეფ მოყოლისგან? და ბიძაჩემი ვაფშე მე დამეზობლმე. ამიტო, მე ვიცი, რასაც ვეტყვი. შენ პროსტო ეტყვი, რო იყენენ და ნავიდენენ და ეგ არი, დანარჩენი მე მახაზრე.

ხარაშოო და გავიდა და გაულო და ეხლა მესმის ეზოში ლაპარაკები, რო სად არიან, ნათიას ვეძებთ.

მერაბა კიდე უუნიბა, ნათია ნავიდაო, ნავიდენენ ერთათო. რა დროსო, ეს ბიძაჩემი უუნიბა, მესმის რა, ზაუგოლ ვდგევარ რა, და კაი ხანიაო, მერაბამ. და ბიძაჩემმა დაინყო სტრანნი ლაპარაკი, კაროჩე, რა, რო მერაბა კი არა, მე ვერ გავიგებ, რო კაროჩეო, მოტაცებულაო და ვიჩივლეფო და მეთქი, ეხლა უთხრას მერაბამ, რო მე რას მეუნიბი, ნადი და უჩივლე, მარა მერაბა ნესიერი კაცია, არაფერს არ ეუნიბა, უუნიბა, შემობძანდით სახშიო, ის კიდე არ უსმენს და ეს ვილაცა მაგისი ძალათი მაგარი ნათესავები ბიცოლაჩემის მხრიდან კიდე ამატებენ, გოგოო ჯერ სკოლას ამთავრებსო და ეგეთი რამე როგორ გაბედეთ, როგორ მოიტაცეთო. კაროჩე, ანვებიან, რო ძალათი ნაყვანილი და მერაბას აუნიბებენ. მერაბა კიდე ვაფშე რა მუაშია, ეგ სხვაგან უნდა თქვა, თუ მაგას ანვები. და ერთი ვფიქრობ, არ დაიგრუზოს ეხლა მერაბათყო და ეგრე, ბიძაჩემი რაებს მიანვა, ქალის მოტაცებაზე შეხვალთ ყველა სროკზეო, მერე ნახავთო, იცი, ეგ რა ცუდი მუხლიაო, მე ვაფშე დავამტკიცებ, რო გააუპატიურეთო და ყოფა გეტირებათო. აზზე ხარ? მერაბა დგას და უყრებს ალბათ, მე ვერა ვხედვა, ზაუგოლ ვარ და თან დალეული მაქ ცოტა და კაკრაზ, რო მიანვა გაუპატიურებას, გამოვედი.

ლამპოჩის ქვეშ დგანან.

გამოვედი და ვერ მხედავენ ჯერ და იქიდანვე დავიძახე, რას ატყუებთ მეთქი ამ ბიჭს, რა სკოლა არ დაუმთავრებია და ვაფშე რა გაუპატიურებას ახსენებ ამხელა კაცი, არა გცხვენი? შენ შვილზე ლაპარაკოფ და ლიში ნამოიყვანო, გაუპატიურებას ტენი, რო ყველამ იძახოს მერე, ამის შვილი გაუპატიურებულია?

და ერთი გამოიხედა.

გამოიხედა და ხედავს, მე ვარ. ხმაზეც მიცნობდა.

და გავიჟდა, რა.

ის ლამპოჩა ზემოდან ანათებს და გაგიჟდა.

ვილაცამ დაჟე თქვა, ეს ვინ არიო. რა იციან იმის ნათესავებმა და სხვამ უთხრა, ეგო მაგის ძმიშვილიაო, და ვილაცას დაჟე გაეცინა და მიყურებს.

შენ რაღა გინდა აქაო, შე ვაფშეებუ-

ლოო.

მეთქი, რა რა მინდა, სიტყვებს დაუკვირდი, შენ ცეხში რო აჩმორებ მუშებს, ეგ არ გეგონოს, რა მინდა და გავიგე, სად არიან და მოვედი გასარკვევათ, იმიტო, რო გული შემტკივა და გავარკვიე, რაც გასარკვევი იყო და ვაფშე სულ რიჟაა, რასაც ეხლა შენ ლაპარაკოფ, დაგვიანებულა და ვაფშემც, პრობლემა არ არი, იმიტო, რო ერთმანეთი უყვართ და ეგ რო გავიგე, იმიტო ნება მივეცი, ნასულიყვენ და სადაც არიან, იქ გაუმარჯოთთყო.

შენ ვინა ხარ, ნება რო მიეციო და გამოინია, ამას უყურეო. გამოინია და ისინიც ვითომ აჩრებენ.

მეთქი, ერთი შენ გულში ჩაფიქრდი ეხლა, რას აკეთებ. პრავი არა ხარ. ერთი რამე არი მართალი, რო არ გინდა, რო გათხოვდეს და დანარჩენი, სუ რიჟაა, რასაც აკეთებ და მაგაშიც ვერა ხარ მართალი, რო რატო არ გინდა გათხოვება.

იასნია, ვის უნდა გოგოს გათხოვება. პროსტო, რა გინდა, თავის ნებით ნამოყვა და რაღას დაუშლი, მოსახდენი მოხდენილია და ეხლა ტყულა ეგრე რო იქცევი,



შენ შვილს სახელს უფუჭებ. მეთქი, რას შეყარე ქვეყანა.

და მიყურებს. ვითომ არ გაუგონია.

არადა, გაუგონია რომელია და იბოლმება.

ხოდა, სად არიანო.

სად უნდა იყენენ, მე უთხარი, ცოლქმარი, სახში არიან და ვაფშე, მეთქი კარგათ ნახე და გაიგე, თავისი ნებით ნამოყვა? დაწერილი აქს, რო თავისი ნებით მოყვება.

ეხლა მოიხედა და მერაბას უყურებს. შენ ვინა ხარო.

მერაბამ უთხრა, რას ნიშნავს ვინა ვარო.

და იმ კახელმა თქვა, ვიცი, კაცოო, ხო იოლას მოვაგენით და მაშინ გაუხურე იმ კახელს.

და ამ დროს ვილაცამ დაიძახა, ნაველით, აქ არ არიან და ტყუილა ეხლა ნერვებს იშლიო.

და სხვებიც აყენენ, ნაველითო, რაღას ნვალოფო. როღის იყო ბავშვები გვიჯერებდენ ჩვენისო.

ცხოვრებაში ინანებსო, რო არ დაგიჯერაო, თითონაც გახდება მშობელი და ნახავსო. კაროჩე, ქართული ზაზარი ნავიდა, მაშინ, აბა, რა ვიციოდი, ბიჭი ვარ, კიდე, მაგდენ ბაზარს თავი როგორ მოვაბი, რო ეგრე უთხარი, მარა მე ხო მივხედო, თავს ვინ შემოაკლავს, ბიჭი, ხათრით არი ნამოყოლილები და ყველა ხედავს, გათხოვდა გოგო, პროსტო ეგ არი, პირველი რომელი ეტყვის, რო ვსიო, ძმაო, დასპაკონდი ეხლა. ხოდა, პირველი არ ეუნიბიან, ვილაცას ელოდებიან. ხოდა, მე უთხარი. ამხელა ბიძები იქ იდგენ, საროჩეები სულ ჩატანიებულები ქონდათ და

გატრუნულები კი დაუდიოდენ გარშემო.

უთხარი რა, რო ვსიო. რას დაყვები. საქმეში და ნათესაობაში ეთვლებათ, კაროჩე, რო ჩაჯდენ მანქანაში და დაყვებიან აქეთ-იქით, მერე დაიჭერენ ყანებს და ადღეგძელებენ სიძეს და იმის ნათესავებს.

კაროჩე, ტყუილია რა, რიჟაა, სხვა დეიჟენია.

ხოდა, მეც გაუიანსე.

ისე, მე ვგავარ მამაჩემს.

მაშინ რა, ოცდაერთისა ვიყავი და რა გამეგებოდა, პროსტო, ხო ვთქვი, რო მეთქი, რა გულით აკეთებ საქმეს. ეგ კი არ მეგვასებოდა, მარა მაინც მაგის ნაზლო არ მიქნია.

ამ ნათიას კიდე რო ათქმევიო ეხლა, არაფერი ვითომ.

კაროჩე, ნავედითო და ერთი მომიტრიალდა და, შვილოო, შენ ნამოხვალ, თუ როგორო.

უკვე შვილოთ გავხდი.

მეთქი, მე არ ნამოვალ. მე და ეს პატროსანი კაცი ერთათ ნამოვალთ, ამან მიმასპინძლა აქა და კაცობა დამანახა და ესე ვერ დავტოვეფ. თან, მეთქი, სიმარ-

ესვამდით, კახელებით კი არა, გიჟებივით. ჩავაყოლეთ რაღაცეები და დავეჯექით. ნანერვიულებზე ხო იცი, მოგინდება დალევა და გმივდება, რო ჩაივლის მერე. ხოდა, მერაბამ, დავაიო, რამეს გავაკეთებო, ვჭამოთო და მეთქი, მაიცა, ტო, და ამ ნონიალნონიალში იქავე გაგვეძინა. ნანერვიულებზე. მაშინ რო ეგეთი ნერვოზები მქონოდა, ეხლა რო მაქ, ვაფშე დამეძინებოდა კი არა, რო დავიწყებდი სიარულს, ხო ვაფშე, ვინ გამაჩერებდა, გავაგვიჭებდი მერაბას.

მერე გამოგვეღვიძა ადრე, და მერაბამ, რა ვქნათო, ნავიდეთ თუ მაღლა ავიდეთ და კარგათ გამოვიძინოთო. მეთქი, თუ რულზე დამეჯდომი ხარ, ბარელამცას ნავიდეთ, თუ დაძინებაა, სახში დავიძინოთ, დავიბანოთ და ეგრე ნამოვედით თბილისში და თერთმეტ საათზე დილაზე სახში ვიყავი.

მამაჩემი არ იყო და დედაჩემი კიდე მელოდებოდა ნანერვიულები, ბიცოლაჩემს უკვე დაერეკა და გაველანძნენ, იმათი მხარი დაუჭერიაო და იქ ხელებს უშლიდა ბიძამის და ისე ელაპარაკებოდაო. გამეცინა, მეთქი, დედი, აბანო ჩავერთოთ, დალილი ვარ და მერე მოგიყვები.

ჩემი დაც გახარებული გადი-გამოდის, რაო, დაუდექი მაგრათო? გამეცინა, მეთქი, იცის ქემერამ.

იმას ზედმეტი ლაპარაკები არ გაუბედნია, მამაჩემთან არ ჰქონდა თქმის თავი და ქალებს კი ეტყუოდა და მერე მოდიოდა დედაჩემის ყურამდე, როგორ მლანძღავდა.

იმათთან კიდე, ოჯახშიაც მივიდა ეგრევე და ვითომ არაფერიო და კაროჩე, სლაბი რა. რო იმუქრებოდა, უმამაჩემოდ მაინც ვერ მიბედა იქამდე და მერე კიდე წარამარა არბოდა და ხან რას მიუტანდა, ხან რას. ნუგზარა მეუნიბოდა, ჩითავს იაშიკებითო. გაუმარჯოს ღმერთმა მეთქი, ვეუნიბოდი, ეგრეც უნდათყო. ქორნილი ცოტა გვიან ქონდათ, ხო იცი, როგორც არი და იმ ქორნილამდე კიდე მე ეგ არ მინახავს. აღარ მინახავს ვაფშე, იმიტო, რო იმ სალამოს ქეიფში რო ავედი, ეგ უკვე ნასული იყო. ეგენი ადრე მისულიყვენ და მერე ნამოსულიყვენ, როგორც არი ხოლმე, მერე კიდე საძმაცო რო ქვია. და მე გვიან ავედი. არც მინდოდა ასვლა. მარა არ გამოდიოდა, და ერთი სამჯერ დამირეკეს იქედან სახლი მიმასწავლეს და მერე ავედი. მაგრა შემხვდენ, ყველამ იცოდა, რაცა ვქენი. ვქენი რა, მამაჩემი არ ყოფილიყო, მე ვერც მოვიფიქრებდი. ფული კი მქონდა, მარა ხო იცი, ვერ ფიქროფ მაგდენს. რაღაცეებს ფიქრობდი, მარა იმან მაინც ხელი ნამკრა. თან არც მითხრა, რო ეგრე ქენიო.

მერე, ქორნილი რო იყო, ბიძაჩემს თურმე ჩემი დანახვა არ უნდოდა. იასნია, ბოლობოლოს თავის შვილს ხო არ შეიძულებდა და ვილაცა ხო უნდა შეეძულებია. დავიკიდე, არ ნაველი ქორნილში. ნუგზარას არ დავუპატიჟივარ, იმიტო, რო საერთო ქორნილი იყო და ქალის მხარეს ქალის მხარე პატიუბს და დედაჩემს დაურეკა ბიცოლაჩემმა და მოდიოთ და ეგ იყო და მეთქი, მაგრა არ უნდა ბიძაჩემს, რო მივიდე და მეთქი არ ნამოვალ, დედაჩემს უთხარი და მამაჩემმაც არა თქვა რამე, რო ან ნამოდი, ან არა და მეთქი, ვსიო, მე დავცყდი. იმიტო, რო ნათია მირეკავდა და ხო მაყარი ხარო, იმ პონტში, რო დილაზე სახში ხო ამოვიდოდენ ნუგზარა და ბიჭები და მეც რო დავხვედროდი. და მეთქი, ხო, ხო, და იასნია, არ მივედი დილაზე და ვაფშე სახლიდანაც დავცყდი და მეძებდენ, რეკვა იყო და ამბავი და ვერ მიპოვნეს. ჩვენები კიდე მერე უკვე სამზე მიდიოდენ ქორნილში და ეგრე ხუთზე ამოვბრუნდი სახში, მეთქი დავნვები, დავიძინებ და მერაბა არ მოვიდა კასტუმში? ადე, ჩაიცი, ნამო ქორნილშიო, ნუ გაატრაკეო, ვის ახსოვს ვაფშე ბიძაშენიო და ნაველი. არ უნდა მოვსულიყავი სახში ადრე, ვიციოდი რო მომაკითხავდენ. მაინც მოვედი, ეგება მინდოდა, რო დავეძახე იმ ქორნილში. ეგრეა კაცი, ემშაკობები გამოიყვება.

ხოდა ეგეც ეგრე იყო.

კაროჩე, ეხლა მე ნავალ და მალე მოვალ, იმ პონტში, რო მართლა მოვალ.

პირველი წიგნის დასასრული

გამრკელება იქნება

რედაქტორი



— შურნალი „ჩვენი მწერლობა“ შინაარსობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რასაც ადასტურებს რუბრიკების სიუხვე და ნაირგვარობა. როგორც რედაქტორი, პირნიმინდად ლიტერატურულ ჟანრებს ანიჭებთ უპირატესობას თუ ზოგადად სახელოვნებო და კულტუროლოგიურ სფეროებს?

— პირველ ყოვლისა მინდა გამოვთქვა სიხარული, რომ ჩვენი მწერლობის „მომცდარ ყანაში“ (ვახტანგ კოტეტიშვილს რომ დავესესხო) თქვენი გაზეთიც არსებობს და თავის ჭაპანს ეწევა. ეს გამოთქმა „ჭაპანი“ მიესადაგება თვით ძლევაგამოსილ სახელმწიფოთა სალიტერატურო გამოცემებსაც, თორემ ჩვენთვის ყველაზე კანთიელი და სასიცოცხლო ცნებაა რედაქციის თანამშრომელი აღარც განსხვავდება მეომრისაგან.

სხვა რა შეიძლება ითქვას გლობალიზმად მონათლული საშემოების ექსპანსიის პირობებში, როდესაც ისედაც არ გვაქვს იდეოლოგიური დივერსიები და ერთი კაცი რამდენად გაიჭრა, უკვე აღარ იცი.

„ჩვენი მწერლობაც“ ამ — სამწუხაროდ, მოკლე — ჯაჭვშია ჩაბმული, როგორც სოლომონ დოდაშვილის, ილია ჭავჭავაძის, იოსებ იმედაშვილის, პავლე ინგოროვას, სიმონ ჩიქოვანისა თუ ვახტანგ ჭელიძის გამოცემათა სულიერი მემკვიდრე და ახალ საიმედო მოღვაწეთათვის გზის გამწვანებელი.

ამ გადასახედიდან ლიტერატურა და, შესაბამისად, სალიტერატურო გამოცემა, მოიცავს ყველა სატიკვარს, რაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო გარემოში ტრიალებს და ვერ შემოიზღუდება პირნიმინდად სამწერლო ჟანრებით. ის კი არა, სამწერლო ჟანრების ჩარჩოებს რომ არც გასცდეს ოდნავადაც კი, მაშინაც ძალდაუტანებლად შემოწმებს მთელ ქართულ თუ საზღვარგარეთულ სივრცეს.

მთავარია, ლიტერატურად აქციო ყოველივე, რასაც შეეხები, თორემ განა რა მნიშვნელობა აქვს, თემად რას აირჩევ. არჩევანისას თავისუფალი ხარ და ის „ზოგადად სახელოვნებო და კულტუროლოგიური სფეროებიც“ ადვილად შეგიძლია ლიტერატურის გარსში მოაქციო.

საზოგადოებრივ მოვლენებს, თეატრალურ, კინემატოგრაფიულ, სამხატვრო, ქორეოგრაფიულ, სპორტულ, სასკოლო ყოფას შეგიძლია გამოეხმაურო არამარტო ლიტერატურული სტატიით, რომელიც გარიდებული იქნება ზედმეტად სპეციფიკურ „ჩაღრმავებებსა“ თუ ჭარბ ტერმინოლოგიას, არამედ მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის რეპორტაჟებითაც, რომელთაგან არაერთი სულაც დოკუმენტურ ნოველად წარმოგვიდგება.

თუკი, ვთქვათ, ჯონ სტაინბეკის ბრწყინვალე მოთხრობა ცხენზე „ნიტური პონი“, რომელიც „ჩვენი მწერლობის“ მეოხებით ქართველი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა, ლიტერატურის ნიმუშია, ნოდარ ებრაღიძის ჩინებული მხატვრულ-დოკუმენტური ციკლი ცხენ-

ლიტერატურის სულიერი ქურა

ესეისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, მკვლევარი...

უამრავი მონოგრაფიისა და ბიოგრაფიული რომანის ავტორი, ლიტერატურული პრემია „გალას“ ლაურეატი. მრავალმხრივ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას წარმატებით უთავსებს სარედაქტორო საქმიანობასაც - თავიდან იყო შურნალ „ომეგას“ და გაზეთ „ჩვენი მწერლობის“, ამჟამად კი შურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარი რედაქტორია.

თავის რედაქტორულ და არა მხოლოდ რედაქტორულ საქმიანობაზე გვესაუბრება მწერალი როსტომ ჩხეიძე.

ზე რატომ უნდა მიიჩნიოს ვინმემ სპორტულ მასალად და არა ასევე ლიტერატურად?

ამ თვალსაზრისით, „ჩვენი მწერლობა“ მოუსინჯავს და კვლავაც მოსინჯავს ყოველგვარ თემას, ლიტერატურულსაც და „არალიტერატურულსაც“, მაგრამ ყველაფერს ლიტერატურად წარმოუდგენს მკითხველს.

ასე რომ, პირნიმინდად ლიტერატურულ ჟანრებს არავითარი უპირატესობის მინიჭება არა სჭირდება, ისინი თვითონვე მიჰკვალავენ სულიერ სივრცეს, მითუმეტეს, რომ მათი სათავე ძველ და ახალ ალტექსტშია საძიებელი — ყოველივეს რომ გადანვდება და წარმოგვიდგება უმაღლესი რანგის ლიტერატურად ის, რაც მათი სახით ხელთ გვიპყრია — ლვთიური სიტყვა წუთისოფელში სხვაგვარად ვერც შეისხამდა ხორცს, თუ არა ლიტერატურულ ჟანრებად.

— ბოლო ათწლეულებში ქართულ სალიტერატურო პრესაში პუბლიცისტური პათოსი ჭარბობდა. თქვენს შურნალში ეს ტენდენცია ნაკლებად შეიმჩნევა...

— დავაზუსტოთ: უფრო ფსევდოპუბლიცისტური პათოსი ჭარბობდა. პუბლიცისტური კად საღებობა პოლიტიკური კონიუნქტურა, მედროეული სტატიების წყება, რომელსაც ყოველთვის მეტი აჟიოტაჟი ასდევს, ვიდრე ნამდვილ პოლიტიკურ ესეისტკას — თავისი მსოფლმხედველობითა და ღრმა განზოგადებით. აბა, ამ თვალთ გადახედეთ იმ წერილებს, რომლებიც „პუბლიცისტური პათოსის“ ილუზიას ქმნიდნენ, თუ რაიმე საგულისხმოს ნააწყდეთ — ახალ პოლიტიკურ რეალობაში ისინი უნუგეზოდ არიან მოძველებულნი, ისევე, როგორც ის „პუბლიცისტური“ სტატიებიც იქცევა დრომოჭმულად, ამ იარლიყით რომ გვთავაზობენ დღეს და სინამდვილეში კი პარტიული პროპაგანდის ნორმებს არა სცილდება.

ლიტერატურა პარტიულობის სრულიად საპირისპირო მოვლენაა და ყველაზე უკეთ თვითონ გამოხატავს პოლიტიკურ აზროვნებას — ცდილობს დაიხსნას საზოგადოებრივი ფიქრის მდინარეც კონიუნქტურის მარწუხებიდან და გაიყვანოს იმ მთავარ გზაზე, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და მის სულიერ მემკვიდრეთა ნაღვანით აღბეჭდილა, კვლავაც იდეურ და ესთეტიკურ ორიენტირად რომ რჩება და ყოველთვისაც დაჭირდება საქართველოს იმის მიუხედავად, თუ როგორი იქნება მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობა — დაჭირდება იმ სიმართლისათვის, ურომლისოდაც ყოველგვარ ნაწერს ფასი ეკარგება და ჩხირკედლაობად გადაიქცევა ხოლმე.

„ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე ფსევდოპუბლიცისტური ტენდენცია ვერ იკიდებს ფეხს, თორემ ჭეშმარიტი პუბლიცისტური სწრაფვა საკმაოდ თვალსაჩინოა, ის კი არა, ლამის ყველაფერი პოლიტიკადაა გადაქცეული, იმ პოლიტიკად, რომელიც ემსახურება საქართველოს სახელმწიფოს შენარჩუნებასა და დაკვიდრებას დასავლური ქვეყნების თანახმორად, საკაცობრივი ცხოვრება წარმოუდგენელი რომ იყოს ჩვენს გარემოში.

— უთუოდ ამ მიზნით ქვეყნდება ასე მიზანმიმართულად დასავლელ კონსერვატორ მოაზროვნეთა პოლიტიკური ესეების თარგმანებიც და პაატა ჩხეიძის სტატიების სერიაც.

— ეს ის შემთხვევაა, როდესაც პუბლიცისტკა — ჭეშმარიტი და არა ცრუ — გარეგნული ნიშნითაც წარმოდგება ჩვენს შურნალში, რათა მკითხველმა თანდა-

თანობით სრულყოფილი შეხედულება შეიმუშავოს ამ მოძღვრებაზე, რომელიც არჩილ ჯორჯაძისა და მიხაკო წერეთლის შემდეგ თავისი კლასიკური სახით შენარჩუნდა თვით საბჭოთა ეპოქის პირობებში — კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიებისა და ოთარ ჩხეიძის ნაწერებში. არადა, ყოველგვარ უბედურებასთან ერთად, ეს ის ჟამია, როდესაც ილია ჭავჭავაძის მოძღვრების უღვთო გაყალბებასაც არ ერიდებოდნენ და მის კონსერვატორულ დოქტრინას სოციალისტურ საბურველში ხვედნენ, ისევე, როგორც დღეს ლამობენ გლობალიზმის არტახებს როგორმე მოარგონ და დროშადაც კი აფრიალონ ილია ჭავჭავაძის სახელი, მაგრამ ყალბ დროშად.

— ილია ხომ ლიბერალი იყო, და მამ გლობალისტურ მრწამსთან მისი დაახლოება არამცთუ ყალბი, ხელოვნურიც აღარ უნდა იყოს — გლობალიზმს აკი ლიბერალიზმი ასაზრდოებს?

— ლიბერალი როგორ არ იყო, თვითონაც ირწმუნებოდა და თანამედროვენიც ასევე მიიჩნევდნენ, ოღონდ... ეს ადრეული ილიაა, ის ილია, ვინც თვითონვე უარყო და გაემიჯნა, სრულიად შემოატყდა თავისი მსოფლმხედველობრივი გზი და, რასაც სიტაბუქისას ამკვიდრებდა, პირველ ყოვლისა ის დაამსხვრია, რათა საქართველოს სახელმწიფო იმ სახით ჩამოყალიბებულიყო, მყარ საძირკველს რომ შეიძენდა და ქარის ყოველ დაქროლვაზე აქეთ-იქით არ გადაიხრებოდა.

ცხოვრების მეორე ნახევარში ილია გამოკვეთილი კონსერვატორია, ამ რწმენისა და მოძღვრების ერთი უპირველესი დამცველი ჩვენში და ამიტომაც გაინირა — ნინამურში მოკლეს არა ლიბერალი ილია, არამედ „ლიბერალიზმის მოღალატე“ და „სწორ გზას ამცდარი“, როგორც დაჟინებით იმეორებდნენ სოციალ-დემოკრატები, რომელთაც ძალიანაც მოსწონდათ ილიას ლიბერალური წარსული და ირწმუნებოდნენ: ჩვენი აზროვნების ჩამოყალიბებაზე მისმა იმ ნაწერებმა დიდი ზეგავლენა იქონია, ვიდრე საკუთარ თავს გაემიჯნებოდა და ეროვნულს მიიჩნევდა სოციალურზე მნიშვნელოვნად და არსებულს შესანარჩუნებლად გადადებდა თავს, ნაცვლად იმისა, რომ კვლავ ისევე აპყოლოდა სიახლეებს, როგორც სიტაბუქისას სჩვეოდაო.

— გამოდის, რომ ორ ილიას განასხვავებთ.

— მსოფლმხედველობრივად, თორემ ზნეობრივად იგი მონოლითური პიროვნება გახლდათ, სახიერი ნიმუში, თუ რას ნიშნავს რწმენისათვის თავგანწირვა, მისი რწმენა კი საქართველოს ბედსწერას არ სცილდება. შემთხვევითი არ არის, რომ ეროვნულ მოღვაწეთათვის იგი ისევეა მისაბაძი, როგორც ყოველი ქრისტიანისათვის — იესოს სახება: რომ ოცნებობ, ნეტა მის სულიერების ნაპერწკალი ჩემშიც ყოლავედეს, რათა პირნათლად აღვასრულო ჩემი მისიაო.

— თქვენ გჯერათ, რომ ყოველი ადამიანი საკუთარი მისიით მოდის ამქვეყნად?

— ცხადია. ეგაა, ზოგს მეტი მოვალეობა დაჰკისრება და ზოგსაც ნაკლები — საკუთარი სულიერი ძალ-ღონის შესაფერისად. სამწუხარო ისაა, რომ მისიის ეს შეგნება თვლემს ადამიანში და იქნებ ვერც ვერასოდეს გააცნობიეროს თავისი მოვალეობა. ამიტომაც აუცილებელია დღენიდავ ვაფხიზლებდეთ ერთმანეთსაც და საკუთარ თავსაც, რათა მხოლოდ სასიკვდილო სარეცელზე არ

მოგვაგონდეს ჩვენ-ჩვენი დანიშნულება.

— მაშინ უკვე გვიან იქნება.

— მეც რატომღაც ვერე მგონია.

— დღეს ხშირად გაიგონებთ ფრაზას, ლიტერატურული პროცესი ჩამკვდარი-აო. ეთანხმებით თუ არა ასეთ კატეგორიულ მოსაზრებას და რა არის საჭირო სალიტერატურო ცხოვრების უფრო გამოსაცოცხლებლად?

— დათანხმებით როგორ შეიძლება ვეთანხმებოდე იმ აზრს, რომელსაც არაფერი აკავშირებს სინამდვილესთან!.. ვითომ გულმტკივნეულია და უკეთესისაკენ სწრაფვით ნაკარნახევი, არადა, ფშუტურია, გამონეუული ან უცოდინრობით ანდა იმ სნობიზმით, რომელიც მზერაზე რიდეს გაფარებს და ჩავაგონებს, რომ რასაც თვალნათლივ ხედავ, არ არსებობს. უცოდინრობაში კი სატელევიზიო „ერუდიციასაც“ ვგულისხმობ, მათ მიზანმიმართულ საქმიანობას სულიერ ფასეულობათა წინააღმდეგ. საგანგაშოც ესაა, შეგნებულად რომ ხდება ყველაფრის ისევე დაყენება თავდაყირა, რაც საბჭოურ ეპოქას სჩვეოდა, სინამდენი ლაფში რომ იყო ამოსვრილი, სიცრუე და სიყალბე, უბადრუკობა და სიმახინჯე კი სინამდისა და დიდების შარავანდით შემოსილი.

ერთადერთი საპატრიარქოს არხი „ერთსულთაგნება“ ცდილობს აღასრულოს თავისი მოვალეობა და ხალხს მიუთითოს უკეთესისა და ჭეშმარიტისაკენ, და სამწერლო ცხოვრებაშიც ის ორიენტირები დასახოს, რაც ლიტერატურის მოვალეობაა და არა პარტიული პროპაგანდის აღმსრულებელი ლიტერატურისა, რაც ყველაზე დიდი სიმახინჯეა.

იმგვარ რეალობაში, როდესაც კვლავაც ლამობს თავის გადარჩენას ეს საბჭოური გადმონამითი — მწერალთა კავშირი — სასიკეთოს ანკი რას შეიძლება ელოდე. რასაკვირველია, ამ გადმონამის კარგა ხნის წინათ გაუვიდოდა ყავლი, ტელევიზიათა ცრუკულტურული პოლიტიკა ენერგიულად რომ არ ედგეს მხარში ყოველ ასეთ გაუგებრობას.

სატელევიზიო ვითომ კულტურული პოლიტიკა მთლიანად გადართულია ტანსაცმლის და ფეხსაცმლის მოდასა და საესტრადო სიმღერების იმ ნაკადზე, რომელსაც ისევე ვერ გაიგონებ რაიმე ნამდვილთან, როგორც გლობალისტ პროპაგანდისტთა იმ „ორკაციან“ ჯგუფს ვერ აღიარებ მწერლებად, რამდენიც უნდა გიჩიჩინონ ცრუჰანგებზე მომართულმა ტელეარხებმა, უნიჭობასა და უხამსობას მწერლურ გაბედულებად გასაღებას რომ ცდილობენ, მათთვის მართლაც კუთვნილი სახელის დარქმევას კი — მწერლის თავისუფლების შეზღუდვად და ადამიანის უფლებათა დარღვევად.

ეს ყოველივე სასაცილო იქნებოდა, სატირალიც რომ არ იყოს. უნებურად „დრომოჭმული“ მწერალი გამახსენდა — დავით კლდიაშვილი, და მის მახვილგონივრულ ფრაზას დავესესხე, რათა ამ გახსენებამ გუნება გამომიკეთოს და ღიმილით შეხვედე საინფორმაციო გადაცემათა კულტურულ მიმოხილვას, რომელიც აუცილებლად უნდა იწყებოდეს სასიხარულო, მეტიც, აღმაფრთოვანებელი ცნობით, რომ თათამ ახალი ფეხსაცმელი შეკერა... და თუ არ ჩავთვლით ახალი „ფეშენისათვის“ სამზადისს, რომლის პროცესსაც აუცილებლად ყოველდღე უნდა ვადევნოთ თვალი, იმხანად საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში აღსანიშნავი — ფეხსაცმლის შეკერვაზე ნაკლებმნიშვნელოვანი, მაგრამ შედარებით მაინც აღსანიშნავი — თურმე არც

არაფერი ხდება.

არადა, ამ კომიკური მიმოხილვების მიღმა ჩქეფს ნამდვილი კულტურული ზოგადობა და კერძოდ კი ლიტერატურული ცხოვრება თავისი მრავალფეროვნებით და ერთიერთმანეთზე საგულისხმო და საიმედო ნაკადებით, იმ განცდებითა და ვნებებით, ნამდვილი სიხალისისადმი იმ სწრაფვითა და ექსპერიმენტატორობით, ხვალ და ზეგ დასავლური სამწერლო ცხოვრების სრულყოფილებიან მონაწილედ რომ გვაქცევს.

დასავლური ლიტერატურა არ არის გლობალისტური დოქტრინის მხატვრულ საბურველში გახვეული პროპაგანდა და არც მათი სამწერლო კერები აგიტაქტები. და თუ მათ პროცესებთან დაახლოება გვინდა, ისევე უნდა შევინარჩუნოთ ისტორიული ფესვებიც და ეროვნული თავისებურებანიც, როგორც, ვთქვათ, ინგლისელები, ფრანგები თუ გერმანელები ებლაუჭებიან ყოველივეს — მათთვის ნიშანდობლივს, რათა ეროვნული ლიტერატურის შენარჩუნებითა და ღირსეული გაგრძელებით დარჩნენ საკაცობრიო ცხოვრების ავანგარდში.

„ქართული ლიტერატურის პროცესი ჩამკვდარიო“, იმ ვერაგულ მოსაზრებას რომ იმეორებთ, ტელევიზიებს სურთ წარმოადგინონ ჩამკვდარად, თორემ თუნდაც რამდენიმედღიან მიუკერძოებელ სალიტერატურო მიმოხილვებს რომ დაეთმოს მათი ასერიგად გაპამპულეზული, თავით ბოლომდე შოუებად გადაქცეული ეთერიდან სულ მცირე დრო, თვალნათლივი გახდება, რომ სამწერლო მჭეფარების არსებობა კი არ მეჩვენება, ან ილუზიებს შეგნებულად კი არ ვუიგვივებ სინამდვილეს, არამედ ცოცხლობს რომელია — დიდი ნახტომისათვის ემზადება.

— უთუოდ მეტი მჭეფარებაც გვინდა.

— ეს თავისთავად იგულისხმება. აბა, დასჯერდები თუ არა მიღწეულს, იქ მოთავდება ყველაფერი და მართლა ისევე ჩაკვდება სამწერლო ცხოვრება, ტელევიზიებს რომ ეოცნებებათ.

— შესაძლოა გულისხმობენ კრიტიკული აზრის შესუსტებას. ფაქტია, ძველი თაობის კრიტიკოსთა უმეტესობამ კალამი გადადო, ახლებიც ნაკლებად ჩანან.

— ამჯერადაც მათ ინფანტილურ შეხედულებას იმეორებთ, თორემ თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ კრიტიკული აზრი არამცთუ არ შესუსტებულა, არამედ თავისი ადგილი სწორედ ამჟამად მოიპოვა ჩვენს სალიტერატურო სივრცეში და ეს ერთ-ერთი ღვანლია ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა, რომელმაც ასპარეზზე გამოჩენისთანავე ჩაითქვა სალიტერატურო კრიტიკის გამოცოცხლება მიზანმიმართული გარჯით და კიდევ მაინც ამ ნაკადის გამოკვეთას, რათა აღარაფერი დარჩენილიყო შეუფასებელი, რაც ჩვენს მწერლობაში ხდებოდა, თანაც — ახალ მხატვრულ ქმნილებათა გამოჩენისთანავე, როგორც კრიტიკის წესი და მოვალეობა: სალიტერატურო პროცესის კვალდაკვალ მიყოლა და არა რაღაც მარგანიზებული როლის შესრულება. ეს პარტიული და პროპაგანდისტული კრიტიკის მოვალეობაა, ჩვენში სულაც ჩეკისტური კრიტიკის სახეც რომ შეიძინა და რამდენიმე ათწლეულის მანძილზე სულს უხუთავდა ნამდვილ მწერლებს თავისი „მარგანიზებულობით“. 90-იან წლებში ამოვადგინე მისი ადდგენის მცდელობა, სამაგიეროდ, იმ 90-იანი წლების შუა ხანები დარჩება თავისებურ ნიშანსვეტად ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარების ისტორიაში.

— კალამის დადებას“ რომ ამბობთ — კალამი იმით დადეს, რომელთა კალმის ტრიალსაც არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონია ჩვენი მწერლობის დე-

დოძარღვისათვის და მათი სტატიები ამ მდინარების მიღმა რჩებოდა, ახალი სახელები კი სულ ჩნდებოდა და ჩნდებოდა — ნამეტანს ნურავინ მოითხოვს, მაინცდამაინც კრიტიკოსთა ზღვა რომ ნამოქიწროს, ნამდვილი კრიტიკოსები ყოველ დროსა და ყველა ქვეყანაში ცოტანი ყოფილან და ცოტანი იქნებიან, მაგრამ თქმა იმისა, კრიტიკული აზრი შესუსტდაო, სრული გაუთვითცნობიერებაა და სნობური „გემოვნების“ აყოლა.

ჩვენ გვყავს კრიტიკოსები, დასავლური ქვეყნების სიხარულით რომ შეეგებებოდნენ მათი რანგის ლიტერატორთა გამოჩენას თავიანთ ნიაღში. მათი სახელები არაერთხელ ჩამომითვლია და ამჯერადაც მხოლოდ მათით რომ არ შემოვიფარგლო, მიჩვენია ის ოთხეული გამოვყო, რომელთაც აგერ, ჩვენს თვალწინ დაიმკვიდრეს ადგილი სამწერლო ცხოვრებაში და კვალში მიჰყვებიან მის მღელვარე დინებას: ნინო ვახანია, სალომე კაპანაძე, ნანა კუცია და მარინე ტურაბა — ის სოხუმური ჯგუფი, რომელთა დაკვირვებებსა და მოსაზრებებს სულ უფრო მეტად უნევენ ანგარიშს და მათაც ვეღარ წარმოუდგენიათ რაიმე გაუშვან ნაუკითხავი და გაუაზრებელი, რათა საერთო ფონზე უფრო მკაფიოდ აღიქვან ცალკეული ნიშნები თუ ნიუანსები.

— თქვენი ჟურნალი ფართოდ უღებს კარს ახალგაზრდობას. ბოლო დროს განსაკუთრებით ვინ გამოიჩინა თავი, ვისი სახელი გვიმედებათ?

— ახალგაზრდული ხანა უფრო პოეტების ასაკია, ადრევე რომ შეუძლიათ არამარტო კარგი და საიმედო, არამედ სულაც დიდებული პოეზიის შექმნა. ამიტომაც არ გვიკვირს მათი წარმატებანი... მაგრამ სულ სხვაა პროზა — თავისი განსხვავებული კანონებითა და იმ პირობითაც, რომ ნამდვილი ბელეტრისტობა ოცდაათი წლის შემდგომ იწყება, ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენა-გაღრმავებასთან ერთად. საერთო ვითარება იგულისხმება, თორემ გამოწვევები ყოველთვის ყოფილან და, რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს, „ბუდენბროკები“ თომას მანმა 26 წლისამ რომ შექმნა, სხვა გზა არ არის, უნდა ვირწმუნოთ. და მაინც, ახალგაზრდა პროზაიკოსთა წარმატებებს მეტი მნიშვნელობა ენიჭება, გინდა, რომ მხოლოდ იმედის თვალთ კი არ უმზერდე, არამედ უკვე მოწმე გახდე მათი ხელიდან გამოსული ნამდვილი სულიერი ღირებულებებისა.

ამ მხრივ დღევანდელ სამწერლო ყოფას გაუმართლა გურამ მეგრელიშვილის, ნინო სადღობელაშვილისა თუ ზვიად კვარაცხელიას არსებობამ, თხზულებათა იმ ნიშნებამ, რომელთა ნაკითხვაც გაფიქრებინებს, რომ მათი ავტორები ორმოცი წლის ზღვარს არიან მიახლოებულნი, არადა, ორნი ოცდაათს უახლოვდებიან, მესამე კი ოცდახუთისაც არ არის.

საშუალება მქონდა, სამივეზე გამოემთქვა ჩემი მოსაზრება.

— აღტაცებაც შეიძლება დაერქვას.

— დაერქვას და დავარქვათ — ზვიად კვარაცხელიას ნიჭი უფრო მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრებისაკენ იხრება და ხვალ და ზეგ ბიოგრაფიულ რომანს მისი სახით ჩინებული გამგრძელებელი გამოუჩნდება.

ნინო სადღობელაშვილის რანგის მწერლის გამოჩენას დიდი აჟიოტაჟით შეხვდებოდნენ დასავლეთის ქვეყნები, თავსაც მოიწონებდნენ რომანისტიკაში ასეთი დებიუტით.

გურამ მეგრელიშვილის ყოველი მოთხრობა გაცეხს მათი ავტორის დაუშრეტელი წარმოსახვითაც და ცხოვრების ათასგვაროვან შრეებში ღრმა ჩახედულობითაც. განსაკუთრებით მაინც იესო ქრისტეს ჯვარცმის მისტერიის მისეული გააზრებაა შემძვერელი — ასერიგად სარისკო თემა, ადვილად რომ არ მიიკარებს ყველა მსურველს, თან მოდურადაცაა გადაქცეული, რაც თავისებურ ბარიერად ეღობება ნამდვილ მხატვარს, მაგრამ ნიჭიერი კაცი გაბედულიცაა და სწორედ ამ გაბედულებამ შეაქმნევინა გურამ მეგრელიშვილსაც ის არაორდინარული ვრცელი

მოთხრობა, ჩვენს სალიტერატურო კრიტიკას უხვ მასალას რომ აწვდის სამსჯელოდაც და შემდგომი განზოგადებებისთვისაც.

— ბოლო წლებში რამდენიმე ტრადიციული ჟურნალი დაიხურა, რაც თავისთავად სამწუხაროა, მაგრამ ყველაზე შემაშფოთებელი მაინც ისაა, რომ საქართველოში აღარ არსებობს პერიოდული მთარგმნელობითი გამოცემა.

— ყველაზე მეტად შემაშფოთებელი მართლაც ესაა, პერიოდულ მთარგმნელობით გამოცემას ხომ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენს შესაძლებელ დასავლური მწერლობის შუაგულში. ბუნდოვნად და ფრაგმენტულად კი არა, სრულყოფილად ვიცოდეთ, რა და როგორ იწერება დღესდღეობით არამარტო ევროპასა და ამერიკაში, არამედ აზიასა და აფრიკაშიც. და ისევე გამოვატაროთ ეს ყოველივე ჩვენს სულიერ ქურაში, როგორც შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნის ქართველობას მიუხედავად ხელი მაშინდელი მსოფლიოს სალიტერატურო პროცესებზე, მის უშუალო ნაწილად რომ აღიქვამდნენ თავს — სახელმწიფო აღარ გაგვანდა, მაგრამ მოგვეპოვებოდა მწერლობა, რომელიც ბრწყინვალე მთარგმნელთა მეოხებით მყარ საფუძველზე გრძნობდა თავს — დასავლეთში მოყვრებულ თემებსა თუ მხატვრულ ხერხებს კი არ სესხულობდა ჩვენი დღევანდელი ტელემწერლებივით, არამედ შემოქმედებითად ითვისებდა და გაიზარებდა.

თუ რაიმე აკლია ჩვენს სამწერლო ცხოვრებას, სწორედ პერიოდული მთარგმნელობითი გამოცემა, ოღონდ არა „საუნჯის“ გაგრძელებად, არამედ „ხომლისა“ — აი, რას ნიშნავს მთარგმნელობითი აღმანახი თუ ჟურნალი, თარგად უნდა დაიდო და იმ პრინციპებით იხელმძღვანელო, რაც ასე თვალნათლივ ცნაურდება მისი ნომრების გაცნობისას.

ვიდრე ასეთი გამოცემა დაარსდებოდეს, სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებმა ამ მხრივაც მიზანმიმართულად უნდა მოჰკიდონ ხელი თანამედროვე დასავლურ, საერთოდ მსოფლიო სამწერლო ცხოვრებასთან მკითხველის ზიარების უმნიშვნელოვანეს პროცესს. ბოლოსდაბოლოს, არც „კავკასიონი“ ყოფილა მთარგმნელობითი გამოცემა, მაგრამ პავლე ინგოროყვამ შეძლო, რომ მის ფურცლებზე თანადროული დასავლური ლიტერატურის კონტურები გამოეჩინა და ეს ჟურნალი ხელისუფლებას ოფიციალური გადაწყვეტილებით რომ არ აეკრძალა, კვალდაკვალ გაჰყვებოდა უცხოურ — ან უკვე მშობლიურად გადაქცეულ — სამწერლო პროცესს. „ჩვენს მწერლობას“ ეს მოვალეობაც გაცნობიერებული აქვს და ცდილობს აღადგინოს „კავკასიონის“ ტრადიცია.

— მკითხველიც გრძნობს ამას.

— მკითხველს კიდევ უფრო ფართო ასპარეზს გადაუშლით აღმოსავლურ და დასავლურ სამწერლო ცხოვრებასთან მისაახლოებლად.

— მიუხედავად რედაქტორული და საზოგადოებრივი საქმიანობისა, ერთი ნუთითაც არ წყდებით სამეცნიერო და სამწერლო მოღვაწეობასაც. „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ერთ მცირე ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ბოლო ხანს დაასრულეთ მონოგრაფიული ნაშრომი ნაპოლეონ ბონაპარტზე, ამასთან, დაეგროვებათ არაერთი მონოგრაფია, რომელთაც ზოგი საერთოდ არ დაბეჭდილა, არამცთუ ნიგნად გამოცემულიყო, არადა, რამდენი ხანია უამრავი გაფანტული სტატია და ესეივ ვეღარ შეგიკრავთ ნიგნებად და აგერ, მონოგრაფიებიც აღარ გეტყვათ უჯრაში, რაკილა უმთავრესად ბიოგრაფიული რომანების გამოცემაზე ზრუნავდით. ამჟამად რას უნდა ველოდოთ ცალკე ნიგნად?

— ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების ქრონიკის შემდეგ, შარშან 31 აგვისტოს რომ დავასრულე, ბიოგრაფიული რომანი აღარ წამომიწყია, თუმც მონოგრაფიების

მთელი წყება შეექმენი და ნაპოლეონის გახსენების მერეც ორი ამ ყაიდის თხზულება მოვათავე — გრიგოლ აბაშიძესა და გურამ დოჩანაშვილზე.

პირველ ყოვლისა ნიგნად გამზადდა ხუთი მონოგრაფიისაგან („გარნისის ველის საიდუმლო“, „ბახტრიონი: ლეგენდა და სინამდვილე“, „ორი დრო: ტრაგიკომი, მესიანიზმი, დემონიზმი“, „თვითმკვლელობა — გარდუვალი მოვალეობა“ და „გრიგოლ რობაქიძე და ახალი მითოსი“) შედგენილი კრებული საერთო სახელწოდებით „ერი და ბედისწერა“. ცალცალკე მერჩივლა მათი გამოცემა, მაგრამ, ვატყობ, ვეღარ ავუვალ, თუ ესენი მაინც არ გავამთლიანე. ცალკე კი პირველყოვლისა ვაპირებ ერთი პატარა ნიგნის გამოქვეყნებას...

— „მზის შვილებისა“ ან „ქართული დუელიანისა“, მიგიხვდით?

— ორივეც მალე მოჰყვება და სხვა მონოგრაფიებიც თანდათანობით, მაგრამ ამ ახალმა თხზულებამ ერთბაშად ყველა დაჩრდილა ჩემს თვალში, რაკილა ჟანრობრივად სრულიად განსხვავებულია და მასზე ჰკიდა, გავაგრძელებ ამ ჟანრში ძალის მოსინჯვასაც თუ არა.

— ლექსების წერა ხომ არ დაგინყიათ?

— მთლად ასეც არ არის ჩემი საქმე, თუმც... დრამატურგობაც არ უნდა იდგეს შორს ლექსებისაგან. თავს იმით ვიმატებ, რომ ეს მაინც თავისებური მონტაჟია და არა პიესა კლასიკური აზრით. თუმც პოსტმოდერნისტულ ტრაგედიადა ჩაითვლება, თუკი ჩვენი კრიტიკოსები ჩემს თანადგომას მოინადინებენ.

— თემა და სათაური თუ შეიძლება გაუმჟღავნოთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს?

— სახელწოდება „ლეგენდა ისკანდერისა“, ზოგადად კი თავისებური დრამატურგიული ვერსიაა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსისა „მერანი“, რომელიც სინამდვილეში შთაგონებულია ალექსანდრე ბატონიშვილის მონუმენტური სახებით. ისკანდერს ხომ ალექსანდრე ბატონიშვილს ეძახდნენ აღმოსავლურ ყაიდაზე და აკი ვასილ ბარნოვმაც „ისკანდერი“ დაარქვა მისადმი მიძღვნილ მოთხრობას.

— შთაგონება რომ ახსენეთ, თავისთავად გამახსენდა თქვენი ბიოგრაფიული რომანიდან „ბედი პავლე ინგოროყვასი“ ის მონაკვეთი, თუ როგორ მიაგნო პავლე ინგოროყვამ „მერანში“ გამჭვირვალედ შეფარული გმირის ვინაობას, მასზე იმ ლეკურ თქმულებას, ბარათაშვილის წარმოსახვა რომ ააფორიაქა, როგორ გაუზიარა ეს შეხედულება სანდრო ახმეტელს, მან კი გიორგი შატბერაშვილს დაავალა ამ თემაზე პიესის დაწერა... მერე ისე მოხდა, რომ გიორგი შატბერაშვილი დააპატიმრეს, სანდრო ახმეტელი სულაც დახვრიტეს და ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

— „ლეგენდა ისკანდერისა“ დაუნერვლი პიესის ტრაგედიაზეა, მინაწერში სწორედ ეს გარემოებაა აღნიშნული, თითქოს სანდრო ახმეტელის ოცნების ნამსხვრევები მიმოფანტულა მის სიუჟეტურ ქარგაში, რომელიც უმთავრესად დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა, პირდაპირ არის გადმოტანილი მის მდინარებაში მემუარებიდან, ნარკვევებიდან თუ მხატვრული ქმნილებიდან მთელი მონაკვეთები, არამცთუ ცალკეული ფრაზები. ჩემი, როგორც ყოველთვის, მონტაჟია, ეგაა, ბიოგრაფიული რომანის ნაცვლად ამჯერად პიესა შემერჩა ხელთ.

— ნეტა ჩვენი რეჟისორები თუ დაინტერესდებიან?

— ვნახოთ... ჩემი ხნის იაკობ გოგებაშვილმა პირველად რომ დაწერა თავისი სიცოცხლეში მოთხრობა („იავნანამ რა ჰქმნა?!“), ისეთი გულისფანცქალით მოელოდა მკითხველის მსჯავრს, თითქოს პატარა ბიჭი ყოფილიყო და საერთოდაც პირველად შეხებოდეს კალამს. სულ მიკვირდა, იაკობს განა რა ამდღევარება და ასე-მეთქი. ახლა... ახლა აღარ მიკვირს...

ბოლოდროინდელი რომ გავიცანო, უკვე დიდების მწვერვალზე იდგა. ტრიუმფით სვლამ გოდერძი, როგორც ადამიანი, ვერ შეცვალა, იგი დარჩა დიდ ბავშვად. ზოგჯერ დაუჯერებელ ამბებს ყვებოდნენ მისი გულუბრყვილობისა და არამინიერების შესახებ. მიუხედავად ამისა, გოდერძი ჩოხელთან ჩემმა პირველმა შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. წარმოიდგინეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტებით გადაჭედილი კორიდორი, გზას მუჯღუგუნებით თუ გაიკვლევი, საშინელი ხმაური. დეკანატიში შემოვიდა თანამშრომელი ქალი და შემოფოთებულმა მითხრა: „საათზე მეტია ფანჯარასთან დგას გოდერძი ჩოხელი, არაფერს არ ამბობს, უხერხულია, როდემდე უნდა იდგეს ასე!“ მე სასწრაფოდ გავედი, გოდერძის მივსალამე და ჩემი თავი გავაცანი. კაბინეტში შემოვედი. ცოტა ხნის შემდეგ მოსვლის მიზეზი ვკითხე. გაირკვა, რომ სწორედ ჩემთან ჰქონდა საქმე. იმდენად მოკრძალებული ადამიანი იყო, რომ კაბინეტში შემოსვლა ვერ გაბედა, ელოდებოდა, როცა მომსვლელ-ნამსვლელი დაიღწეოდა. მორიდებით ვუსაყვედურე. დარცხვენილმა მიპასუხა: „რავი აბა, ამდენი ხალხი ირეოდა, მე კი არსად მეჩქარება, მაინც ნინოს ველოდები“. გაირკვა, რომ გოდერძი მეუღლესთან, ქალბატონ ნინოსთან ერთად მოსულიყო უნივერსიტეტში. ამ დღიდან დაიწყო ჩემი და გოდერძის ნაცნობობა.

ყველა ჩვენი საუბარი შეხვედრისას თუ ტელეფონით მხოლოდ და მხოლოდ გოდერძის შემოქმედებას ეხებოდა. როცა ჩემი საუბრიდან გამომარკვევდა, რომ სწორად ჩავწვდი მისი შემოქმედების არსს, თვალები გაუბრწყინდებოდა. თუ ვცდებოდი არასდროს შენიშვნას არ მომცემდა, მოკლედ მიპასუხებდა: „აბა რავი“. კონკრეტული შენიშვნა მხოლოდ ერთხელ მომცა. იმ დღეს დიდხანს ვისაუბრეთ გოდერძის ერთი მოთხრობის შესახებ. მე ჩემი ნაფიქრალი დაწვრილებით მოვახსენე, გაიღიმა და მითხრა: „ე რამდენი გიფიქრია ამ პატარა მოთხრობის შესახებ, მე მაგდენი არ მიფიქრია, ერთი ამბავი ავლენე, ეს იყო და ეს“. ეს „ამბავი“ მე დღესაც გოდერძის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობად მიმაჩნია.

XX საუკუნის 70-80-იანი წლები ქართული მწერლობის, ქართული კინოს დიდი აღმავლობის პერიოდი იყო. იმხანად ვერ ვაცნობიერებდით, გვიან მივხვდით, რომ ჩვენს თვალწინ უამრავი საოცრება ხდებოდა. საოცრებათა შორის საოცრება იყო გოდერძი ჩოხელის პირველი ფილმები და მოთხრობები. შემოვიდა გოდერძი ჩოხელი ქართულ კინოსა და მწერლობაში, არავის არ გაჯიბრებია, არავის ადგილის დაკავება არ უცდია, დაიკავა ის ადგილი, რომელიც უფლის ნებით მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი. აფორიაქდა „ძველი სამყარო“. ჯერ იყო და თითქოს ვერ შეამჩნიეს. როცა „არ შემჩნევა“ შეუძლებელი გახდა, მაშინ ფარისევლებმა ზემოდან დაუწყეს ცქერა „ვიღაც გუდამაყრელ ბიჭს“. ნიჭმა მაინც იპოვა გზა. გოდერძი ჩოხელს მოშურნეებთან ერთად უამრავი თავყვანისმცემელი გამოუჩნდა. ყოველი მოთხრობა, ყოველი ფილმი კიდევ უფრო ზრდიდა მის თავყვანისმცემელთა რიცხვს. გოდერძი ჩოხელის შესახებ საუბრობდნენ დიდი სიყვარულით, დიდი სითბოთი. გოდერძისთან მეგობრობა საამაყოდ ითვლებოდა. გავიხსენებ ერთი სტუდენტის ნაამბობს. გოდერძი სტუდენტულმა ყოფილა მეგობრებთან მიწვეული. დაუგვიანებია. წვეულებაზე მისულს მხრებით მიუტანია ძლიერი ქარისაგან ფესვებიანად მოგლეჯილი ხე და უთქვამს: „ქარს მოეგლიჯა, შემეცოდა, მარტო ვერ დავტოვე და თან ნამოვიღე!“ ამ ამბავს, რომ ვიხსენებ ბუნებრივად მიჩნდება აზრი: გოდერძი ჩოხელი თავად იყო მისი ყველა მოთხრობის გმირი: ვაჟი გოგიც, ბერიც, მაქსინაიც, გამიხ-

ვახტანგ გურული

ადამიანად არყოფნის სევდა

გოდერძი ჩოხელის გახსენება



არდაიც, ბიბლაიც, შულლაიც, სტეფანეც, აჩლახუნეც, სებაც, ლუკაც... გოდერძი ჩოხელი მაქსინასავით დაუფიქრებლად გაჰყვებოდა მინაზე დაშვებულ არწივს უკან, ზეცაში და თავადაც ბერისავით უყოყმანოდ ჩაიმარხებოდა მინაში, მხარზე ამოსული ნაძვი რომ არ გამხმარიყო. გოდერძის ყოველი ახალი მოთხრობა, ყოველი ახალი ფილმი სულ უფრო მეტად აბოროტებდა მის მოშურნეებს. გოდერძი რომ ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო, იგი ადვილად ჩაიკარგებოდა ნიჭიერ შემოქმედთა შორის და „ჩვეულებრივთა“ შორის დაიკავებდა ადგილს. ეს არ მოხდა იმიტომ, რომ თავის რჩეულს უფალი „დიდთა საქმეთათვის“ ამზადებდა. საქართველოში ნიჭიერ, განსაკუთრებულ ნიჭით დაჯილდოებულ მწერლებსა და რეჟისორებს რა დალევს! დიდხანს ვფიქრობდი, მინდოდა მეპოვნა პასუხი კითხვაზე: რით იყო ნიჭიერთაგან გამორჩეული, განსაკუთრებული გოდერძი ჩოხელი? გოდერძი ჩოხელი გამორჩეული იყო იმით, რომ ყველა ფილმით, ყველა მოთხრობით შექმნა თავისი სამყარო. მწერლის ყველა სიტყვა, ყველა ფრაზა ამ სამყაროს შექმნას ემსახურებოდა. გოდერძი ჩოხელის სამყაროში ნაშლილია ზღვარი ადამიანებს, ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებს შორის. ყველა ისინი ერთი მთელის ნაწილები არიან, მათი არსებობის წესია ერთ მთლიანსა და განუყოფელში არსებობა. გოდერძი ჩოხელმა ნაშალა ზღვარი ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, „ადამიანად ყოფნას“ და „ადამიანად არყოფნას“ შორის. ამიტომ, რომ არ დასცილდნენ ერთმანეთს გოდერძის არწივი და ადამიანი, ამიტომ, რომ ადამიანმა არ მოიგლიჯა მხარზე ამოსული ნაძვი, მინაში ჩაეფლო, რომ ნაძვისათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა. გოდერძი ჩოხელს უთქვამს: ვაჟა ლმ-

გადასახლებამ შემადლებინა ამეხსნა, თურას გვიკიჟინებდა იგი: „ნუ გაახმოობთ მხარზე ამოსულ ნაძვს!“ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში შეერყა გოდერძი ჩოხელს ჯანმრთელობა. ეს არ იყო არაადამიანური შრომის შედეგი. გოდერძის შეეძლო კიდევ ათასი მოთხრობა დაენერა, გადაელო ბევრი ფილმი და დიდხანსაც ეცოცხლა. გოდერძის გულმა ვერ გაუძლო იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა. მას გულს სტკენდა ყველაფერი: ირემს რომ ჰკლავდნენ, არწივს რომ გალიაში ამწყვედევდნენ, ხეს რომ სჭრიდნენ, ყვავილს რომ თელავდნენ, ხარს რომ დასაკლავად იმეტებდნენ, ჩოხი და ბევრი სხვა სოფელი რომ იცლებოდა, ჭირი რომ მრავლდებოდა და ჭირისუფალი კი მცირდებოდა. გოდერძის გულს სტკენდა ის, რასაც ჩვენ სულაც არ განვიცდიდით. რამდენჯერაც არ უნდა გაველო უინვალში გოდერძი ჩოხელს, მუდამ აგონდებოდა „ძველი უინვალი“, თავისი „პატარა ეკლესიებით“ წყალსაცავის ქვეშ რომ მოჰყვა. ახსენდებოდა გუდამაყარი და გუდამაყრელები, ისეთი როგორც მან ნახა და როგორსაც ველარასოდეს ვეღარ ნახავდნენ მისი შვილები და შვილიშვილები. ეს დიდი ტკივილი და კიდევ რამდენი ასეთი ტკივილი სიცოცხლის ბოლომდე ატარა მისმა გულმა. მის გულში არსებულ საქვეყნო (საკაცობრიოც!) სატკივარზე იშვიათად საუბრობდა. თუ სატკივარს ვინმე მიუხვდებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, ცას ეწეოდა ხოლმე სიხარულით. სატკივრის წამალი თავად არასდროს უძებნია. მისი სატკივრის წამალი ისეთი გულის ადამიანი იყო, როგორი გულიც თავად გოდერძის უძგერდა მკერდექვეშ. ასეთი ადამიანები კი ვერ იპოვა გოდერძი ჩოხელმა! ვერ იპოვა და თავად გამოიგონა. გოდერძის მიერ გამოძენილი ადამიანები: ბერი, მაქსინაი, გამიხარდაი, ბიბლაი, შულლაი, აჩლახუნე, ლუკა, სება და მარავალი სხვა სწორედ ის ადამიანები იყვნენ, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ვერ იპოვა გოდერძიმ. რაც იცოცხლა, სწორედ მის მიერ შექმნილი გმირების სამყაროში იცოცხლა. გული მაინც სტკიოდა. სტკიოდა იმიტომ, რომ ცოტანი იყვნენ მისი სამყაროს გმირები. ამიტომ იყო, რომ დაუცხრომლად ძერწავდა ახალ გმირებს. ყოველი ახალი მოთხრობა კიდევ ერთ ან ორ გმირს ჰმატებდა მის სამყაროს. თუმცა ესეც საკმარისი არ იყო, მაინც ცოტანი იყვნენ. უკმარისობის გრძნობა თან სდევდა გოდერძის პირველი მოთხრობის დაწერიდან, პირველი ფილმის გადაღებიდან სიცოცხლის ბოლომდე. გულმა ვეღარ გაუძლო. გოდერძი გრძნობდა, რომ ათასი გამიხარია, ათასი ბერი, ათასი ბიბლაი რომ შეექმნა იგი სამყაროს მაინც ვერ შეცვლიდა, სანამ იცოცხლებდა უნდა ეცოცხლა მისი შექმნილი გმირების გარემოცვაში. ადამიანები კი მაინც ისეთები რჩებიან, მათ უმრავლესობას ცოდვიანი ცხოვრება არ ეთმობა. ამის აღიარება, ამის დაჯერება არ უნდოდა გოდერძის. გოდერძი ჩოხელი დარწმუნდა, რომ მის გარშემო არსებულ სინამდვილეს იგი ვერასდროს შეეგუებოდა. ყველაფერმა ამქვეყნიურმა გოდერძისთვის აზრი დაკარგა... „ადამიანად ყოფნის ტკიბილი სევდა“ დასრულდა, დაიწყო „ადამიანად არყოფნის სევდა“. აკი თქვა კიდევ: „სიკვდილი ვალა და იგი კაცმა უნდა მოიხადოს“.

სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში რჩეულ ქართველთათვის განკუთვნილმა მიწამ მიიბარა გოდერძის ნეშტი. სული კი ამაღლდა ზეცად და ვაჟას დაუდგა მხარმარჯვნივ...

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ნაწყვეტი „ფაუსტიდან“

ფაუსტი, მარტო

ზეაიძრება წარმოსახვა ფრთების სწორებით,
მარადისიკენ ლაღად შეკრავს კამარას უფრცვეს,
მაგრამ წამშივე უკუგვითრევს დროის მორევი,
შიგ ცვივა ყველა სიხარული ფურცელ და ფურცელ.
ზრუნვა ზის, ზრუნვა, გულისგულში! ფარულად ღვივის!
ქსოვს განუწყვეტილივ, დღიდან დღემდე, უჩინარ

ტკივილს.
მოუსვენრობით, დარდით ავსებს, გარს რასაც ნახავს,
სახელებს იცვლის, ნიღბებს ირგებს ახალს და ახალს.
ხან სახლ-კარია, ჯალაბია, შვილი და ძირი,
ხან ცეცხლი, წყალი, სანამლავი თუ ზურგში დანა,
სანამ განსაცდელს დავლანდავდეთ, ვცახცახებთ მანამ,
და დღეცისმარე დაუკარგავ დანაკარგს ვტირით.
არა ხარ ზესთა შესაგვანი, გეუნყა ცხადლივ!
ზესთა, რა ზესთა, უბადრუკო, ხარ ოდენ მატლი,
მტვერს რომ მიიჭამს და, თუ მოხდა, გალოდა გზაზე,
გამვლელის ფეხი უცაბედი მტვერშივე ჩაზელს.

მართლაცდა რაა, სხვა რაღაა, თუ არა მტვერი,
მთელ ამ კედლებზე თარო-ნალო რითაც მივსია?
ჩიხიმახონი, დაფხავებულ ეტრატთა ჯერი,
ამ საჩრჩილეთში თავს დაყრილი, რის მაქნისია?
აქ უნდა ვპოვო, რაც მაკლია? ვინყვიტო ქანცი,
ათასი წიგნი გამოვლოდნო იმის დასტურად,
თურმე ნუ იტყვი, ყველა დროში წვალობდა კაცი
და უმდურველი ცოტა ვინმე თუ გარდასულა?
რაო, ფუტურო თავისქალავ, რას შემომლიმი?
იმას, რომ ჩემი საგვემელი შენც გაქვს ნაგემი?
რომ დადიოდი მძიმე ბინდში ფოლხვა-ფორხილით,
მაგრამ ერთადერთ მსუბუქ დღესაც ვერ მიაგენი?
თქვენც, თქვენც დამცინით, ცდათა ჩემთა იარაღებო,
მაგ ჭახრაკებით, ციბრუტებით, სახრახნისებით!
კარის წინ ვიდექ, ჯიქურ მსურდა მისი გაღება
და გასაღების მაგივრობას თქვენ გაკისრებდით.
მაგრამ ბუნება, რასაც რაზავს, გულდაგულ რაზავს,
გარს მოუვლია უხილავი მკვიდრი კედელი
და, ჩვენი სულის სიღრმიდანვე არ გვამცნობს რასაც,
ვერ გამოსძალავ დგუშებით და ქანჩ-ბერკეტებით.
ხელსაწყოვ ძველო, არასოდეს ხელთ არ მჭერიხარ,
მამისგან მერგე, აქ მაგიტომ ხარ შენახული,
ძველო გრანდილო, ერთიანად მჭვარტლისფერი ხარ,
ჭრაქ-ბაზმებისგან დახრჩოლილი, ფერშელახული.
შემომფლანგოდა, რაც მებადა, მიჯობდა ასნილი,
ვინემ ეს ცოტაც საბელივით ყელზე მხვეოდა!
მამა-პაპისგან რაც მოგეცა მემკვიდრეობად,
მოიეც, მაგრამ ნუ ეყობი, შენი გზით გასნი!
ტივითა განძიც, დადებული მოუხმარისად,
წამი შობს ყოველს, ხვალემ უწყის გზანი ხვალისა.

მაგრამ მანდ საით მეზიდება უნებურ თვალი,
რა ძალა ახლავს მაგ ლუსკუმას, რა ანდამატა?
ან ჩემი სული მოლოდინით რატომ განათდა,
როგორც, უეცრად, ღამეული უღრანი — მთვარით?

ეჰა, ფიოლო ერთადერთო, სალამი შენდა,
ნახვეწო ბროლო, საწყაულო იდუმალ წვენთა,
ხელობის მაღლი დაგატვიფრა ხელმა მხვეწელმა!
თაროდან კრძალვით გადმოგიღებ, ან დადგა ჟამი!
პირთამდე სავსეც სასიკვდილო კამკამა შხამით,
პატრონსა შენსა დღეს სჭირდება შენი შენევა.
გიცქერ და წყლული მიაბდება, ტკივილი დაცხრა!
ხელში გიღებ და იწმინდება, ბორგავდა რაც რა,
ნელდება ღელვა, ფუჭ ღამეთა ვტოვებ ლაბირინთს!
წინ, ღია ზღვაში, აფრა ჩემი თამამად ივლის,
დამიფენს ფერხთით მოსარკული ზვირთების ლივლივს,
ახალი დილა და ახალი მიხმობს ნაპირი.



ეჰენ დელაკრუა. ფაუსტი



ფრთაცეცხლოვანი მომეახლა ეტლი ციერი,
ამქვეყნიური განმამორა ყველა სახმილი,
მზად ვარ, მივენდო, გადავლახო თვალსაწიერი,
წმინდა ქმედების საუფლოსკენ გზა მაქვს გახსნილი.
კვლავ ნეტარება ღვთაებრივი! ვინ აგხსნა ჯადო,
რამ ღირსგყო, მდილო წედანდელი, ბნელს მიმალულო?
მაშ, მზეს მიწიერს, მოლაღდადე, ხვავრიელ მნათობს
ზურგი ვაქციოთ უდრტივინველად, უსინანულოდ!
წარბმეუხრემა გადალახე ის ბოლო ზღვარი,
რომლის წინაშეც ყველა არსი ძრწოლით ივსება,
დრო დადგა, საქმით დაამტკიცო, განხმული კარით, —
ზესთა სიმალის თანადია კაცის ღირსება!
ნუ შეგაძრწუნებს საღმობათა ბნელი ქვაბული,
ნაზღაპრევებმა რომ დახუნძლეს ზაფრიანებმა,
იმ შესასველის მოიხილე კენესა გაბმული,
მის ვინრო ყელში ჯოჯოხეთის აბრიალება!
მიიქეც გულით მხიარულით! გამართე ქედი!
არარად ქცევაც მოგელოდეს, თამამად შედი!

ბროლის ჭურჭელი, მაშ, დატოვე ლუსკუმა ძველი,
მივიწყებული დგახარ შენთვის ამდენი წელი,
არც ჩემი ხელი შეგხება, არც ჩემი ფიქრი.
როგორ ბრწყინავდი მამაჩემის სუფრაზე წინათ,
როცა მეგობრებს უახლოესს დასხამდა ლხინად!
პირთამდე სავსე დაუვლიდი თვითიუღს რიგ-რიგ
და, როგორც ყოვლად შეუვალი წესი უდგენდათ,
ეს სურათები, შენს ფერცხლებზე გამოხატული,
უნდა აეხსნათ სალაღობო ლექსით სხარტულით,
მერე ბოლომდე დაცალეთ სულმოუთქმელად.
ახლა ვერც ვეღარ სალაღობო ზმას გეტყვი რასმე,
ვერც ვეღარავის გადაგანვდი პირთამდე სავსეს,
დღეს ამ უანგისფერ, ჩემი ხელით დაწურულ სასმელს
მარტო გამოვცლი, უცებ ათრობს ეგე სასმელი,
უცებ გამიყვანს დროისა და სივრცის კიდევან.
მაშ, სავსე გულით, ამ ახალი დღის სადიდებლად,
შევსვით ბოლომდე სადღეგრძელო უკანასკნელი!
(სასმისი პირთან მიაქვს. მოისმის ზართა რეკვა და
გუნდის გალობა.)

ანგელოზების გუნდი

ქრისტე აღდგა!
ძღვეთა აღვსილი!
თქვით ქება წყობილი,
აღსრულდა თხრობილი,
ხართ პირველშობილი
ცოდვისგან დახსნილი!

ფაუსტი

რა დუდუნია, რა წკრიალი, რა ხმები ზენა,
მოულოდნელი მოვანებით რომ ავსებს სენაკს,
ჩემს უნებურად რომ მაშორებს ბაგიდან სასმისს?
ჰა, მონეულა, სააღდგომო რეკვაა ზართა,
საგალობლებში ჩაკინძულა, წკრიალში ქნართა,
სიტყვა-ნუგეში, დასტურყოფა ახალი აღთქმის,
ანგელოზისგან წარმოთქმული აკლამის კართან.

ქალების გუნდი

ცრემლით დავასველეთ,
ვცხეთ ზეთი რჩეული,

სამარხს დავასვენეთ
სურნელით კმეული.
ან დავცქერთ ვებულნი
ცარიელ სამარხს,
არლა ძეს ცხებული
სამარხსა ამას!

ანგელოზების გუნდი

ქრისტე აღდგა!
ხარობდინ ყოველი!
ნეტარ თქვენ, რომელთა
განძელთ უცთომელთა,
იქვით უკრთომელთა,
შთით მსასოველი!

ფაუსტი

ხმანო ციერნო, სად მიმიხმობთ, ლბილნი და მძლენი?
რისთვის დამეძებს მინა-მტვერში ქორალი თქვენი?
იქ მიდით, სადაც სასოება ჯერ არ ჩაკლულა!
ვისმენ ხარებას, მაგრამ უნდოდ, რწმენანაკლულად,
ვასწაული კი სხვა რა არის, — ნაყოფი რწმენის.
დღეს ვერ გავბედავ, ძველებურად დავიდო წილი,
სადაც სიხარულს გალობენ და უფლის დიდებას,
მაგრამ ეს ხმები ჩემი სიყრმის ხმებია ტკბილი
და უკუმიხმობს, სიცოცხლისკენ მიმეზიდება.
მასხოვს, აღდგომის კვირამალზე რა მთრთოლვარებით
ვსვამდი ზეგარდმო ტრფიალების ცეცხლოვან კოცნას,
მკაცრ სიჩუმეში ცათა განხმას რეკდენ ზარები
და მწველ-ნეტარი ჟრუანტელი მივლიდა მლოცვარს.
მიმარქარებდა რაღაც ღელვა შეუცნობელი,
ტყესა და ველად გავსულიყავ, დამეგდო სახლი,
მხურვალე ცრემლებს ვინურავდი მარტოდ მყოფელი
და ვგრძნობდი, როგორ იქმნებოდა სამყარო ახლივ.
ეს ხმები ჩემი სიყმანვილის თამაშებს მღერის,
ბედნიერ დილებს, გაზაფხულის დღესასწაულებს,
იღინე, ცრემლო, გაცოცხლებულ იმ დღეთა ჯერი
სიკვდილს წელანდელ სადღეგრძელოს ვეღარ დაუღევს.
იღინე, ჰანგო სანატრელო, ნაჟურო ცისავ!
იღინე, ცრემლო! სიცოცხლისკენ მოვბრუნდი ისევ!

მონაფე-მოციქულთა გუნდი

ძღვეთ არნახულით
აღდგა საფლავიდან,
ჩვენგან დამარხული
ცხოვრივ ცად ავიდა.
გამორჩეულობის
მაღლითა ფენილნი
ვტირით ეულებას,
უშენოდ შთენილნი.
შვების წილ, მარტვილნი,
ნაღველსა შევსვამთ,
დიდებას დავტირით,
მოძღვარო, შენსა!

ანგელოზების გუნდი

ქრისტე აღდგა!
ან შვება-ხალისით
ძაძანი განისხით!
რჯით-შემამკობათთვის,
სიყვარულ-მყოფათთვის,
ძმებრივ-მპურობათთვის,
ნუგეშით-მხმობათთვის,
ხარებად-მგზობათთვის
აქავ არს მოძღვარი!
თანა ვალს ცოცხალი!

თარგმნა დავით ნერიდიანა



ეჰენ დელაკრუა. მეფისტოფელი

ნინო სადღობელაშვილი

ნანა ანფიმიადის პოეტური კრებული „კონსპექტური მითოლოგია“

მიმოვლომბი ბერძნული სიტყვაა და ასე განიმარტება: მითოს – ამბავი, ლოგოს – მოძღვრება.

ეს – ენციკლოპედიაში. ისე კი, მითოლოგია ის მეცნიერებაა, ურომლისოდაც კაცობრიობა ვერასდროს გაძღვება. ბევრი რამის გარეშე შეიძლება გაძღვოს, ბოლოსდაბოლოს, უომრად შეიძლება, გაიჭირვოს და გაძღვოს, მაგრამ უმითოლოგიოდ – ვერასდროს.

მედეა – სიტყვა, რომელიც მხოლოდ თავის თავში უნდა დასრულდეს. გარდაისახოს. დიანას ლექსებში მითების ძაფი დარღვეულია. უფრო სწორედ, დარღვეულია პერანგი იმ საერთო სხეულისათვის, რომელიც ამგვარი ხატოვანი მსოფლხედვით იმოსება.


ერალს“. სიმღერა აქამდეც ვახსენე. დიანას ლექსების კითხვისას ერთი ნუთითაც არ იკარგება უჩვეულო მუსიკალური ინტონაცია, თითქოს დედამინის შორეული ნაპირებიდან დაძრული რიტმული ექო, რომელიც არცერთ ენაზე არ ითარგმნება. უბრალოდ, სიცოცხლეს ნიშნავს.

რადგან მითი მისივე ბავშვობაა. მითოლოგია კი – ენა, რომლითაც ბავშვები საუბრობენ. ტექსტი, რომლითაც აზროვნებენ. სიტყვა, რომლითაც თამაშობენ.

ამ ლექსებში ისინი დღეს ცხოვრობენ. ზოგადად, ეს დღევანდელი (ძალიან კონკრეტულად კი, წამიერების, ერთი ხილული ნამის მოხეტიალის) განცდა მძაფრია დიანა ანფიმიადის პოეზიაში. უცნაური განცდა: თან ხომ წამს მოიხელთებ, დღეს შეაყენებ, შენც იხილავ და სხვასაც დაანახებ, თან კიდევ – იცი, რომ ესაც წარმავალია, როგორც ყველაფერი სხვა ამ მედიის სამყაროში, ეს დანახულიც, სხვა ახალ ხატთან შეხვედრისას უცებვე გაქრება, ეს დღეს სხვა დღეში გარდაიცვლება და, შენში აღექვდი სიტყვასაც თამაშის სურნელი აუვა. დაახლოებით ისე, როგორც ამ მშვენიერ ლექსშია:

არგაჩენილი ჩვენი ბავშვის ნერწყვი განელე (“არიადნე”)

ამ შთამბეჭავ მრავალფეროვნებას, სიცოცხლის, როგორც ერთი გაბმული, უწყვეტი სიმღერის განცდას კრებულის დიზაინიც უწყობს ხელს. საერთოდ, ეს ერთი მთლიანობაა – ნივინი და მისი მინაარსი. „კონსპექტური მითოლოგია“ ირაკლი მედოშვილის ნახატებითაა გაფორმებული. ყდაზე – მისივე დახატული დიანა, კენტავრის პოზაში, ნითელ პერანგში გამოწყობილი, რომელიც, თან ცისკენ იმზირება და, თან ჭარბი პოეტური პათეტიკისგან თავის ასარიდებლად – სალექტრინის ბერავს. დაუფინყარი პორტრეტია და, ფერადი გარეკანიდან ნივინის შინაარსში საინფორმაციო განცდით შეყვანარ. ამ მხატვრის ნახატებს კრებულის რამდენიმე გვერდზე კვლავაც შეხვდებით, ისინი თითქოს ლექსების გარტყვებაა, ფერი და შტრიხი სიტყვას ენაცვლება და, ყოველივე რაღაც უცხო, უცნაური სამყარო გზებით მიედინება.



ყაროსთან კომუნიკაციას ზოგადად ვგულისხმობ. თორემ, დიანა ანფიმიადის შემთხვევაში საქმე კიდევ უფრო მომხიბვლელადაა. მისი გენეტიკა, წარმომავლობა სწორედ იმ ქვეყნიდან მოდის, სადაც ეს მითები შეიქმნა. წერით კი – ქართულად წერს. სამშობლოს განცდა მისთვის განსაკუთრებულად ფაქიზი თემაა, ხან ახალი პოეტური თამაშების (“რეინობანა”) და ხან კი, უსამშობლობის ტკივილების (“ომი”) დამბადებელი.

და, როგორც ყველა ნამდვილი თამაში ამქვეყნად – ესაც, სახიფათო.

და მე მოვკალი კაცი როცა მან თვითონ მოძულა ვეღარ შევძელი სიკვდილი და თვითონ მოვკალი..

და მე შევჭამე ვაშლი როცა თვითონ შემჭამა და ვაშლის გულში დამწყვდეული ვიყავი მატლი (“მითოლოგია”)

სიტყვების, ფრაზების მიღმა სწორედ ეს გზებია გაშლილი. ეს ბადებს შეგრძობას, რომ სიტყვები მოძრაობენ, დადიან, დაფრინავენ, და ეს შეგრძობაც ბუნებრივია, რადგან დიანას ყოფიერების სახელიც – ენაა. მისი პოეზია ენაში ცხოვრობს, ამ სახლში ყველა დეკორაცია, ყველა რეკვიზიტი, მოვლენა – ენობრივია. ამიტომ ითამაშება ყოველი მითი ასე ცოცხლად და ხალისით. აქედან ჩნდება იუმორიც, რომ ომებიც კი, თუნდაც ტროა ერქვას რომელიმეს, ამ სახლში, ანუ ენაში, მხოლოდ ლექსწყობის საზომით გაიზომება.

„ამ მტვრიან გზებზე კაბის კალთად რაც კი ვეთრე – სხვა არაფერი – მაგ პოემის ჰეგ ზამეტრია“ (“ელენე”)

როდესაც ენას ვამბობ, პოეტის სამ-

თითქმის ყველა სიტყვა უკვე გამოვიყენე, რითაც ჩემი ფიქრის მთავარი მიზეზი უნდა აღვწერო: ენა – ტექსტი – თამაში.

ვფიქრობ, ეს ლექსი “კონსპექტური მითოლოგიას” საუკეთესო განმარტებაა. სხვა ეფექტებთან შედარებით თითქოს იმ უმნიშვნელო დეტალის გათვალისწინებითაც, რომ ლექსში არცერთი სასვენი ნიშანი არ არის, ბოლოწერტილის წინ ორად-ორი დეფისის გარდა (ესაც – მითების ძაფის ნაწყვეტები, ანუ გზის პატარა მონაკვეთები), “მითოლოგიაში” ზედმინივენიტი გამოხატავს პოეტს, როგორც მითებით მხატვარს და მოაზროვნეს, მოთამაშეს და მომღერალს. ტყუილად არ ვამბობ სიტყვა “მომღ-

იშვიათად წამიკითხავს იმგვარად მრავალფეროვანი პოეზია, ისეთი დახატული და რალაცნაირად, მოცეკვავე, მოზიემე – როგორც დიანა ანფიმიადის ლექსები.

ცყუილად არ ვამბობ სიტყვა “მომღ-

ჩემი ფიქრის მიზეზიც ესაა – დიანას ახალი პოეტური კრებული “კონსპექტური მითოლოგია”.

ცყუილად არ ვამბობ სიტყვა “მომღ-

ნივინის სათაური გამცნობთ კიდევ – საქმე მითებთან გექნებათ. ოღონდ, ეს დიანას მითოლოგიაა. დიანას განსაკუთრებული სამყაროა, რომელიც თავს არასდროს დაგავინწყობთ.

ფლობის ხელოვნებას კი – ვერა.

აი მაგალითად, რამდენი რამ ვიცით მედეას შესახებ?! რა ასპექტით აღარ შეისწავლა და განმარტა იგი მსოფლიოს არაერთ-მა მწერალმა?! დიანა ანფიმიადის მითოლოგიურ ციკლში კი მედეა სიტყვაა, რომელიც თავის თავს ეძებს და ამ ძებნაში გასაქცევ მიზეზებს იმრავლებს – მინდორში კბილებს თესავს, უცხოელს შეიყვარებს, საკუთარ გამოხატვას სუნთქვას მიჰყვება უცხო მხარეში.. სიტყვებს შორის მანძილი კი ჩირქდება.. ძნელდება.. ყველაფერი, ცხადია, შვილების დახოცვით დასრულდება – ესაც გაქცევის დიდი საბაბია.

ინტარნატივან

როგორ გავხდე მწერალი?!

ამბობენ, მწერლად უნდა დაიბადო, მწერლის ხელოვნებას ვერაფერს გასწავლის, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამქვეყნად ყველაფრის სწავლა შესაძლებელია და თუ ძალიან გინდა, მწერალიც გავხდები. თქვენ წარმოიდგინეთ, ინტერნეტსივრცეში პროზაიკოსობის მოსურნეებს მზარევეტებსაც კი სთავაზობენ, თუ როგორ უნდა მოიხვედნენ სახელი და ეზიარონ მწერლობის დიდ სახელმწიფოს. ამჯერად ერთ-ერთ ასეთ ინტერნეტსტატიას ვთავაზობთ.

ეს გრძნობები ახლოს უნდა იყოს თქვენთან. არ უნდა იგრძნობოდეს სიყალბე, რადგან გამოცდილი მკითხველის მოტყუება ნამდვილად გაგიჭირდებათ. თუ დანერთ იმაზე, რაც ყველასთვის უცხოა, მაშინ იმისთვისაც მზად უნდა იყოთ, რომ უმრავლესობისთვის გაუგებარი იქნება, რას აღწერთ და რატომ ირჯებით.

მაშ ასე — თქვენ გინდათ, მწერალი გახდეთ, აღარ გაკმაყოფილებთ თქვენი სტატუსი საზოგადოებაში? ამ შემთხვევაში, საკუთარ თავს მთავარი კითხვა უნდა დაუსვათ — რაზე და როგორ დავწერო?

შეგიძლიათ მკითხველს თავი მოაზროვნედ მოაწვეწოთ და ზედმეტად მაღალფარდოვანი სიტყვებით ბრძნული ტექსტიც კი შეთხზათ. ამ შემთხვევაში, მართალია, თქვენს ნააზრევს დიდად ვერ გაიგებენ, მაგრამ მოგეცემთ საშუალებას, ინტელექტუალ მწერლად მიგიჩინონ და იქნებ საზოგადოებამ აზრი სწორედ თქვენ გკითხოთ. თქვენ გახდებით სატელევიზიო თოქ-შოუებისა და ახალი ამბების გამოშვებებისთვის სასურველი რესპონდენტი. თქვენს აზრს გაითვალისწინებენ, კომენტარს ყურად იღებენ. მთავარია, ამ როლის მორგება არ გაგიჭირდეთ და არჩეულ გეზსა და იმიჯს, თუნდაც უნებურად, არ უღალატოთ.

შეგიძლიათ წეროთ იმაზე, რაც ზედაპირულია — შემოდგომით მინაზე მიყრილ-მოყრილ ოქროსფრად შეფერადებულ და გაცრეცილ ფოთლებზე, გაზაფხულობით მხაპუნა წვიმებზე, ზაფხულობით ზღვასა და გართობაზე, ზამთრობით კი აქტუალური საუსხიანი ამინდები. ალბათ, შთამბეჭდავი გამოგივით, თუკი კარგად აღწერთ ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს მიფიცხებული წყვილის მხურვალე ვნებებს.

შეგიძლიათ ყველაფერზე წეროთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ სიუჟეტის მოფიქრება აუცილებლად მოგიწევთ. ერთდროულად შეხსენებთ ის უხვად გამოყენებას, უნდა მოახერხოთ და შექმნათ ტიპაჟი, რომელსაც თითოეული მკითხველი შესაბამის ეპითეტს თავად მოარგებს და გონებაში საკუთარ პერსონაჟს დახატავს. ამ შემთხვევაში თქვენ მართლაც

გახდებით ბევრისთვის საყვარელი და ახლო მწერალი.

ნუ მოწყდებით რეალობას, რადგან მკითხველისთვის სწორედ თქვენს მიერ შეთავაზებული დღევანდელი საინტერესო.

მნიშვნელოვანია, წერის როგორ სტილს მიანიჭებთ უპირატესობას. შეეცადეთ, თავიდანვე განსაზღვროთ, თქვენი ერთდროის შესაბამისად, რა ჟანრისკენ უნდა გადაიხაროთ.

დილოგების წერისას სიფრთხილე გმართებთ. აქ ყველაზე ადვილად მჟღავნდება სიყალბე. უცნაური სიტყვების გამოყენებისას კარგად გაერკვიეთ დიალექტიკაში, არქაიზმებს მოერიდეთ. საზოგადოება მწერლებისადმი იშვიათადაა ლოიალური, ტყუილად დროის კარგვას ის არავის პატიობს. თუ თქვენი მოთხრობა თუ რომანი მოქველდება ლექსიკითა დაწერილი, მზად იყავით, რომ ის წიგნის მაღაზიების დახლებზე სამუდამოდ დარჩება და გამოცემლები აღარასდროს მოგმართავენ.

ეცადეთ, ბევრი იკითხოთ, რადგან განათლებულ მწერალს ფანტაზია მეტად უვითარდება და ეს მის სტილსაც ემჩნევა. მართალია, ამ შემთხვევაში, მიზაქის საშიშროება არსებობს, მაგრამ ამისგან დაზღვეული არავინაა.

როცა წერას გადაწყვეტთ, განმარტოვდით. ნივინისკენ ნულარ გაიხედეთ, არც ტელევიზორი ჩართოთ. იფიქრეთ მხოლოდ თქვენს პერსონაჟებზე, სიუჟეტებსა და სტილზე და წერეთ, წერეთ, წერეთ...

მნიშვნელოვანია, წერის პროცესში თავს მაქსიმალურად კომფორტულად გრძნობდეთ და ამ დროს სხვაზე არაფერზე ფიქრობდეთ.

ამიტომაც წინასწარ მოიმარაგეთ ყველაფერი ის, რაც შესაძლოა, წერის პროცესში დაგჭირდეთ. მწველებისთვის ეს, უპირველესად, სიგარეტია.

ეცადეთ, ხშირად იმოგზაუროთ, რადგან ნებისმიერი ქვეყანა ახალი თავგადასავლებითა და ემოციით დაგმუხტავთ, რაც ისევ და ისევ თქვენს მომავალ სამწერლო საქმიანობის განვითარებას და გამრავალფეროვნებას შეუწყობს ხელს.

არასდროს გიცდიათ, რომელიმე მწერლის მოთხრობა გადაგწერათ და თითოეული სიტყვისთვის თქვენული სინონიმი მოგძებნათ? იცოდეთ, რომ ეს დამწყები მწერლებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო საგარჯიშოა.

თუ შეძლებთ, რომ თქვენს მიერ დაწერილი მოთხრობა ორჯერ შეამციროთ, შემდეგ კიდევ ორჯერ და საბოლოოდ, ის ორ სიტყვამდე დაიყვანოთ, შეგიძლიათ, იამაყოთ — თქვენ თქვენი მოთხრობისთვის საუკეთესო სათაური შეგიჩინებიათ.

დაბოლოს, გახსოვდეთ: მწერლობა იოლი არ არის. ის დიდ შრომასა და ენერჯიას მოითხოვს. ზარმაცი, მაგრამ ნიჭიერი ადამიანი მწერლობაში თავს ვერ იმკვიდრებს. მწერალი აკვირდება ყველა და ყველაფერს.

მწერლისთვის საინტერესოა თითოეული მოვლენა.

ყველაზე ახლო მეგობრების წრეშიც კი მწერალი თავის პერსონაჟებზე ფიქრობს და მას ყველაფერს დაეძებს.

თუ საკუთარ თავში ამ თვისებებს ვერ აღმოაჩენთ, აჯობებს, კარგ მკითხველად დარჩეთ, რადგან ესეც ერთგვარი პროფესიაა და მწერლობაზე არანაკლებ სასიამოვნო.

წარმატებებს გისურვებთ.

ლიტერატურული გაზეთი
გამომდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტიკის ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაძე, თამარ ჟურული
ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com